



პრეზიდენტი პრემიერის წინააღმდეგ? რატომ დანიშნა მარგველაშვილი კოჟორიძე მრჩევლად

ირინა ივარლიშვილი:

„თავისი ქმედებებით რუსეთმა შელახა არა მარტო უკრაინის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, არამედ მთლიანად ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურა შეარყია“



EXCLUSIVE

ეკატაჟური და აგრესიული კამპანია უცხოელი ინვესტორის წინააღმდეგ



დავით ნარმანი:

„მხანებლებს მუშაობის გაგრძელების ღვაწლური უფლება აქვთ“

EXCLUSIVE



გია კორკოტაშვილი:

„წარვდგებით საზოგადოების წინაშე საკმაოდ ძლიერი გუნდით და არჩევნებშიც მივიღებთ მონაწილეობას“

EXCLUSIVE

EXCLUSIVE

ალანანიას პროვოკაციიდან სააკაშვილის პროვოკაციამდე



პოლიტიკოსების სასიფათო თამაშები თანამდებობიდან წასვლის შემდეგ

„ქალიან ტუდი რამ ხდება საქართველოში, ქალიან გვერი ქართველი მიღის საბრძოლველად სირიის ორბანიზაცია ISIS-ში, ამის აღმოსაფხვრელად კი მთავრობა არაფერს აკეთებს, ეს დაუშვებელია“...

ტერორიზმის საფრთხე - ისლამური სახელმწიფო საქართველოსაც ემუქრება:

„ყველა ფაქტი გვესწრება და ყველა მონათლის სახელი და გვარი ვიცით. ვიცით ყველა „კაგაბუხიკი“, ვინც ჩვენს ქვეყნს შეურაცხყოფას აყენებს. ვიცით ყველა თქვენი ნაგოგმადარი. ამ ყველაფერზე პასუხს ავაბთ“...

EXCLUSIVE

ქვეყნისათვის სასიფათო განცხადებები - სააკაშვილის ერთადერთი გამოსავალი



ზვიად სიჭინავა
სკანდალური
გადაწყვეტილებებისთვის
ემზადება **EXCLUSIVE**

ზვიად სიჭინავა: „ვინ უნდა წავიღავს, სად უნდა წავიღავს, სად მიშვებთ, ვერ გავიგებ?“

**ქართულ გაზარზე სიტოცხლისთვის
საშიში ქათმები იყიდება SOS!**



**სკანდალური საქმე
პროკურატურაში**
„საქართველოს ბანკის“
ყოფილი დირექტორის
ოჯახი გამოძიებას ითხოვს
EXCLUSIVE

დარეჯან სილაგაძე: „როგორც ახალია დაუფარავად გვითხრა, - არავის არ აინტერესებდა ბანკის უდანაშაულობა, ეს არის მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ადგიშვილისა და ვანო მერაბიშვილის დავალება, და თუ მათ მიერ მითითებულ ანგარიშზე არ ჩაერიცხებოდით 5 მილიონი ლარი, ბანკს გააპოტრებდა“

რატომ დანიშნა მარგველაშვილი



ქეთი ხატიაშვილი

პოლიტიკური თამაში, რომელიც როგორც ექსპერტებისთვის, ისე პოლიტიკოსებისთვის ნამდვილ რებუსად იქცა. შეფასებები იმდენად განსხვავებულია, რომ ზუსტი „დიაგნოზის“ დასმაჭირს. მაინც რა ხდება პრემიერსა და პრეზიდენტს შორის? მათ ურთიერთობას მოკლე, თუმცა რთული და წინააღმდეგობებით სავსე ისტორია აქვს. ზოგი მიიჩნევს, რომ ლარიაშვილი ივანიშვილის ფავორიტია, ამ დაპირისპირებით კი გიორგი მარგველაშვილის გარშემო ახალი ოპოზიციური დაჯგუფება ყალიბდება. ახალი, ანუ „ნაციონალური მოძრაობის“ ალტერნატიული.

სხვების განმარტებით, პრეზიდენტმა პოლიტიკური თამაშის წესები დაარღვია და იმ გუნდს დაუპირისპირდა, რომელმაც შექმნა. რალაციით ეს ისტორია შევანისა და ბურჯანაძის პოლიტიკურ თანამშრომლობას ჰგავს. ნინოც ზურამ შექმნა პოლიტიკაში და პირველი, ვისგანაც მოულოდნელი დარტყმა მიიღო, სწორედ ბურჯანაძე იყო.

გიორგი მარგველაშვილი ახლა სწორედ ნინო ბურჯანაძის როლშია. ის გუნდს არა მხოლოდ დაუპირისპირდა, ცდილობს, დაპირისპირების საზებო კიდეგ უფრო გააძლიეროს. მარგველაშვილი თავის გარშემო ისეთ კადრებს იკრებს, რომლებიც პრემიერთან არიან დაპირისპირებული.

საიას ექსტრემიზმის კახა კოჭორიძის მრჩეველად წაყვანაც, როგორც ჩანს, ამ ტაქტიკის ნაწილია. კოჭორიძემ პოპულარობა სწორედ პრემიერთან დაპირისპირებით მოიპოვა.

საერთოდ, საქართველოში ასეთი პრაქტიკაც არსებობს და მუშაობს. არიან ისეთები, რომლებიც პოპულარულნი სხვების კრიტიკით ხდებიან. და აღარ აქვს მნიშვნელობა, შენ რას სთავაზობ, როგორი ხედევა გაქვს... შეგიძლია, რაიმე აბსურდიც დააბრუნო.

გიორგი მარგველაშვილი ახლა სწორედ ნინო ბურჯანაძის როლშია. ის გუნდს არა მხოლოდ დაუპირისპირდა, ცდილობს, დაპირისპირების საზებო კიდეგ უფრო გააძლიეროს. მარგველაშვილი თავის გარშემო ისეთ კადრებს იკრებს, რომლებიც პრემიერთან არიან დაპირისპირებული...



პრეზიდენტი პრემიერის წინააღმდეგ?

ხვო... აქ მთავარი სხვა რამეა, დაარტყა წინააღმდეგობა, რომ გამოჩნდეს და დაგვიმასსოვრონ, სხვა ყველაფერი მოჩვენებითია.

მაგალითად, იგივე კოჭორიძის შემთხვევა ავიღოთ. ის სხვა არასამთავრობოებთან ერთად მოსმენების თემაზე ორი გასაღების პრინციპს ლობირებდა. ის ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ირწმუნებოდა, რომ გასაღები უნდა ჰქონოდათ მობილურ ოპერატორებსა და სასამართლოს. და მეორე რა, რომ ასეთი პრაქტიკა ბუნებაში არ არსებობს, და რომ დასავლეთის უმრავლეს ქვეყნებში ერთი გასაღებია და ისიც ძალოვნების ხელში. მთავარი მისთვის, როგორც ჩანს, პოპულისტურ თემაზე პოლიტიკური ქულების ჩანერგა იყო...

არასამთავრობოების ინიციატივა არა მხოლოდ უცხოელმა ექსპერტებმა დაინუნეს, არამედ პრემიერმა ლარიაშვილმაც. მან ამ კანონპროექტს კატასტროფული უწოდა:

– ეს უკვე გახდა პოლიტიკური საკითხი, თუმცა არის საკითხები, რომლებსაც

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. სახელმწიფო საიდუმლოება, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება ისეთი სენსიტიური საკითხებია, რომელზეც ყველას ძალიან დიდი ყურადღება გვემართება... მთავრობას არ სჭირდება ამ გასაღების ფლობა, ეს სჭირდება ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას, ჩვენს სახელმწიფოს, ჩვენი ქვეყნის გაძლიერებას... ვერ დამისახებლეთ ვერც ერთ ქვეყანას, სადაც ე.წ. ორი გასაღების პრინციპია – ერთია სასამართლოს ხელში, როგორც არასამთავრობოები გვთავაზობენ. და მეორე – მობილური ოპერატორების ხელში. ეს არის კატასტროფა, ამას კატეგორიულად ეწინააღმდეგება ყველა პატრიოტი, ეროვნულად მოაზროვნე ადამიანი.

კახა კოჭორიძემ ეს შეურაცხყოფად მიიღო და პრემიერს შენიშვნა მისცა:

– პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც პრემიერ-მინისტრის მხრიდან ვისმენთ შეურაცხყოფელ განცხადებებს. თავს შევიკავებ, რომ შეურაცხყოფას შეურაცხყოფით ვუპასუხო. თუმცა ვფიქრობ, რომ თავად პრემიერი აყენებს თავის თავს შეურაცხყოფას, როდესაც შეურაცხყოფელი სიტყვებით ესაუბრება იმ საზოგადოების წინაშე, რომლის პრემიერიც თავად არის. პრემიერმა უნდა შეძლოს და ცოტა მაღლა დადგეს ამ პროცესებზე...

არასამთავრობოებიც მიხედნენ, რომ არაადეკვატურ იდეებს ლობირებდნენ, ამიტომაც მას არც კანონპროექტის ფორმა მისცეს და შესაბამისად, არც დაარეგისტრირეს...

მეორე თემა, რომელიც პოლიტიკური ქულების ჩასანერვად გამოიყენა კოჭორიძემ, საყდრისის გარშემო ატეხილი ხმაური იყო. ამ თემათაც ის პრემიერის განწყობების მონინაალმდეგეთა „ბანაკში“ ჩაენერა.

– მივმართავ კომპანია „არემჯის“, კულტურის სამინისტროსა და ხელისუფლების იმ უწყებებსა და პირებს, ვინც, პირდაპირ თუ ირიბად, ჩართულია საყდრისის ნგრევის საქმეში. ამხანაგებო, გილოცავთ, თქვენ გაიმარჯვეთ!!! მაგრამ მე ერთი რამ ვერ გავიგებ: ბოდიში მომიტხოვია და, თუ გინდოდათ, რომ ფეხებზე დაგეკიდებინათ საქართველოს კანონმდებლობა, სასამართლოს გადაწყვეტილებები, უცხოელი თუ ქართველი მეცნიერების მოსაზრებები, კვ-

ილგა კოჟორიძე მრჩეველად?

ლეგები, რატომ დაკარგეთ ძვირფასი დრო და საყდრისი აქამდე რატომ არ დაანგრეთ?! მინდა, მაღლობა უფრო ხშირად იმ საოცარ ადამიანებს, ვინც დღემდე (თითქმის 1 წელი) სიცოცხლეში, სიცხეში, წვიმაში, ტურების კვირულში ლამაზებს ათენებდნენ კარვებში საყდრისთან. წარმოიდგენია, რა მდგომარეობაში არიან ახლა ისინი... ცუდია, რომ ასეთები ცოტანი არიან. ცხადია, ვითომ კულტურის სამინისტროს, „არემფის“, სხვადასხვა სახელისუფლებო უწყებებს დამსახურებას ვერ დაუკარგავთ, მაგრამ, ალბათ, საყდრისი ყველაზე მეტად საზოგადოების არასათანადო აქტიურობამ დაანგრია...

კოჟორიძის განცხადებები, და ეს მხოლოდ მცირე ნაწილია, ნათლად აჩვენებს, რომ საიას თავმჯდომარე იურიდიულ შეფასებებს კი არა, უკვე პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდა.

ჩემი აზრით, მისი მხრიდან ეს მაინც იაფფასიანი პოპულიზმი იყო, რომელიც ამ შემთხვევაში აგებული იყო ირაკლი ლარიბაშვილთან დაპირისპირებაზე... ასეთი მაგალითები პოლიტიკაში ბევრი გვქონდა და ექსპერტების შეფასებით, როგორც წესით, დროებითი წარმატებაა. ახლა, სხვათა შორის, დაახლოებით იგივეს აკეთებს ალექო ელისაშვილი, რომელიც ცდილობს, პოლიტიკური ქულები დავით წარმანიასთან დაპირისპირებით აკრიფოს.

კოჟორიძის მხრიდან ეს ავანტიურისტული გათვლა იყო: საიას თავმჯდომარეობის შემდეგ, პოლიტიკის გარდა, სხვა რა უნდა გაეკეთებინა? პოლიტიკაში წასვლა შეიძლება ერთადერთი პერსპექტიული სვლა ყოფილიყო მისთვის. ავანტიურისტულსა და პოპულისტურს მის ტექნიკას იმიტომაც ვუწოდებ, რომ კოჟორიძე აქცენტს ძირითადად პოპულისტურ თემებზე აკეთებდა. მაგალითად, არავის დაინტერესა კანონპროექტი, რომელიც პარლამენტმა მიიღო და პრეზიდენტმა ხელი მოაწერა და რითაც საგადასახადოს ჩვენი ანგარიშების გაკონტროლების უფლება ეძლევა, თანაც ისე, რომ მოქალაქეს მისი გასაჩივრების საშუალებას კანონიც არც უტოვებს. ლევან ალაფიშვილი იყო ერთადერთი, ვინც ამას ყურადღება მიაქცია. როგორც ჩანს, კოჟორიძისთვის ეს თემა არც პოპულარული იყო და არც მომგებიანი – მარგველაშვილს ვერ დაარტყამდა.

თუმცა, სხვა საკითხია, რატომ დანიშნა გიორგი მარგველაშვილმა კაბა კოჟორიძე თავის მრჩეველად. მას სხვა, უფრო კვალიფიციური იურისტის ნახვაც შეეძლო, თუმცა, პოლიტიკური ქულებით „მდიდარი“ კოჟორიძე დანიშნა.

ექსპერტების შეფასებით, ეს, ერთი მხრივ, ნიშნავს პრეზიდენტის სურვილს, თავის გარშემო შემოიკრიბოს არასამთავრობო ორგანიზაციები და მეორე მხრივ, მან გააძლიერა მის გარშემო პრემიერის სანინალმდგეო განწყობები. ეს ერთგვარად იყო მკაფიო კონფორმაციის მკაფიო ნიშანი.

მთავარი პოლიტიკური ინტრიგაც აქ იწყება. ეს ხომ, უბრალოდ, „მდიდარი“ კოჟორიძე არ არის, რომელმაც ქულებისა და ბონუსების დაგროვ-

ების რაიმე ორიგინალურ მეთოდს მიაგნო. საია ყოველთვის მჭიდროდ იყო დაკავშირებული რესპუბლიკურ პარტიასთან. ისინი ერთიან პოზიციებსა და შეხედულებებს აფლერებდნენ. იგივე ორ გასაღებზე, საყდრისზე ან თუნდაც პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლაზე. წითელი ხაზი აქაც სწორედ პრეზიდენტისა და პრემიერს დაპირისპირებაზე გადის.

არასამთავრობოებმა მოსმენებთან დაკავშირებით საკუთარ იდეებზე უარი რომ თქვეს, ჯერ მხარი სწორედ „რესპუბლიკური პარტიის“ ალტერნატიულ პროექტს დაუჭირეს. საყდრისთან დაკავშირებით „რესპუბლიკურმა პარტიამ“ საპარლამენტ-

კოჟორიძის განცხადებები, და ეს მხოლოდ მცირე ნაწილია, ნათლად აჩვენებს, რომ საიას თავმჯდომარე იურიდიულ შეფასებებს კი არა, უკვე პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებდა...

ლებს, ამიტომ ეს გადანყვეტილება შესაცვლელია, – განაცხადა ალასანია.

– კი, ბატონო, კონსტიტუციით, პრეზიდენტის პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით გამოვლისას მთავრობის დასწრების ვალდებულება არ არსებობს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მეორე ასპექტი – არ ვიცით პრეზიდენტის პარლამენტში მოსვლის თარიღი და წინასწარ ვერ ვიტყვით, რომ მთავრობა პარლამენტში აუცილებლად სრული შემადგენლობით უნდა იყოს, რადგან არ ვიცით, ამ დღეს ვის რა ვიზიტი აქვს დაგეგმილი. თავისთავად ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. ვფიქრობ, პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლა, პრეზიდენტისთვის მინიჭებული ფუნქციებიდან და სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციიდან გამომდინარე, შეიძლება ერთგვარი ტონალობის მიმცემი გახდეს ყოველ წელს, გამოსვლის ძირითადი აქცენტებით, პრიორიტეტებით, გამონწვევებსა და საფრთხეებზე პასუხით. ჩემი აზრით, ასეთი ღონისძიება იმსახურებს იმას, რომ ყველა, ვისაც შეუძლია, მაქსიმალურად დაესწროს მას და იყოს თანამონაწილე, – განმარტა ხიდაშელმა.

ცხადი ხდება, რომ პრემიერი თავისი კაბინეტითა და პრეზიდენტი თავისი ადმინისტრაციით ორ დამოუკიდებელ შტოს წარმოადგენს. მათ აქვთ საკუთარი კომპეტენციები და გავლენის სფეროები. ერთი მხრივ, არის პრემიერი ლარიბაშვილი, რომელიც ახალი ტიპის ლიდერად ყალიბდება და სხვადასხვა შეხედულებებისა თუ ინტერესების ელექტორატს აერთიანებს და მეორე მხრივ, არის გიორგი მარგველაშვილი, რომელიც, ასევე, ახალი ტიპის ლიდერია, თუმცა, ჯერჯერობით ის ძირითადად პრემიერის მონინალმდგეო ელექტორატს აერთიანებს. ამ შემთხვევაში ორივე მათგანისთვის მიუღებელია „ნაციონალური მოძრაობა“. ეს კარგად გამოჩნდა იგივე მოსმენების კანონპროექტის განხილვის დროსაც. მაშინ, სხვათა შორის, არასამთავრობოებმა უარი თქვეს ნაციონალების სახელით საკუთარი პროექტის დარეგისტრირებაზე და მხარი რესპუბლიკელებს დაუჭირეს. და კიდევ, საინტერესოა, რომ პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ადმინისტრაციიდან გაუშვა ვანო მაჭავარიანი, რომელიც ნაციონალებთან იყო დაკავშირებული და აიყვანა კაბა კოჟორიძე, რომელიც რესპუბლიკელებთან ასოცირდება. რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები კი, თავის მხრივ, უკვე დასახელდნენ ნაციონალების ალტერნატიულ ოპოზიციურ ძალად.

ტო კომისიის შექმნაც კი მოითხოვა. ახლა მათი პოზიციები პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლის თემაზე დავითება.

საქართველოს პრეზიდენტმა იმედი გამოთქვა, რომ მთავრობა ამჯერად მაინც გამოიწვევს დროს და პარლამენტში მის მოსასმენად მივა:

– იმედი მაქვს, რომ შარშანდელი შემთხვევა, როდესაც მთავრობამ ვერ მოახერხა, პრეზიდენტის მოხსენებას დასწრებოდა, წელს არ განმეორდება, რადგან ამან არავითარი სიკეთე არ მოუტანა არც ჩვენ სახელმწიფოს და არც ჩვენს საერთაშორისო თუ შიდა იმიჯს...

პრემიერმა, თავის მხრივ, პრეზიდენტს კონსტიტუცია შეახსენა, რომლის მიხედვითაც მინისტრთა კაბინეტი არ არის ვალდებული, პრეზიდენტის გამოსვლას დაესწროს.

– ეს გამოსვლები ჩვეულებრივია და არ ვთვლი, რომ უნდა დაესწროს მთავრობა, მინისტრთა კაბინეტი და პრემიერ-მინისტრი. ეს არის ჩემი პოზიცია, მაგრამ მე გთხოვთ, რომ მონაწილეობა-არმონაწილეობას დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებთ. ამას წმინდა სიმბოლური დატვირთვა აქვს...

ეს უკვე მეორედ პრემიერი არ აპირებს პრეზიდენტის გამოსვლას დაესწროს. და ეს პირველად ღიად გააპროტესტეს რესპუბლიკელებმა და ოპოზიციამი ახლად გადასულმა თავისუფალმა დემოკრატებმა.

– ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც არ დაესწრო მთავრობა გიორგი მარგველაშვილის პარლამენტში გამოსვლას, ეს იყო მთავრობის ერთიანი გადანყვეტილება. მე ეს ამბავი გამაცნეს, როგორც უკვე მიღებული გადანყვეტილება... ვფიქრობ, ეს მიდგომა შესაცვლელია, რადგან დღეს სხვა რეალობაა. პრეზიდენტის ინსტიტუტი აერთიანებს საზოგადოებას და პოლიტიკურ ძალას.



ვინ განსაკლავს სას



განსაკლავს თუ არა ნიკა გვარამიას ექსფორტი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და ვინ ლობირებს ნათია ნკვილაძის კანდიდატურას მთავრობაში?

მირიან ბოქოლიშვილი

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის პროცესი აქტიურ ფაზაში შედის, თუმცა, სავარაუდოდ, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხმაურის გარეშე არ ჩაივლის. ახალი კანდიდატი პარლამენტს პრეზიდენტმა უნდა წარუდგინოს. მმართველი გუნდი პრეზიდენტთან კონსულტაციებს ელის, თუმცა თავად მარგველაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციებს არჩევს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის ფსონს სამოქალაქო სექტორზე დადებს და სწორედ ამ წრიდან შეარჩევს კოტე კუბლაშვილის შემცვლელს. სხვა საკითხია, რამდენად მოიპოვებს ეს კანდიდატი მმართველი გუნდის მხარდაჭერას. ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ეს საკი-

თხი თავად უმრავლესობის შიგნითაც მწვავე კონფლიქტის მიზეზი გახდეს, რადგან, მაგალითად, „რესპუბლიკურმა პარტიამ“ შესაძლოა, არჩევანი სწორედ გამოცდილ „ენჯელოშნიკზე“ გააკეთოს, ღარიბაშვილის გუნდში კი სხვა მოსაზრებები აქვთ. საუბარი იყო იმაზე, რომ „ქართული ოცნება“ ამ თანამდებობაზე პოლიტიკური გუნდის წევრის კანდიდატურას განიხილავდა, თუმცა, მეორე ვერსიით, „ოცნებაში“ სხვა რამდ-

ენიმე კანდიდატზეც მსჯელობენ, რომელიც თავად სასამართლო სისტემიდან შეირჩევა. ასეთ კანდიდატებად კი კოტე კუბლაშვილთან დაპირისპირებული უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები



ეკა ბესელია: „პროცესი შესაძლოა ჩიხში შევიდეს“



– ნათია ნკვილაძე და თეიმურაზ თორდია სახელდება. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, ღარიბაშვილის გუნდი პრეზიდენტს მეტ-ნაკლებად ნეიტრალურ მეთანხმებას შესთავაზებს – ერთი


მხრივ, მარგველაშვილმა უარი თქვა მთავრობასთან მკვეთრად დაპირისპირებული „ენჯელოშნიკის“ წარდგენაზე, მეორე მხრივ, უმრავლესობა აღარ განიხილავს კანდიდატად პოლიტიკური გუნდის წარმომადგენელს და პარლამენტი ისევ სასამართლო სისტემიდან წარდგენილ კანდიდატს დაუჭერს მხარს. სწორედ ასეთ კანდიდატებად მოიაზრებიან უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები ნათია ნკვილაძე და თეიმურაზ თორდია, რომლებიც გასულ წელს გამართულ მოსამართლეთა კონფერენციაზე ლიად დაუპირისპირდნენ კონსტანტინე კუბლაშვილს. ხმაურიანი კონფერენციის წინ მათ ერთობლივი განცხადებაც

გააგრძელეს, სადაც სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობასა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პრინციპულობაზე ისაუბრეს. „უკიდურესად მრავლისმეტყველი იქნება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის როლი და დამოკიდებულება იმ საკითხებისადმი, რომლებიც უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს მოსამართლეთა კონფერენციამ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ფიგურა საქართველოში შეირჩევა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებათა გადაწყვეტილების საფუძველზე. სწორედ მის პიროვნულ და პროფესიულ თვისებებზე დამოკიდებული, რამდენად გახდება ის

„ქალიან ემოციურია – „ოქროს გლობუსი“ და „ოსკარი“ ერთად. ეს ამბავი თუ ჩემს თავს სდებია, არ ვიცი“

გურამ ოდიშარია:
„ჩემო ზაზა, ბილოცავ! ერთხელ კიდეც! ეგ უკვე ისტორიაა!“

ისბუქზე“ დაპოსტა - „მანდარინები“ ჩაჯდა ვარშავის კინოფესტივალის მთავარ კონკურსში! პირველად არის, რომ ჩემი ფილმი „ა“ კლასში ზის, მთავარ კონკურსში! კინოფესტივალზე ორი პრიზი აიღო - „საკუთესო რეჟისურისთვის“ და „მაყურებლის სიმპათია“. მას შემდეგ „მანდარინებმა“ ათზე მეტი ფესტივალი მოიარა, წარმატებით და პრიზებით. ფილმის სცენარიც ზაზას ეკუთვნის. რამდენიმე წლის წინ ტალინში ზაზას „სამი სახლის“ ჩვენებით გაიხსნა ქართული კინოს დღეები. მაშინ ზაზას უთხრეს, ხომ არ დაინტერესდებით საქართველოში მცხოვრები ესტონელების თემითო. 2010 წელს ასე დაიწყო სცენარი. სცენარმა ესტონეთის კინოცენტრში და კულტურის სამინისტროში გაიმარჯვა.



ფაბულა
 ფილმში მოქმედება 1992 წლის აფხაზეთში ვითარდება. იმ დროს იქ ორი-სამი ესტონური სოფელი არსებობდა, რომლის მოსახლეობა ესტონეთის მთავრობამ ომის დროს გახიზნა და ისტორიულ სამშობლოში დააბრუნა. ეს ისტორია ზაზამ ტალინში მოისმინა. „მანდარინები“ პირველი ქართულ-ესტონური კოპროდუქციაა. ფილმი დაფინანსებულია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის, კულტურის სამინისტროს და „ევრიმაჟის“ მიერ, ასევე ესტონეთის ორი კინოფონდის და კულტურის სამინისტროს მიერ. შარშან „ევრიმაჟის“ ფონდის მიერ დაფინანსებული 18 ფილმიდან „მანდარინები“ პირველი ადგილას გავიდა. დიდ წილად კი სურათი ესტონეთის მხარემ დააფინანსა.


ფილმის მოკლე ანოტაცია ასეთია: აფხაზეთში ომის დროს რამდენიმე ესტონელი დარჩა. ქართველი მოხალისე მეომარი და ჩეჩენი ბოევიკი ერთმანეთთან შეტაკების დროს დაიჭრებიან. ორივე მათგანი მოხუცი ესტონელის სახლში აღმოჩნდება, რომელიც მათ უმკურნალებს და შეიფარებს. დაჭრილები სხვადასხვა ოთახში წვანან, მაგრამ სულ ერთმანეთის მოკვლის შინა აქვთ. აი, თუ როგორ ტრანსფორმაციას განიცდიან ძალზედ შუმანური და ლირსული მასპინძლის ჭერქვეშ ერთმანეთის მტრები, ეს ფილმში თავად უნდა ნახოთ. მტრის უსაზღვრო სიძულვილს სიყვარული და მიტევება უპირისპირდება, ომს და სიკვდილს - სიცოცხლე. ძალზე დიდ სიმპათიას იწვევს მთავარი როლის - ესტონელი ივოს შემსრულებელი ლემბიტ ულფსაკი. მას ფილმის მანძილზე არაერთხელ ეკითხებიან, შენ რატომ არ ნახვედი ესტონეთში, რა დაგჩენია ამ ომში? ის ამ კითხვას არ პასუხობს. მხოლოდ ფილმის ფინალში ვიგებთ, რომ ამ სო-

EXCLUSIVE

ფელში შვილი ჰყავს დასაფლავებული. მის საფლავს ვერ ტოვებს. ჩეჩენი გმირი ეკითხება, ვინ მოკლა შენი შვილი - ქართველმა, აფხაზმა თუ ჩეჩენმა? ამას რა მნიშვნელობა აქვს - კითხვითვე პასუხობს ივო... ფინალშივე აცნობიერებ მთელ სიუჟეტს, ივომ თავისი შვილის სავარაუდო მკვლელის ეროვნების ორი მებრძოლი სიკვდილისგან იხსნა, გამოაჯანმრთელა, გამოკვება... ერთმანეთის მიმართ თანაგრძობა გაუჩინა. შვილმკვდარი მამისგან ძალიან შორს არის გაბოროტება... აი, სად მარცხდება მტერი, ომი და სიძულვილი! ივო ერთ სუფრასთან მსხდარ მოსიხლვე მტრებს სიკვდილის სადღეგრძელოს დალევას სთხოვს... აი, მაშინ იხედებიან სულში გარემოებისგან მტრადქცეულნი. ამ დროს კი მოულოდნელი კულმინაცია იფეთქებს. ეს უკვე უნდა ნახოთ.

„ვაჟა-ფშაველას თემები ამ ფილმში მოდერნიზებულია“
გიორგი ნაკაშიძე: „სიბრად მიფიქრია, „მანდარინების“ ისტორია, თანამედროვე ვაჟა-ფშაველა რომ დანერდა ისეთი ისტორია-მეთქი. მტრები როგორ დამეგობრდებიან და როგორ ასრულებენ დადებულ სიტყვას. ვა-

„მანდარინები“ კინოაკადემიის ორმა უმაღლესმა დაჯილდოების ტერაფონიალმა წლის საუკეთესო ფილმთა ხუთეულში დაასახელა



„ქართველები „კინოშნიკები“ ვართ“
 ფილმის პრემიერაზე ქართველი მსახიობები ასეთ შეფასებებს აკეთებდნენ.
კახი კავსაძე: ბრავო, ზაზა! იმედი განმიმტკიცა - ქართული კინო უკვდავია. ქართველები „კინოშნიკები“ და თეატრისტები ვართ, სულით და გულით არტისტი ხალხი ვართ და ჩვენი ნაქცევა არავის გამოუვა. მიზა მესხისგან ასეთ პროფესიონალიზმს არ ველოდი. ისე ზუსტად გაძვრა ვინრო ადგილებში, რომ შეგება მომგვარა. მთელი ფილმი რა გადაღებულია, როგორი ესტეტიკით, ან მსახიობები როგორი შეჩეულია, როგორც ქართველი, ასევე ესტონელი... ბრავო!

გივი ბერიკაშვილი: ბოლო ხანს კარგი ფილმის ყურებას გადავეჩვიე, „მანდარინებმა“ კი იმედი მომცა, რომ ქართული კინოს გონება და სული არ მომკვდარა. ზაზა უნიჭიერესი ბიჭია და მისი დამფასებელი ვარ.
ბაადურ ნულაძე: ემოციებით ისე ვარ დატვირთული, რომ საუბარი მიჭირს. არც მიკვირს ზაზა ურუშაძისგან ასეთი სასწაული სურათის შექმნა. ომის თემა დიდი ესტეტიკით გადმოგვცა და ამიტომ მომწონს მისი არასტანდარტული ხედვა.
 ზაზას გამარჯვება დადებდა.



მიხეილ სააკაშვილის ტყუილები

ყოფილი პრეზიდენტის განცხადებები ხშირად ხდება განხილვის საგანი. მიხეილ სააკაშვილი ბევრჯერ გამოიჩინეს არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში, სწორედ ამიტომ მის აქტიურობას, თუნდაც სოციალურ ქსელში, როგორც წესი, დიდ ყურადღებას აქცევენ. შესაბამისად, ხშირად ხდება მის მიერ გავრცელებული განცხადებებისა თუ „facebook“-პოსტების განხილვა, დეტალების შესწავლა და რეაქციების გამოხატვა... რამდენიმე ისტორია, რომელიც მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ ტყუილებს უკავშირდება, მალევე „გაიშიფრა“ და ხშირ შემთხვევაში ტყუილების დამამტკიცებელი ფაქტებიც მალევე გასაჯაროვდა...



2005 წელს, როდესაც გენაძე იმერეთის რწმუნებული იყო, ერთ-ერთმა მედიაგამოცემამ მას საკმაოდ არასასიამოვნო სურათები დაუბეჭდა, სადაც, რწმუნებულთან ერთად, სხვა თანამდებობის პირებიც მონაწილეობდნენ. ფოტომასალა იმერეთის გუბერნიის მაღალჩინოსნების უცნაურ გართობას ასახავდა. ეგრეთწოდებულ „ბოთლების სკანდალს“ მაშინ გაიაგენაძესთან ერთად ქუთაისის მერი და მისი მოადგილეებიც შეეწინააღმდეგებოდნენ. სააკაშვილის მიერ იყო მიღებული. მაშინდელმა პრეზიდენტმა ჩათვალა, რომ ასეთი უცნაური გართობის შემდეგ არც ერთ თანამდებობის პირს უფლება არ ჰქონდა, პოსტზე დარჩენილიყო... მას შემდეგ გენაძე საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში არ ჩანდა არა თუ პოლიტიკაში, არამედ საზოგადოებაშიც. წლების შემდეგ კი ის უკრაინაში, იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ დაინიშნა.

მიხეილ სააკაშვილი: „ჩემი მეგობარი გაიაგენაძე დაინიშნა“

უკრაინის იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ. ის ამ მაღალ თანამდებობაზე ილიაუნის იურიდიული ფაკულტეტის დეკანობიდან გადადის და მანამდე სხვადასხვა მაღალი თანამდებობა ეკავა ჩემს მთავრობაში. გაიაგენაძე თანამოაზრე და მთელი ეს წლები ჩემი ახლო მრჩეველი იყო. ბოლო უკრაინულ მოვლენებშიც ერთად ვმონაწილეობდით. ის უკრაინაში ჩვენი ყოფილი თანამშრომლების მთელ გუნდთან ერთად ინიშნება და უმნიშვნელოვანესი რეფორმების გატარება დევალდება. ჩვენ წინასწარ განვიხილეთ ეს გადაწყვეტილება და იმ დასკვნამდე მივყავით, რომ უკრაინის წარმატება უფრო სწრაფად და აძლიერებს დროებით სიძნელეებს ჩვენს ქვეყანასაც. ერთი ისაა დასაბუთებული, რომ საქართველო, არა მხოლოდ მართვის საუკეთესო სპეციალისტებს, არამედ დროსაც კარგავს.“

ერთადერთი კითხვა, რომელიც ყველას გაუჩნდა, არის ის, როდის მოასწრეს გენაძე-საკაშვილმა კვლავ დამეგობრება?..

გიაგენაძის უკრაინაში დანიშნებას ყოფილი პრეზიდენტი სოციალურ ქსელში გამოეხმაურა

და გენაძე მეგობრად მოიხსენია. მედიაში მაშინვე გაჩნდა კითხვის ნიშნები და ყველას ერთდროულად

ად გაახსენდა ზუსტად ათი წლის წინანდელი დაპირისპირება გენაძესა და სააკაშვილს შორის.

საფრანგეთის ტრაგედია მსოფლიოსთვის მართლაც გარდატეხის ტოლფასი იყო. რწმენა, რომ ქვეყანაში, სადაც ხალხი უსაფრთხოდ ცხოვრობს, სადაც დემოკრატია განვითარების უმაღლეს მწვერვალზეა, 7 იანვარს გაქრა... „შარლი ებდოს“ ფაქტს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში უკვე მისცეს შეფასება – მას საფრანგეთის 11 სექტემბერი უწოდეს... ამით კიდევ უფრო კარგად ჩანს, რას ნიშნავდა სიტყვის თავისუფლებაზე თავდასხმა ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქისთვის. ასეთ წუთებში ყველაზე ზედმეტი, ალბათ, პოლიტიკური პოპულისტობაა. მიუხედავად ამისა, მაინც გამოჩნდა პოლიტიკოსი, რომელსაც ამის მცდელობა ჰქონდა და ეს მიხეილ სააკაშვილი იყო... საქართველოს პრეზიდენტი სიტყვით გამოსვლის დროს ირწმუნებოდა, რომ „შარლი ებდოს“ რედაქტორს პირადად იცნობდა და მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა...

მიხეილ სააკაშვილი: „მე კარგად ვიცნობდი შარლი ებდოს რედაქტორს, კარგად რაა, ვიცნობდი, ძალიან კარგი კაცი იყო, რუსებზე ჰქონდა სწორი პოზიცია, ბევრი საერთო მეგობარი და საახლობლო წრე გვყავდა“.



ტყუილის გარეშე არც საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებას ჩაუვლია. საქართველოს მოქმედ პრეზიდენტთან ერთად ვიზიტს ყოფილი პრეზიდენტიც დაესწრო. კადრებში კარგად ჩანს ერთმანეთისგან მოშორებით მჯდომი სააკაშვილი და მარგველაშვილი. მათი ერთად დანახვისთანავე გაჩნდა კითხვები, უკვე ხომ არ შეხვდნენ ან ხომ არ აპირებდნენ ისინი შეხვედრას. თუმცა სააკაშვილმა ეჭვები თავისივე სიტყვებით გააქარწყლა.



მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი: „იმდენი თვალი უყურებს და იმდენი მეთვალყურე გამოატანეს, რომ ნამდვილად არ მინდა, ვინმე უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო. დღეს მარგველაშვილისთვის დრო არ მაქვს. ახლა მაგვიანდება, რადგან საქართველოზე სასაუბროდ მერკელს უნდა შეხვდეთ, მივფრინავ.“

მერკელთან და სხვებთან ერთად უნდა განვიხილო საქართველოს საკითხები. ამიტომ შეუძლიათ, წყნარად იყვნენ, არანაირი საიდუმლო შეხვედრები არ შედგება... სააკაშვილის „აღიარებას“ მალევე გამოეხმაურა საფრანგეთში მოღვაწე ქართველი ჟურნალისტი, გიორგი ფოფხაძე, რომლის განცხადებითაც, მერკელი იმ დროს

ბრიუსელში მართავდა შეხვედრებს და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისთვის ნამდვილად ეცალა... **გიორგი ფოფხაძე:** „ასე უტიფრად რატომ იტყუები? შენ რომ კომენტარი გააკეთე, ანგელა მერკელთან მივდივარ შეხვედრაზე, ზუსტად იმ დროს ანგელა მერკელი ბრიუსელში იმყოფებოდა ევროსამიტზე“...

მიხეილ სააკაშვილის რეკორდი, ალბათ, სხვისი სახელით საკუთარ თავზე დაწერილი წერილია. ვლადიმერ კრასნოვი რუსი მსახიობია, რომელიც ცნობილ ადამიანებს სხვისი სახელითა და, შესაბამისად, სხვისი ხმით ურეკავს და ფარულ ჩანაწერებს აკეთებს. კრასნოვს, იგივე „ხულიგანს“ ბევრი ცნობილი პოლიტიკოსი ჰყავს მოტყუებული. ცნობილი ფაქტია, რომ რუსმა მსახიობმა მიხეილ სააკაშვილამდე ბელორუსის პრეზიდენტი ლუკაშენკო მოატყუა და მასთან საუბარი როგორც იანუკოვიჩის შვილმა, ისე აწარმოა. ლუკაშენკომდე კი კრასნოვმა კიევის მერს, კლიჩკოს დაურეკა შინაგან საქმეთა მინისტრის მრჩეველის სახელით და მოსთხოვა, ცხელი წყალი გაეთიშათ რაღას დეპუტატ ოლეგ ლიაშკოსთვის. იგივე გეგმით იმუშავა მსახიობმა მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებითაც. გამონაკლისი არც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი აღმოჩნდა, რომელსაც მსახიობი უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრის, არსენ ავაკოვის სახელით დაუკავშირდა. რამდენიმე თვითანი სატელეფონო საუბრების შემდეგ სააკაშვილმა „შს მინისტრს“ დახმარება სთხოვა.

ვლადიმერ კრასნოვი: „საკაშვილმა მთხოვა, რომ ინტერპოლში წერილი გამეგზავნა. მას ძალიან ეშინია, რომ საერთაშორისო ძებნაში გამოაცხადებენ და საქართველოს გადასცემენ. წერილი თავად დანერა და გადმომიგზავნა. წერილი რომ წავიკითხე, ბევრი ვიცინე. წერილში ის საკუთარ თავს ევროპაში თავისუფლებისთვის მებრძოლს უწოდებს“.

მსახიობმა საქართველოს ყოფილ პრეზიდენტთან სატელეფონო საუბრები რამდენიმე ეტაპად დაყო და ინტერნეტში გაავრცელა. ხოლო სკანდალური ვიდეოჩანაწერის სრული ვერსია ტელეკომპანია „LIFENEWS“-ის ეთერში გამოქვეყნდა.



რა იზიარებს ერთად მარიაშ კუ

ნინო მჭედლიშვილი

12 იანვარს კომპანია „დეშელმა“ ერთი წლის იუბილე აღნიშნა. „ქართულ სახლში“ მიწვეულ სტუმრებს კომპანიის ფერის ბაფთები გაგიკეთეს გულზე. წვეულებაზე ცოცხალი ბენდი, ლამაზად გაფორმებული მაგიდები და სადღესასწაულო განწყობა დაგვხვდა. საღამოს მსახიობი, ჯაბა კილაძე და ტელენამეყვანი, ლელა ნინუა უძღვებოდნენ. 8 საათზე დაანონსებული ღონისძიება, ქართული ტრადიციისამებრ, ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო. სილამაზის ცენტრის იუბილეს კომპანიის თანამშრომლები და ქართული შოუბიზნების ვარსკვლავები ერთად აღნიშნავდნენ. კომპანიის ხელმძღვანელმა, იურისტმა, მარიამ კუბლაშვილმა მოგვილოცა ახალი წელი, კომპანიის იუბილე და საღამოს რამდენიმე საინტერესო კონკურსიც დააანონსა. „ცეკვავენ ვარსკვლავების“ გამარჯვებულმა ფულადი პრიზებით დააჯილდოვა კომპანიის საუკეთესო თანამშრომლები: საუკეთესო ბუღალტერი, გაყიდვების მენეჯერი, ოპერატორი. სპეციალურად თანამშრომელთათვის სხვადასხვა საინტერესო ნომინაციებიც შეიქმნა. გამოავლინეს, წლის პოზიტიური, მხიარული, ენერგიული თანამშრომლები.

პრიზები მონვეული სტუმრებისთვისაც იყო განკუთვნილი. მაგიდებთან ჩამოატარეს ფურცლები და ყველას გვქონდა საშუალება ჩვენი სახელი და გვარი ჩაგვეწერა. წვეულების მსვლელობისას ორჯერ გაიმართა გათამაშება ლოტოტრონის პრინციპით. ორ ილბლიან სტუმარს საშუალება ჰქონდა ამოერჩია ქეისი, სადაც „დეშელის“ ფირმის თავის მოვლის საკმაოდ ძვირადღირებული საშუალებები იყო მოთავსებული. ამ ილბლიანთა შორის მოხვდა „ნანუკას შოუს“ ყოფილი და გია ჯაფანიძის შოუს, „სხვა რაკურსით“ მოქმედი პროდიუსერი მაია სტეფანაძე.

მონვეულ სტუმრებს შორის იყვნენ: მსახიობი მარინა ჯანაშია, რეჟისორი ქეთი დოლიძე, კახი კალაძის სიდდერი, ნანა ლორთქიფანიძე, გია ჯაფანიძე, ნინო ბადურაშვილი, ირინა ონაშვილი, ოთო ფოლადაშვილი, ჯულიანა ბარგნარი, ქეთი ხატიაშვილი, მაია ბარათაშვილი, ნუცა ბუზალაძე, ანრი ჯოხაძე, რომელმაც თავისი „უაკეტური“ ჩაცმულობისთვის ბოდიში მოგვიხადა, დღეს ძალიან ოჯახური ვარო, გვიითხრა. სწორედ მის სიმღერებზე აცეკვდა მთელი დარბაზი. თეკლა ჭანტურიძესთან ერთად მოვიდა ნოე სულაბერიძე. როგორც ამბობენ, სწორედ ამ ღამეზმანის გამო დაენგრა ოჯახი ტელეპროდიუსერს. მეუღლესთან ერთად იყო ნიკა წულუკიძე, შეყვარებულთან ერთად გვესტუმრა გიორგი მახარაშვილი.

მომღერლები კომპანია „დეშელმა“



ცოტა ხნის წინ ფხვმოტეხილმა ნუცა ბუზალაძემ ისეთი ტრიუკები გააკეთა ცეკვის დროს, მისი თეთრი საცვალი იქ შპარკებში საზოგადოებას შეუმჩნეველი ნამდვილად არ დარჩენია



შეზარხოშებული მსახიობი დროდადრო ჯულიანა ბარგნარის მაგიდისკენ მიდიოდა

გორ გაგრძელებდა ჩვენი ურთიერთობა არავინ იცის.

მარიამი: დღეს იმყოფებით ჩემი შვილობილი კომპანიის დაბადების დღეზე და აქ ბევრ ჩემს მეგობარს ნახავთ. ასე რომ, არ უნდა გაგიკვირდეთ.

გაკვირვებით არაფერი გაგვიკვირვებია, უბრალოდ, ლევანისა და მარიამის თვლები სულ სხვას ამბობდნენ. მთელი საღამოს განმავლობაში ვაკვირდებოდი წვილს, სიყვარული ჩანდა მათ თვალებში. იყო ცეკვა, ყურში ჩაჩურჩულება, რაც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ფირზეც აღბეჭდა. დამეთანხმებით, ალბათ, რომ ლევანი და მარიამი მართლაც საოცრად უხდებიან ერთმანეთს. ასე რომ, დასკვნები ჩვენი მკითხველისთვის მიმინდვია.

ყველაზე საინტერესო ამ საღამოს ცეკვის კონკურსი იყო. ცოტა ხნის წინ ფხვმოტეხილმა ნუცა ბუზალაძემ ისეთი ტრიუკები გააკეთა ცეკვის დროს, მისი თეთრი საცვალი იქ შპარკებში საზოგადოებას შეუმჩნეველი ნამდვილად არ დარჩენია. ლამაზად აფრიალებდა კაბას „ცეკვავენ ვარსკვლავების“ გამარჯვებულ ქეთი ხატიაშვილიც, რომლის


ლსაც“ ჰყოლია. კომპანიის თანამშრომლებს შორის აღმოვაჩინეთ თიკა ჯამბურია, თამაზა ჭელიძე, რომლებმაც სცენიდან სიმღერით მოგვილოცეს ახალი წელი და შობა. სტრიპტიზი გვიცეკვა ყოფილმა „ჯეობარელმა“ პაკომ, რომელიც ასევე კომპანიის თანამშრომელთა რიგებშია.

ერთ მაგიდასთან ისხდნენ მარიამ კუბლაშვილი, ლევან ხურციია, გიორგი ყიფშიძე, ანი ქორქია და ირინა ონაშვილი. ლევანისა და მარიამის დაფარულ რომანზე ქალაქში უკვე გაჩნდა ჭორები. ამის შესახებ ერთ-ერთი ჟურნალისტიც წერდა. წყვილს ამ თემაზე კომენტარი ვთხოვეთ.

- ქალაქში თქვენს დაფარულ რომანზე საუბრობენ. რას იტყვი ამის შესახებ?

მარიამი: მეგობრები ვართ (იცინის).

ლევანი: დღეს ისეთი საღამოა, როდესაც პირად ურთიერთობებზე მეტად კომპანიის ურთიერთობები უნდა იყოს ჟურნალისტისთვის საინტერესო.



- მამ მითხარით, რა გაკავშირებთ კომპანია „დეშელთან“?
- კომპანია დეშელთან მაკავშირებს მხოლოდ და მხოლოდ მარიამი, როგორც ჩემი მეგობარი. თქვენ ხედავთ. აქ უამრავი მისი მეგობარია.

- და თქვენი პირადი ურთიერთობის თემა დავხსუროთ?

- დავხსუროთ.
- დროებით თუ...?
- ცხოვრება წინ არის, რო-



გლაზვილია და ლევან სურცილა



„ცხოვრება წინ არის, როგორ გაბრძნობდე რვენი ურთიერთობა არავინ იცის“

EXCLUSIVE

მენყვილევც ოთო ფოლადაშვილი გახლდათ. რაც შეეხება ლევან ახვლედიანისა და მარიამ როინიშვილის წყვილს, მალე დანებდნენ, კონკურსის ბოლომდე არ უცეკვიათ. შესაბამისად გამარჯვება ორ გოგონას ხვდა წილად, ქეთი ხატიაშვილი და ნუცა ბუზალაძე საღამოს საუკეთესო მოცეკვავეებად დაასახელეს.

სანამ ცეკვის კონკურსი ეშში შევიდოდა რამდენიმე მონვეულ სტუმარს კომენტარი ვთხოვე:

ირინა ონაშვილი:

- ყველაზე მთავარი, რაც ამ კომპანიასთან მაკავშირებს, არის ჯადოსნური ქეისი. ეს ქეისი რომ არ მქონოდა, კომპანიაზე და მის პროდუქციაზე ვერ ვისაუბრებდი. ახლა თამამად შემიძლია ვისაუბრო, საკუთარ თავზე მაქვს გამოცდილი, რომ კარგი პროდუქცია აქვთ.

თამა ჭელიძე: გარდა იმისა, რომ „დეშელის“ „ეიჩარი“ გახლავართ, ყველა თანამშრომლის მეგობარი ვარ, ჩემი დირექტორის, მარიამ კუბლაშვილისაც. ვფიქრობ, დამსახურებულად გადანანილდა პრიზები. დიდი შრომა ჩადეს გამარჯვებულებმა ამ კომპანიის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის.

- დაჯილდოვებულთა სიაში მოხვდით?

- არა და გულიც არ დამწყვეტია ამის გამო. ახალი თანამშრომელი ვარ და ვფიქრობ, ჯერ არაფერი გამიკეთებია



იყო ცეკვაც, ყურში ჩაჩურჩულაბაც, რაც რვენმა ფოტოკორესპონდენტმა ფირზეც აღბეჭდა

იმის ფასი, რომ რაიმე პრიზი ან ფულადი ჯილდო დამემსახურებინა. ყველა თანამშრომელს ვულოცავ დამსახურებულ ჯილდოს.

ყავარჯნითა და შოტლანდიური კაბით მოვიდა მსახიობი გიორგი ყიფშიძე. როგორც მითხრა, გუდაურში მიღებულ ტრავმას

დღემდე მკურნალობს. შეზარხოშებული მსახიობი დროდადრო ჯულიანა ბარგნარის მაგიდისკენ მიდიოდა. გვერდით უჯდებოდა და ესაუბრებოდა. მერე უკან თავის მაგიდასთან ბრუნდებოდა. ასე გრძელდებოდა მანამ, სანა გიორ-

გიმ ჯულიანას მაგიდასთან არ ჩაიძინა. ჯულიანასა და გიორგის დაფარულ რომანზე, „ცეკვავენ ვარსკვლევებში“ მათი მონაწილეობის შემდეგ ბევრს საუბრობდნენ ქალაქში. იმ პერიოდში გიორგის ოჯახური ურთი-

ერთობა აერია. დღეს ცოლ-ქმარი ერთად ცხოვრობს. „ნიჭირის“ ფინალის წინა ღამეს, პროექტის წამყვანმა, გიორგი ყიფშიძემ იმდენი დალია, მაგიდასთან რამდენჯერმე გამოიძინა. მთვრალ, ჩაძინებულ მსახიობთან სამახსოვრო ფოტოებს იღებდნენ მისი მეგობრები.



მთვრალ, ჩაძინებულ მსახიობთან სამახსოვრო ფოტოებს იღებდნენ მისი მეგობრები

მილენიუმს გათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი არ დაუფინანსებია

ქეთი ხატიაშვილი

ვერაფერს იტყვი, სააკაშვილს მართლაც სურდა, ბათუმში საერთაშორისო დონის უნივერსიტეტი გაეხსნა. ამ თემაზე მუშაობა დიდი ხნის წინათ დაიწყო, ჯერ კიდევ მილენიუმის დაფინანსების ფარგლებში. მილენიუმის დაფინანსება კი საქართველომ მაშინდელი პრემიერის, ზურაბ ჟვანიას დიდი ძალისხმევით შედეგად მიიღო. ვარდების რევოლუციის შემდეგვე დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა. პრეზიდენტი სააკაშვილი მაშინ ამერიკელებს ბათუმში საერთაშორისო დონის უნივერსიტეტის აშენებას სთხოვდა. სურდა, რომ ის მილენიუმის პროგრამით დაფინანსებულიყო, თუმცა, ამერიკელებმა ამაზე უარი განაცხადეს. მაშინ ეს თემა მაშინდელმა პრეზიდენტმა ობამასთან შეხვედრის დროს გააჟღერა. ის მზად იყო, ვეტო დაეთმო რუსეთისთვის, ნაცვლად კი ამერიკელებისგან დაფინანსება მიეღო, მაგრამ არც ამან გაჭრა. ამერიკის პრეზიდენტები ასეთ საკითხებში საერთოდ არ ერევიან. ამიტომაც შენობის აშენება ბიუჯეტის ხარჯზე მოუწიათ. მოგვიანებით სააკაშვილმა უნივერსიტეტზე მეურვეობა კახა ბენდუქიძეს სთხოვა, თუმცა, როგორც საკითხში ჩახედულები ამტკიცებენ, კახა მხოლოდ ერთი სიტყვით შემოიფარგლა, – მოვიფიქრობო.

ასე დარჩა უნივერსიტეტი ბიუჯეტის ბალანსზე. სხვა ექსპერტების მოსაზრებით, იდეა ძალიან კარგია, თუმცა, შენობა, რომელიც აშენდა (სხვათა შორის, მათ შორის სააკაშვილის პროექტით), უნივერსიტეტისთვის საკმაოდ შეუფერებელია. უნივერსიტეტების მაქსიმალური სიმაღლე შეიძლება 5 სართული იყოს, ბათუმის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი კი საკმაოდ მაღალია. გავრცელებული ინფორმაციით, „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია“, ბათუმში ტექნოლოგიური უნივერსიტეტის სანაცვლოდ, საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ წინადადებას კეთილგანწყობით შეხვდა. კორპორაციის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორმა, ჯიმ მაკ-ნიკოლასმა განაცხადა, რომ კორპორაციამ საქართველოში ამერიკის სამეცნიერო-ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობის შესახებ შეთავაზება 2011 წელს მიიღო. ორგანიზაციამ სასწავლებლის ეკონომიკურ-ტექნიკური დასაბუთება განიხილა, იმსჯელა მის სარგებლიანობაზე საქართველოს მოქალაქეებისთვის და გაუმართლებლად მიიჩნია. სააკაშვილის პროექტის ფარგლებში თანამშრომლობა მიჩიგანისა და მისურის უნივერსიტეტებთან უნდა გაფორმებულიყო. ის საინჟინრო სპეციალობების განვითარებას გულისხმობდა.



„ჩვენ ვიცით, რომ 2011 წელს გარკვეული საინიციატივო ჯგუფი მუშაობდა ამ კონცეფციას, რომელმაც ეს კონცეფცია დასრულებისთანავე პარტნიორ ორგანიზაციას წარუდგინა, მხედველობაში მაქვს მილენიუმის კორპორაცია. მათ ჩაატარეს ყველა ის ანალიზი, რასაც ნორმალურად ატარებენ ხოლმე და პასუხი იყო აბსოლუტურად ნეგატიური და დასაბუთებული, რატომ იყო უარყოფილი ცალკე მდგომარეობა და მასში განსახორციელებელი საგანმანათლებლო პროგრამები – ეს იყო ძალიან ძვირი, ეკონომიკურად არაეფექტური, გათვლილი იყო ისეთ ოჯახებზე, რომლებიც იყვნენ შეძლებულები და შესაბამისად, ელიტარულ უნივერსიტეტად ჩამოყალიბდებოდა. არადა მილენიუმის კორპორაციას მუშაობა სხვა კუთხით უნდევს – ეს არის სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური განვითარების პროგრამა. ამ შემთხვევაში ეს უნდა მომხდარიყო საგანმანათლებლო სისტემის მეშვეობით, რაც დღეს ნამდვილად განხორციელდა, მაგრამ ის გეგმა, რომელიც არსებობდა, ძალიან მყარი არგუმენტაციით დაინუნეს“, – ეს უკვე განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ განაცხადა.



„არსებობს საკითხების ამ თანამშრომლობას განაბ

ქეთი ხატიაშვილი

მთავარი მიღწევები, ძირითადი აქცენტები, ახალი გამოწვევები და რისკიანი საფრთხეები – ეს საკითხები უნივერსიტეტის საბჭოს მდივანთან ჩვენი საუბრის მთავარი თემები იყო. „პრაიმტიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ ირინა იმერლიშვილთან გასული წლის შეჯამებით დავიწყეთ.

– პირველ რიგში, შევაჯამოთ 2014 წელი, რა ძირითადი ამოცანები იდგა უნივერსიტეტის საბჭოს წინაშე გასულ წელს?

– 2014 წელი ეროვნული უნივერსიტეტის საბჭოსთვის, ისევე, როგორც სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებისთვის ახალ პოლიტიკურ რეალობასთან ადაპტაციის წელი იყო. კონსტიტუციურმა ცვლილებებმა, რომლებიც ახლად არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადებისთანავე ამოქმედდა, გარკვეული გავლენა მოახდინა საბჭოს როლის ხელახალი გააზრების თვალსაზრისით. ეროვნული უნივერსიტეტის საბჭო კონსტიტუციური ორგანოა, რომელსაც პრეზიდენტი ხელმძღვანელობს. იმ პირობებში, როდესაც პრეზიდენტი აღარ არის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, აუცილებელი გახდა საბჭოს კომპეტენციასთან დაკავშირებული საკითხების მკაფიო ფორმულირება. ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტის საბჭოსთვის უნივერსიტეტის საბჭოს საქმიანობის თაობაზე, რომელიც, სხვა საინტერესო მომენტებთან ერთად, საბჭოს მუდმივმოქმედი წევრების

ის – შესაბამისი საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეების დამატებამ, უნივერსიტეტის საბჭო აქცია ორგანოდ, რომელიც ხელი-სუფლებების საპრეზიდენტო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების წარმომადგენლებს შესაძლებლობას აძლევს, იმსჯელონ და მიალმონ პოლიტიკურ კონსენსუსს ქვეყნის თავდაცვასა და უნივერსიტეტთან დაკავშირებულ საკითხებზე. როგორც პრეზიდენტის ხედვაში აღნიშნული, ამგვარი ცვლილებების შედეგად ეროვნული უნივერსიტეტის საბჭო, ინსტიტუციურად უზრუნველყოფს პრეზიდენტის სამუშაო ურთიერთობას როგორც მთავრობასთან, ისე პარლამენტთან, რაც უმაღლესი დონის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საბჭოს განსაკუთრებულ როლს აკისრებს და ის პოლიტიკური შეთანხმებების ორგანოდ მოიაზრება.

2014 წელს ყველაზე თვალსაჩინო, ალბათ, ნატო-ს უელსის სამიტისთვის მზადება და, საბოლოო ჯამში, თვით სამიტის შედეგი – ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი, რომელიც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ინსტრუმენტია.

ნატო-სთან და ევროპული უსაფრთხოების სისტემებთან ურთიერთობების გაღრმავების კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ საბჭოში მომზადებული გადაწყვეტილებები, რომლებიც საქართველოს შვიარაღებული ძალების ავღანეთში ე.წ. პოსტაისაფისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მიმდინარე



შემადგენლობის გაზრდას ითვალისწინებდა. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ საქართველოს პარლამენტმა, სამშობლოში სესიაზე, მიიღო ეროვნული უნივერსიტეტის საბჭოს შესახებ ორგანულ კანონში ცვლილებები, რომელშიც გაიზარა პრეზიდენტის ხედვა, რაც ქმნის წინაპირობას, რომ ეროვნული უნივერსიტეტის საბჭო უნივერსიტეტის პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავების „მოედნად“ ჩამოყალიბდეს. ორგანულმა კანონმა ეროვნული უნივერსიტეტის საბჭოს შესახებ მკაფიოდ განსაზღვრა საბჭოს კომპეტენცია. ამავე დროს, საბჭოს შემადგენლობაში ახალი წევრების

მისიებში მონაწილეობას შეეხება. საბჭოს აპარატის ხელმძღვანელები სისტემატურად ხვდებიან საქართველოში მომუშავე უცხოური საელჩოებისა და მისიების წარმომადგენლებს, მაღალი დონის უცხოელ სპეციალისტებს. გარდა ამისა, 2014 წელს საფუძველი ჩაეყარა და, შეიძლება ითქვას, სისტემური ხასიათით მიიღო საბჭოს აპარატის წარმომადგენელთა შეხვედრებმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ქართველ ექსპერტებთან. ამ შეხვედრების თემატიკა, მონაწილეთა გამოცდილება და კვალიფიკაცია საშუალებას აძლევს აპარატს, კვალიფიციური რეკომენდაციები

„უახლოეს პერიოდში დაიწყება მუშაობა კანონზე, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ უკანონო ფორმირებაში მონაწილეობა, წვრთნა ან მოწოდება, თავისუფლების აღკვეთით დასჯადი ქმედება იქნება“

ელი ნუსხა, რომლებთან დაკავშირებით ევროპა და აშშ რუსეთთან რკობენ და ტერორიზმთან ბრძოლა ერთ-ერთი ასეთი საკითხია

EXCLUSIVE

გაუნოს საბჭოს წევრებს და, უპირველესად, პრეზიდენტს ყველა იმ გამონკვევასთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას. საბჭოს აპარატი სისტემატურად ამზადებს უსაფრთხოების სფეროს მნიშვნელოვანი მოვლენების მიმოხილვას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს საბჭოს აპარატის თანამშრო-

– რა შეგიძლიათ თქვათ იმ ახალ საფრთხეებზე, რომლებსაც თქვენთვის საკუთრად ახლა აღმოჩნდა? რუსეთი შეიძლება ჩაითვალოს მთავარ საფრთხედ საქართველოსთვის?

– უკრაინაში სამხედრო დაპირისპირება, ახლო აღმოსავლეთში განვითარებული მოვლენები – ისლამური სახელმწიფოს შემოტევა ცივილიზებული სამყაროს წინააღმდეგ, გლობალური ტერორიზმის საფრთხის ზრდა – ყველა ეს საკითხი უშიშროების საბჭოს განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს. საქართველო, როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემების აქტიური მონაწილე, უშუალოდ არის ჩართული საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში. საკმაოდ რთული პროცესები, რომლებიც უშუალოდ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მიმდინარეობს. ამ კონტექსტში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად და-

უფრო ადეკვატურია, ვიდრე 2008-ში. დღეს დასავლეთი ბევრად უფრო მობილიზებულია, მათ შორის საქართველოს დაცვის თვალსაზრისითაც. ეს მთავარი მანსია საქართველოსთვის – ევროინტეგრაციის, ნატო-სთან დაახლოების ინტენსიფიკაცია, თავდაცვისუნარიანობის ამაღლების პროცესი საშუალებას მოგვცემს, შევამციროთ არსებული საფრთხეები.

– როგორ ფიქრობთ, პარიზის ტერაქტი როგორ შეცვლის დასავლურ პოლიტიკას? შეიცვლება თუ არა ამ კონტექსტში რუსეთის მიმართ დასავლეთის დამოკიდებულება?

– პარიზის ტერაქტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ტერორიზმი ცივილიზებული სამყაროს წინაშე არსებული მთავარი საფრთხე და გამონკვევაა. სიამაყით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო, მისი სიმცირის მიუხედავად, უკვე დიდი ხანია ანტიტერორისტული კოალიციის სრულფასოვანი წევრია და ჩვენი ქვეყნის დამსახურება ამ კუთხით, მუდმივად აღინიშნება ცივილიზებული სამყაროს ლიდერების მხრიდან. სამწუხაროდ, საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა ტერორიზმის წინააღმდეგ ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. ცხადია, ეს ტერაქტი ტერორიზმთან ბრძოლას კიდევ უფრო აქტიურ ფაზაში გადაიყვანს. ერთიანობის (სოლიდარობის) მარში მხოლოდ პირველი სიგნალია. ამერიკის პრეზიდენტი უკვე გამოვიდა ინიციატივით, 18 თებერვალს ვაშინგტონში უსაფრთხოების საკითხზე მსოფლიო სამიტი გაიმართოს.

არსებობს საკითხების მთელი ნუსხა, რომლებთან დაკავშირებით ევროპა და აშშ რუსეთთან თანამშრომლობას განაგრძობენ და ტერორიზმთან ბრძოლა ერთ-ერთი ასეთი საკითხია. თუმცა, დასავლეთის ქვეყნების პირველი პირების ბოლოდროინდელ განცხადებები ცხადყოფს – ამ ტიპის თანამშრომლობა რუსეთზე დაკისრებული სანქციების შემსუბუქებისთვის საკმარისი არგუმენტი არ და ვერ იქნება.

– რა კეთდება იმისთვის, რომ საქართველოს უსაფრთხოება სხვადასხვა მიმართულებით იყოს დაცული, ახალი საფრთხეები განალიზებული და საპასუხო ზომები მიღებული?

– კანონის თანახმად, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი უშუალოდ მონაწილეობს საფრთხეების შეფასების დოკუმენტისა და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებაში. ამ დოკუმენტების მთავარი მიზანი ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეების იდენტიფიცირება და ადეკვატური საპასუხო ზომების განსაზღვრაა. ორივე ეს უშიშვნივლოვანესი დოკუმენტი უწყებათაშორისი თანამშრომლობით მზადდება და შესაბამისად, პრაქტიკულად ყველა შესაძლო გამოწვევას ითვალისწინებს. ამავე რიგშია კიდევ ერთი სტრატეგიული დოკუმენტი – „საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია“, რომელსაც პრეზიდენტი ამტკიცებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობის კომპონენტი. ევროინტეგრაციის პროცესი, პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავება ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალზე ეფექტური ინსტრუმენტიცაა. ცხადია, ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი ნატოსთან თანამშრომლობის მუდმივი ინტენსიფიკაციაა. არსებითი პაკეტის სრულფასოვანი იმპლემენტაცია კრიტიკულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ზრდისთვის და აქედან გამომდინარე, საფრთხეების გასაწვინტრალდება.

„რუსეთს ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის ოცი პროცენტი და უკანასკნელი თვეების განმავლობაში ჩვენ მოხსნა ვართ, რომ ოკუპაციის რეჟიმი კრძალვად ანექსიად გარდაიქმნება“



მლობა პარტნიორი ქვეყნების ანალოგიურ უწყებებთან. 2014 წელს გაფორმდა მემორანდუმი პოლონეთის ეროვნული უშიშროების ბიუროსთან. მემორანდუმი თანამშრომლობის კონკრეტულ საკითხებს მოიცავს, მათ შორისაა რეგულარული კონსულტაციები, ინფორმაციის გაცვლა, სამუშაო შეხვედრები, ერთობლივი კონფერენციები და ა.შ. ვფიქრობ, ყველასთვის კარგადაა ცნობილი ის როლი, რომელსაც პოლონეთი საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესში თამაშობს. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ თვალსაზრისით პოლონეთი საქართველოს გამორჩეული პარტნიორია. იმედი გვაქვს, რომ მომავალ წელს მსგავსი მემორანდუმები სხვა ქვეყნების საბჭოებთანაც გაფორმდება. მუშაობა ამ საკითხებზე უკვე მიმდინარეობს.

– რა არის ის მთავარი აქცენტები, რომელიც უკვე 2015 წელს გაკეთდება?

– 2015 წელი უსაფრთხოების კონტექსტურ სისტემებთან, კერძოდ კი ნატოსთან თანამშრომლობის მხრივ არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება. არსებითი პაკეტით გათვალისწინებული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება საბჭოს საქმიანობის უმთავრეს პრიორიტეტად რჩება.

ეროვნული უშიშროების საბჭოს საკმარისი ერთ-ერთი ნიშანია მსოფლიოსა და რეგიონში მიმდინარე მოვლენების დინამიკაც. როგორც ჩანს, 2015 უსაფრთხოების თვალსაზრისით გლობალური გამონკვევების წელი იქნება.



ირინა იმერლიშვილი: „თავისი ქმედებებით რუსეთმა შელახა არა მარტო უკრაინის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, არამედ მთლიანად ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურა შეარყია“

paparazzi


ფოტო: თინა თუთისანი




ნოე სულაბერიძე და თიკა ჭანტუურიძე



ნუცა გუზალაძე



paparazzi



მარიამ კუჭაშვილი და ლევან სურცია

paparazzi



გიორგი ყიფშიძე და ჯულიანა ბარბნარი



გიორგი ყიფშიძე



paparazzi

ლევან ჩიჩუა და თათა მათიკაშვილი



ანრი ჯოსიაძე

paparazzi



ია უქილაური

„ეს იყო მინიშნება უნდა დაემხრო“



ხათუნა მგალობლიშვილი

მკვდარი სულების პრობლემა მეგობარ, მარტო პოლიტიკაში იყო... როგორც ირკვევა, ის თეატრალური სფეროსთვისაც არანაკლებ მტკივნეული თემაა და ზუსტად ისე, როგორც პოლიტიკაში – ოპოზიცია, თეატრში რეჟისორები ითხოვენ სიებიდან მათს ამოღებას... ამ შემთხვევაში მკვდარ სულად გია როინიშვილი დასახელდა და ის რეჟისორმა, ქეთი დოლიძემ საკუთარი თეატრის სიიდან ამოიღო. გადაწყვეტილებას ნინელი ჭანკვეტაძემ დაუჭირა მხარი და კონკრეტული შეფასებაც მისცა...

ნინელი ჭანკვეტაძე, მსახიობი:
– მე გასაგებად გამოვთქვი ჩემი აზრი როინიშვილთან დაკავშირებით, ამდენი საუბარი რა საჭიროა, რეკლამას ხომ არ უკეთებთ როინიშვილს?
– მიგაჩნიათ, რომ სამართლიანი გადაწყვეტილება იყო?
– ნადი თეატრში და იკითხეთ, მკვდარ სულზე ლაპარაკი. ამდენი ნული ადამიანი თეატრში არ გამოჩენილა და დღეს კიდევ პრეტენზია აქვს, რომ თეატრის მტატში იყოს, როცა ამდენი ანაღვარდას, ამდენი მსახიობს მაგაზე მეტად უჭირს ხელფასის აღება, მგონი, ეს არაკაცური საქციელია, მსუბუქად რომ ვთქვათ. ამის პოლიტიკურ სარჩულად მოხსენიება ცოტა უზნეობად მიმაჩნია. სირცხვილია, იმიტომ, რომ თავად ხედავთ, ვინც „ნაცმოდრობისთვის“ ტამს უკრავდა, მღეროდა, ცეკვავდა, არც ტელეკრანებიდან ჩამოდიან, არც სცენიდან და ეს მისასაღებელია. მე ეს მიხარია, „ნაცმოდრობა“ რომ მოსულიყო, წარმომადგენია, რა იქნებოდა, მართლა ჩარეცხვის მერე, რა მოუფ-

ლური, აგორებული პროცესი... დიდი ბოდიში, ვერაფრით დაგეხმარებით... ზურა ყიფშიძე, ნინელი ჭანკვეტაძე და კიდევ რამდენიმე მსახიობი ერთ მხარეს დარჩნენ... მათ თეატრალური სფეროს ბევრი წარმომადგენელი დაუპირისპირდა და ქეთი დოლიძისგან კონკრეტული ახსნა-განმარტებები მოითხოვა. თუმცა დოლიძე ყველას და, პიროვნულ რიგში, როინიშვილს ურჩევს, მისი დადანიშნულება არავინ გაბედოს...

ქეთი დოლიძე:
– მას მერე, რაც საქართველოს პარლამენტში შებრძანდით, მიუხედავად უამრავი თხოვნისა, არც ერთი სპექტაკლი არ გითამაშიათ. რუსთაველიდან აღმამენებელზე ჩამოსვლას ხელს რა უშლიდა?... მიუხედავად პარლამენტარის კარგი ხელფასისა, არასდროს გვიკადრია თეატრიდან თქვენი გაშვება და თქვენც წყნარად იღებდით ხელფასს. იმედი გქონდა, რომ თქვენს ძვირფას დროს დაგვითმობდით თვეში 2-ჯერ მაინც... თეატრი ლალატს ვერ იტანს... მსახიობს თუ შეუძლია, 4 წელი სცენაზე არ დადგეს, ის რაზე მელაპარაკება?



ზეზი ის არის, რაც დასახელდა, მაშინ გადახედონ სხვა მსახიობების აქტიურობებსაც, არიან მსახიობები, რომლებსაც ორი-სამი წელია, საერთოდ არ უთამაშიათ. მაშინ მათგან დავენიყო...

– ბევრია ასეთი, ვისაც დიდი ხანია, სპექტაკლში არ უთამაშია?

– ძალიან ბევრია ასეთი. არიან მსახიობები, რომლებსაც ხუთი-ათი წელია არ უთამაშიათ, მაგრამ ხელფასს იღებენ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი თეატრიდან უნდა გაუშვან. ერთ დღეს რომელიღაც რეჟისორს ეს მსახიობები აუცილებლად დასჭირდება.

– ხომ ვერ დავისახელებთ ერთ მსახიობს მაინც, რომელსაც დიდი ხანია არ უთამაშია?

– ვერა, ვერ გეტყვით. სჯობს, ამ სიტუაციას მივხედოთ, ამ ყველაფერს ერთი კარგი სპექტაკლი და როლი მოაგვარებს.

– იმედი გაქვთ, რომ როინიშვილი დაბრუნდება?

– იმედი მაქვს, რომ ყველაფერი დაწყნარდება, იმედიც მაქვს და მინდა კიდევც, როინიშვილი ძალიან კარგი პარტიზორია. ნიჭიერი ხალხი არ უნდა დაიკარგოს, არ აქვს მნიშვნელობა, რომელ პოლიტიკურ პლატფორმაზე იდგა ან დგას.

– თეატრის წესების მიხედვით, როდის აქვთ თეატრის ხელმძღვანელობას მსახიობის განთავისუფლების უფლება?

– თუ მსახიობი ერთხელ, ორჯერ ან კიდევ მეტჯერ იტყვის უარს როლის შესრულებაზე, ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციას აქვს უფლება, მსახიობს საყვედური გამოუცხადოს. ასეთი საყვედურების დაგროვების შემდეგ უკვე აქვთ უფლება, ის თეატრიდან გაათავისუფლონ. როგორც წესი, საყვედურის გამოცხადებამდე თეატრში იბარებენ ხოლმე. მიმაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ქეთი დოლიძეს გია უნდა დაეხმარებინა და ეთქვა: ან სპექტაკლებში ითამაშე, ან ნადი. თუ გია უარს იტყოდა კონკრეტული როლის შესრულებაზე, შემდეგ დაიხურებოდა საყვედური.

– არც დაუბრუნდება და არც საყვედური გა-

მოუცხადებია?

– არა, რომ დაეხმარებინა, ჩვენც ხომ გავიგებდით? საერთოდ, მიმაჩნია, რომ ასეთი ნიჭიერი არტისტები თითზე ჩამოსათვლელი არიან. ყველაზე მთავარია ის, რომ ჩვენ ერთმანეთს უნდა გაუფრთხილდეთ. მით უმეტეს, ახლა ისეთ პერიოდში ვართ, ვგულისხმობ ასაკს, გამოცდილებას, პრაქტიკას. რაც შეიძლება ბევრი როლი უნდა შევასრულოთ, ამის მაგივრად კი მსახიობები და თეატრი ერთმანეთს დაერივნენ.

– თუმცა ქეთი დოლიძე აცხადებს, რომ როინიშვილი თავად ამბობდა უარს როლების შესრულებაზე...

– თუ გია ამბობდა უარს, დაენერათ საყვედური, რატომ არ დაწერეს? გია როინიშვილს უარი რომ ეთქვა როლზე და ამის გამო საყვედური მიეღო, მაშინ ყველა დაინახავდა, რეალურად რა მოხდა და სალაპარაკო აღარავის ექნებოდა, მათ შორის გიასაც. მაგრამ სად არის ეს ოფიციალური მხარე, თუ სამართლებრივად მივყვებით?

– ყოფილა შემთხვევები როდესაც საყვედურის გარეშე პირდაპირ გაეთავისუფლებინათ მსახიობი თეატრიდან?

– პირდაპირი განთავისუფლების ფაქტები ყოფილა ნამდვილად... ეს სხვა თეატრებში მოხდა და ამაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს. ერთს გეტყვით, იმ შემთხვევებშიც ძალიან ცუდი ფაქტები მოხდა. არ მინდა ცუდი ამბების გახსენება.

ერთ-ერთი პიროვნული, ვინც როინიშვილს მხარი დაუჭირა, გოგა პიპინაშვილი იყო. ის დღემდე ცდილობს ქეთი დოლიძესთან შეხვედრას, თუმცა, როგორც „პრაიმტაიმთან“ საუბრისას განაცხადა, დოლიძე მის ზარებს არ პასუხობს...

გოგა პიპინაშვილი, მსახიობი, რეჟისორი:

– მე ვერ არ ვყოფილვარ თეატრში და არ მისაუბრია ქეთისთან. ბუნებრივია, ველაპარაკე გიას, მაგრამ ძალიან მინდა, ხელმძღვანელობას ვესაუბრო, მაინტერესებს, რა მოხდა, წარმოდგენა არ მაქვს, რა იყო საფუძველი. მე საბაბისად, როდესაც გავიგებ, რა მოხდა, რა ფაქტებია, რა არგუმენტებია,

თავარ ჭოხონელიძე: „ნიჭიერ ქვეყანაში ბიასნაირ ნიჭიერ მსახიობებს თეატრიდან არ ათავისუფლებენ“


ამიტომ, ჩემო კარგო, ხელშეკრულება ხან გაგრძელდება, ხან – ვერა. 30 წელია, თეატრში ვიყავი... გამოაკელით ის წლები, როდესაც პარლამენტში საგმირო საქმეებით იყავით დაკავებული...

მიუხედავად როინიშვილის პოლიტიკური ცხოვრების გახსენებისა, ქეთი დოლიძე კატეგორიულად უარყოფს, რომ მსახიობის თეატრიდან დათხოვის რეალური მიზეზი სწორედ პოლიტიკური ანგარიშსწორება იყო.

პოლიტიკურ ანგარიშსწორებაზე საუბარი არ სურთ არც როინიშვილის კოლეგებს, თუმცა აღიარებენ, რომ პასიურობა არ იყო საკმარისი მიზეზი მსახიობის გაგდებას.

რამაზ იოსელიანი, მსახიობი:

– ვინ რა სარჩულს დაუდებს, ეს მათი საქმეა, პოლიტიკას დავანებოთ თავი, თავად ფაქტია ძალიან ცუდი, რაღაც ძალიან ცუდი მოხდა. თუ მი-



ზურა ყიფშიძე: „ეს არის იაფფასიანი, სულელური, აბორიგული ზროცენი... დიდი ზოდისი, პერაფრით დაგეხმარებით“

„იურისტებმა მითხრას, რომ შემიძლია, თავისუფლად აღვიდგინო თავი თეატრში“

„ნიჭიერი“ ეტლუი და სტეირა



my View
თამარ გომბაძე

„ნიჭიერი“ მეხუთე სეზონმა კონკურსანტებით, ფინალისტებითა და გამარჯვებულთა ნამდვილად დაამტკიცა, რომ ის სახალხოა. და შესული ზარების რეკორდული რაოდენობა – 195 271 – ამაზე პირდაპირ მეტყველებს. 24 წლის თემო არაბიძისა და ქეთი ზაზანაშვილის ცეკვამ „ნიჭიერი“ მაყურებელს ასეთი შედეგი დაადგინა. წლებადელი ნიჭიერები არიან თემო და ქეთი. „წელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებთან დაკავშირებით ბევრი გვეგმა გვაქვს. ასეთი ნამყვანიც გვყავს. „ნიჭიერში“ ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი. ეს ადამიანები ჩვენ გვერდით არიან და ბევრად მეტის გაკეთება შეუძლიათ, ვიდრე ჩვენ. ძალიან ნიჭიერები არიან. მე მგონი ძალიან მაგარი სეზონი იყო, ამდენი ზარი არც ერთ შოუში არასდროს შესულა. ლისრულ არჩევანს ვულოცავ მთელ საქართველოს“, – გვითხრა ნიკა გვარამია.

პერფორმანსი, რომლითაც თემომ და ქეთიმ გაიმარჯვეს, რეალური ისტორიიდან არის აღებული და ის თავად თემოს გადახდა. ამაზე თვითონ ყვება.

ერთი წელი ხდება ეს წყვილი ერთად ცეკვავს. წყვილი თვითონ დგამს ცეკვებს. ყველაზე მეტად გამარჯვებული სანდრა რულოვის ზარმა და მილოცვამ გაახარა. სამი წელიწადი თემოს ცხოვრებაში გარკვეული ადგილი უჭირავს ქალბატონ სანდრას. ეს ადამიანი ჩემთვის ყველაფერიაო, ამბობს.

„ეს ჩვენი საზოგადოების გამარჯვებაა“

ასეთ განწყობაზე იყო თემო შოუს დაწყებამდე.

თემო არაბიძე: არაჩვეულებრივი განწყობით გავდივარ სცენაზე. ჩემთვის საპასუხისმგებლოა სცენაზე დგომა. მინდა მაყურებელს კარგი სანახაობა მაჩვენო. ჩემი ნომერი დედას ეძღვნება, რომელიც გარდაცვლილია. მე და ჩემი არაჩვეულებრივი პარტნიორი ქეთი პერფორმანსს ვდგამთ და ვცეკვავთ. ეს ცეკვა დრამით სრულდება, როგორც ჩემს პირად ცხოვრებაში დასრულდა. რეალური ისტორია გავაცოცხლე. ჩემი ოცნება მსახიობობა და მე აუცილებლად გავხდები

თემო არაბიძე: „ცეკვა გარდაცვლილ დედას, გამარჯვება კი სანდრა რულოვს მივუძღვენი“

მსახიობი. ვცდილობ ვითამაშო ის, რაც ჩემშია.

თემო ძალიან მიზანდასახული ჩანს. ის ბევრ რამეს მიაღწევს, სტარტი რომ კარგი აქვს, ყველამ ვალიაოთ. ამ მცხუნვარე „ჟილკას“ და ინტერესს შეიძლება მისი ახლანდელი მდგომარეობა ინვესტავს. თემო 2009 წლის 16 აგვისტოს მოყვა ავარიში და ექსიწელი საავადმყოფოს არის მიჯაჭვული. როგორც ამბობს, სურს სტერეოტიპის დანგრევა და შეხედულების შეცვლა – ცხოვრება სავარძელში რომ არ სრულდება.

გოგი გვახარიას ამასთან დაკავშირებით საინტერესო ბლოგი აქვს დაწერილი. გთავაზობთ მცირე ამონარიდს.

„ნიჭიერი“ გამარჯვებული გახდა წყვილი, რომლის გამარჯვება გარკვეული თვალსაზრისით ჩვენი საზოგადოების გამარჯვებაცაა, იმის იმედი, რომ 2015 წლის საქართველო მაინც უკეთესია, ვიდრე ის საქართველო, რომელშიც პირადად მე 1978 წელს ვცხოვრობდი. ენაზე ფინალი და დავრწმუნდი - ეს არის ერთადერთი საქართველოში, რომელსაც მოუს მოფიქრება, დადგმა, გადაღება შეუძლია... შეუძლია, ტელევიზორს ვერ მოწყვიტოს თუნდაც ისეთი უფშური მაყურებელი, როგორც მე ვარ. „ნიჭიერი“ ფინალის შესახებ საკმაოდ სკეპტიკური მოსაზრებებიც მოვისმინე. ისიც თქვეს, ქართველმა მაყურებელმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს ხმა მიტომ მისცა, რომ შეეცოდაო. მე არ მესმის, რატომაა „შეცოდება“ დამამცირებელი ქვეყანაში,

სადაც შეცოდება, თუ თანაგრძობადი ხანია, დეფიციტია. შეცოდების თუ თანაგრძობის უნარი რომ ჰქონდეს ქვეყანას, მაშინ იმაზეც იფიქრებდა, რომ ასიათასობით ეტლზე მიჯაჭვული ადამიანისთვის სიცოცხლის ელემენტარული პირობები შეექმნა. და თუ თემომ და ქეთიმ - ცრემლი რომ ვერ შეიკავეს სცენაზე და აქეთინდნენ - ამ ქვეყანას შეცოდების, სიბრალულის თუ თანაგრძობის უნარი გაუღვიძა, ეს სწორედ მათი ნიჭის წყალობით მოხდა! ე.ი. მათ დაიმსახურეს გამარჯვება“.

ცეკვა – დედას, გამარჯვება – სანდრას

თემო არაბიძე: მაყურებელმა მე და ქეთი აგვარჩია და ეს მოულოდნელი იყო, რადგანაც ყველა კონკურსანტი ღირსეული იყო. ძლიერი იყო კონკურენცია და ეს გამარჯვება იმდენად ამაღლებელი იყო, რომ ცრემლები წამოვიღე. საქართველო ნიჭიერად რომ გასახლებს, ძალიან ბევრს ნიშნავს. ძალიან საპასუხისმგებლო მომენტია და მოფრთხილება სჭირდება. მე და ქეთიმ მაყურებელს სიახლეები უნდა შევთავაზოთ.

– ცეკვა დედას მიუძღვენი და გამარჯვება?

– ეს გამარჯვება ჩემი ოჯახის დამსახურებაა და ის მე ქალბატონ სანდრას მივუძღვენი. ის ჩემი არაბიოლოგიური დედაა. ისე მენატრება მისი ჩახუტება, რომ ერთი სული მაქვს, როდის ჩამოვა საქართველოში რომ ჩავეხუტო. მინდა ის სიტბო განვიცადო, რასაც დედის ჩახუტებისას გრძობს ადამიანი. 2011 წლიდან ერთად ვიბრძვით. ერთად ვამსხვრევთ სტერეოტიპებს. ყოველთვის უნდა იყო მებრძოლი და აკეთო კარგი საქმე. კარგი საქმის კეთება ძალიან მსიამოვნებს. ქალბატონი სანდრასგან ბევრი რამ ვისწავლე. უპირველესად მოყვასის დახმარება. შეიძლება თავზე არ გადადმდის, მაგრამ ყოველთვის არის შენზე გაჭირვებული, ვისაც შენი დახმარება სჭირდება. უნდა აკეთო სიკეთე და ქველმოქმედება. მე და ქეთი ყოველთვის ვმონანილებთ საქველმოქმედო ღონისძიებებში. ვიცოდი, რომ დამირეკავდა და მომილოცავდა. ყველაზე დიდი ბედნიერება იყო მისი ხმის გაგონება. ჩვენ ბრძოლას გავაგძელებთ და სიკეთეს გავაკეთებთო, მითხრა.

2011 წელს, გარდაცვალებამდე, დედამ წერილი მისწერა ქალბატონ სანდრას. დედა 26 თებერვალს დაიღუპა, ქალბატონი სანდრა 17 აგვისტოს პირადად მოვიდა ჩემთან სახლში. მანამდე დაცვის თანამშრომელმა დარეკა და დედა, მაგული ჭაბუკიანი იკითხა. ჩემმა დამ უთხრა, რომ დედა გარდაიცვალაო. ამაზე დაცვის თანამშრომელი ისე შეწუხდა, თითქოს ახლობლის გარდაცვალება გაიგო გვიან. ნახევარ საათში ჩვენს სახლში ქალბატონი სანდრა მოვიდა.

– წერილში რა ეწერა?

– დედას ერთადერთი თხოვნა ჰქონდა, რომ თუ შესაძლებელი იყო მე დამხმარებოდა... თვითონ მძიმე სენით იყო ავად, მაგრამ თავის თავზე არაფერი უთხოვია. დედამ ჩემი ავარიში მოყოლა და ძმის გარდაცვალება საშინლად განიცადა, რამაც მისი ჯანმრთე-



ნიკა გვარამია: „ქალიან მაგარი სეზონი იყო, ამდენი ზარი არც ერთ შოუში არასდროს შესულა. ღირსეულ არჩევანს ვულოცავ მთელ საქართველოს“

EXCL

ელობა დაამძიმა და მალევე გარდაიცვალა. ამის შემდეგ ქალბატონი სანდრა ჩემ გვერდით დგას. ის მე მახარებს და მამედნიერებს, ჩემთვის ყველაფერია. მე და ჩემს დას ბინა გვიქირავა. მამა თერჯოლაშია. შაბათ-კვირას მე და ჩემი და მასთან ჩავდივართ ხოლმე. ბატონი გოჩას დამსახურებაა, რომ მე ცეკვა მიყვარს.

გოჩა ჭანკვეტაძე (თემოს პედაგოგი): ბავშვობაში თერჯოლის ანსამბლ „საპონელაში“ ცეკვავდა. ჩემი ანსამბლის სოლისტი იყო. გასულ წელს დამირეკა, ცეკვის დადგმა მინდაო. სიხარულით ცაში აფერინდი, ვიფიქრე ფეხზე გაიარა-მეთქი. შესახვედრად რომ მივედი და დააგვიანა, დაფურეკე – სად ხარ-მეთქი? თუ მო-

ხვედი ჩამოგვორდებო, მითხრა. მიხვდი, არაფერი შეცვლილა და დავიწყე ფიქრი, რა დავდგა-მეთქი. იქვე დარბაზში მოცეკვავე გოგონა ვნახე და უცებ დავედით ცეკვა. პირველი გამოსვლის მერე ზოგი ტიროდა, ზოგი იციინდა. ოვაციებით მიიღეს. თემო ინტერესიანი ბიჭია, მიზანდასახული და ის ბევრს მიაღწევს.

დამსხვრეული სტერეოტიპი

თემო: აჩიკო სოლოლაშვილის დამსახურებაა ჩვენი პერფორმანსი. როლებში ისე შევედით, ქეთი თავში ტიროდა, მე – ბოლოში. დრამა გამოვიდა.

– რა გადაგხდა ცხოვრებაში?

– აგვისტოში მოხდა ის, რაც სცენაზე გადმოვიტანე და მაყურებე-



ოტიპის მსხპრევის სურვილი



თეო არაბიძე:
 „იმიტომ, რამ უმადებ საზოგადოებას ეტლში მჯდომი კი არ შეეცოდება, არამედ დაემსხვრება სტერეოტიპი, რომ ცხოვრება ეტლში არ სრულდება. ეს არის არა შეზღუდული შესაძლებლობა, არამედ განსხვავებული შესაძლებლობა“

ACTIVE

გობი გვანარია: „ნიჭიერის“ გამარჯვებული გახდა წყვილი, რომლის გამარჯვებაც გარკვეული თვალსაზრისით ჩვენი საზოგადოების გამარჯვებაცაა“

„ავისტოვი მოხდა ის, რაც სცენაზე გადმოვიტანე და მაყურებელმა ნახა. შეყვარებულს დავპოვდი. ამ წარუმატებელი სიყვარულის შემდეგ კლიერი და შემართული გავხდი“

– მოგებულ თანხას რას მოახმარებ?
 – ჯანმრთელობას მოვამარ.
 – რა შეცვალა „ნიჭიერმა“?
 – ჩემი სურვილი იყო ფილარმონიის სცენაზე მეცეკვა. ვერ გეტყვით რა გრძნობაა ამხელა სცენაზე რომ გამოდიხარ გამოუცდელი და მთელი საქართველო გიყურებს, რთულია... პოპულარობა ჩემი მიზანი არ არის. ბოდიშს ვუხდი ყველას, ვინც უკვე მცნობს და მეტროში ვერ ვჩერდები და დროს ვერ ვუთმობ. ყოველთვის სადაც მივიჩქარი, ხან რეპეტიციაზე მაგვიანდება და ხან – სადაც. მაღლობა და ბოდიში. ამ პროექტმა ხალხის სიყვარული მომიტანა, გამიცნო საქართველომ. ეს „რუსთავი 2“-ის და „ნიჭიერის“ დამსახურებაა. მაღლობას ვუხდი ამ მეგა შოუს ყველა თანამშრომელს. იმიტომ, ჩემ შემდეგ საზოგადოებას ეტლში მჯდომი კი არ შეეცოდება, არამედ დაემსხვრება სტერეოტიპი – რომ ცხოვრება ეტლში არ სრულდება. ეს არის არა შეზღუდული შესაძლებლობა, არამედ განსხვავებული შესაძლებლობა.
 მე და ქეთის უცხოეთში გვინდა გამგზავრება, გვინდა ავიმადლოთ კვალიფიკაცია და მერე სხვებსაც ვასწავლოთ ცეკვა.



„ჩვენ მხოლოდ მემოზრები ვართ. იმისთვის, რომ სცენაზე კარგი წყვილი იყო, მსახიობური ნიჭი და პროფესიონალიზმია საჭირო. ჩემი ოცნება მსახიობობაა“

ლმა ნახა. შეყვარებულს დავპოვდი. ამ წარუმატებელი სიყვარულის შემდეგ ძლიერი და შემართული გავხდი. როცა ვინმეს უნდა ნასვლა, უნდა გაუშვა.
 – არ მოგილოცა?
 – არა. არ მოულოცია. „ნიჭიერის“ ჩანურაზე მოვიდა, ხომ არ ვრიგდებით-მეთქი ვიფიქრე, მაგრამ მას შემდეგ არ გამოჩენილა.
 – შენ და ქეთი მხოლოდ მეგობრები ხართ?
 – ჩვენ მხოლოდ მეგობრები ვართ. იმისთვის, რომ სცენაზე კარგი წყვილი იყო, მსახიობური ნიჭი და პროფესიონალიზმია საჭირო. ჩემი ოცნება მსახიობობაა, ყველა უნარში თამაში შემიძლია. კომედიას ვერ ვითამაშებ.



შეხვედებიან თუ არა ერთმანეთს სააკაშვილი და ივანიშვილი

ქეთი ხატიაშვილი

ვინ იქნება პირველი, ვინ – მეხუთე ან მეათე და ვინ რა საარჩევნო ტაქტიკას აირჩევს. საარჩევნო სიები და საარჩევნო მართონი. შეიძლება თქვათ, რომ არჩევნებამდე ჯერ ძალიან შორს არის, თუმცა პოლიტიკაში არც შორსმხედველი უნდა იყო და არც ახლომხედველი, მუდმივი მზადყოფნა ერთადერთია, რაც წარმატების მომტანი შეიძლება გახდეს. შესაბამისად, გარკვეული მონახაზი, როგორი საარჩევნო მართონი გელის წინ, უკვე არსებობს და მასზე მსჯელობაც დაწყებულია. კულისებში უკვე ვარაუდებსა და ვერსიებს გამოთქვამენ.

ყურადღების ეპიცენტრში მაინც ორი ძირითადი პარტიაა, ქოცები და ნაცები... არჩევნების მთავარ ინტრიგად კი ირაკლი ალასანია და რესპუბლიკელები რჩებიან. ექსპერტებს წინასწარ უჭირთ მათთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული ვარაუდის გამოთქმა. ფაქტია, რომ არც ალასანიაა ძლიერი და მით უფრო, არც რესპუბლიკელები.

დიდი კითხვის ნიშნები არსებობს მმართველ კოალიციასთან დაკავშირებითაც, ჯერ არავინ იცის, როგორ ფორმას მიიღებს ის საარჩევნოდ.

რა მთავარ შეკითხვებზე ცდილობენ პასუხების გაცემას ექსპერტები.

პირველი – ვინ იქნება საარჩევნო სიის სათავეში. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საარჩევნო სიის სათავეში მაინც პოლიტიკური ფიგურები იქნებიან და არა საზოგადო მოღვაწეები. ფიქრობენ, რომ პოლიტიკური პარტიები ძლიერ ლიდერებზე აქცენტირებას შეეცდებიან. ამ კონტექსტში არ არის გამორიცხული, „ნაციონალურ მოძრაობას“ სათავეში მიხეილ სააკაშვილი ჩაუდგეს. ბრალის წაყენება მას საარჩევნო ბატალიონში მონაწილეობის უფლებას არ უზღუდავს.

მათი მოსაზრებით, ვინც მიიჩნევენ, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდება, მმართველ კოალიციას საარჩევნო სიის სათავეში სწორედ ივანიშვილი ჩაუდგება. და მაშინ მიხეილ სააკაშვილი და ბიძინა ივანიშვილი კიდევ ერთხელ შეხვედებიან ერთმანეთს საარჩევნო მართონზე.

თუმცა არიან ისეთებიც, რომელთა აზრითაც, ნაციონალები და მმართველი კოალიცია უკვე იმ დონისა და გავლენებისა თუ შესაძლებლობების პარტიები არიან, რომ მათთვის პირველ ნომერს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნება. შესაბამისად, შეიძლება იყოს, მაგალითად, გიგა ბოკერია ნაციონალებიდან და ირაკლი ლარიბაშვილი (ან ვინმე სხვა) მმართველი კოალიციიდან. ეს მხოლოდ ვარაუდებია.

ექსპერტების მოსაზრებით და თავად ნაციონალების გათვლებითაც, მომავალ არჩევნებში ისინი 15-დან 20-მდე პროცენტს აიღებენ, რაც მათი სტაბილური ელექტორატია. სახელისუფლებო კოალიციის სასტარტო პროცენტი კი 40%-ს უტოლდება – ექსპერტების გათვლებით, სახელისუფლებო რესურსი მათ დიდ უპირატესობას აძლევს.

და რადგანაც სააკაშვილის ლიდერობაზე ისევ საუბარი, ყველა პარალელს მაინც 2003



არ არის გამორიცხული, „ნაციონალურ მოძრაობას“ სათავეში სააკაშვილი ჩაუდგეს. ბრალის წაყენება მას საარჩევნო ბატალიონში მონაწილეობის უფლებას არ უზღუდავს...

ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდება, მმართველ კოალიციას საარჩევნო სიის სათავეში სწორედ ივანიშვილი ჩაუდგება. და მაშინ მიხეილ სააკაშვილი და ბიძინა ივანიშვილი კიდევ ერთხელ შეხვედებიან ერთმანეთს საარჩევნო მართონზე

არასაპარლამენტო ოპოზიციაში მიიჩნიათ, რომ ნაციონალების პირველი ათეული განსაზღვრავს, რამდენად ჩაიკეტა ეს პოლიტიკური ქალა საკუთარ თავში და დაემსგავსა თუ არა ის სექტას...

მოხვდება ათეულში. რაც უფრო დაბალი პროცენტის ალბის შანსი აქვს ამა თუ იმ პარტიას, მით უფრო დიდ ვნებათაღელვას უკავშირდება ათეულის შემადგენლობა.

არასაპარლამენტო ოპოზიციაში მიიჩნიათ, რომ ნაციონალების პირველი ათეული განსაზღვრავს, რამდენად ჩაიკეტა ეს პოლიტიკური ქალა საკუთარ თავში და დაემსგავსა თუ არა ის სექტას. თავად ნაციონალების აზრით, ასეთ შეფასებებს მხოლოდ სუსტი პარტიები აკეთებენ, ანუ ისინი, ვინც დაინტერესებული არიან, ნაციონალების სიებით პარლამენტში მოხვდნენ. მთავარი ოპოზიციური პარტიის განმარტებით, გადანყვეტილება მიღებული ჯერ არ არის, ანუ ჯერ უცნობია, გააფორმებენ თუ არა კოალიციას ვინმესთან ნაციონალები. პარტიაში განმარტავენ, რომ ყველაფერი მაინც საარჩევნო კოდექსზე იქნება დამოკიდებული.

თუმცა, შიგნით პარტიაში კითხვის ნიშნები უკვე ისმის. ვინ მოხვდება ათეულში, ახალი სახეები თუ ძველი ლიდერები? თუ ორივე, მაშინ როგორი იქნება ბალანსი? ვისი ხალხი მოხვდება და ვისი – არა? კონკრეტულმა გვარებმაც უკვე გააფურცა, მაგალითად, ოთო კახიძემ, რომელიც ახლა ადვოკატია, მაგრამ დიდი შანსია, ნაცების ერთ-ერთი სახეც მალე გახდეს. და ვინ შეიძლება დარჩეს პროცესებს მიღმა, შეიძლება ეს იყოს, მაგალითად, გიგა წერეთელი? შეიძლება იყო ვინმე მერაბიშვილის ან ახალაიების „სასტავიდან“? ნაციონალებს რებრენდინგი აქვთ გამოცხადებული და შესაბამისად, ეს გარკვეულ ცვლილებებს, ანუ ძველი სახეების ახლით ჩანაცვლების მტკივნეულ, მაგრამ აუცილებელ პროცესს გული-სხმობს.

ასეთ თემებზე ნაციონალებში ჯერ არ საუბრობენ, დეტალები ჯერ ადრეა, არჩევნებამდე კიდევ დიდი დროა, ამბობენ ისინი. თუმცა, ეს ფრაზა პოლიტიკოსებისთვის უკვე შაბლონად იქცა. იყენებენ ყოველთვის და მაშინ, როცა კომენტარისგან თავის არიდება სურთ.

წლის რევოლუციასთან ავლებს. შესაბამისად, მათი აზრით, რევოლუცია კვლავ რჩება მისთვის ხელისუფლებაში დაბრუნების მთავარ მექანიზმად. არჩევნების მოგება მისთვის შეუძლებელი იქნება. ანუ ვადამდე არჩევნებს მოიგებს, დაგეგმილს – ვერა.

ექსპერტების ვარაუდით, 2003 წლის გათამაშება ახლა საკმაოდ რთული იქნება, იქიდან გამომდინარე, რომ მაშინ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი შევანიამ და მისმა გუნდმა ითამაშეს, ანუ ის მარტო არ იყო, ახლა კი მისი პარტნიორი შეიძლება მხოლოდ ირაკლი ალასანია გახდეს. ამ უკანასკნელის ძალები კი დაახლოებით იგივეა, რაც 2003 წელს კაკო ასათიანის გავლენები იყო.

მეორე – ყოველთვის დიდ ვნებათაღელვას იწვევდა საარჩევნო სიების ათეულები. ანუ ვინ



ეპატაჟური და აბრ უცხოელი ინვესტორ

მირიან ბოქლიშვილი

„პარტიზანი მებრძობა“, რომლის წარმომადგენლებმა საკრებულოსთან გამართული შეხლა-შემოხლის გამო სასამართლოსგან გაფრთხილება მიიღეს, „პანორამა თბილისთან“ დაკავშირებით ტაიმ-აუტს იღებს და საპროტესტო კამპანიის წარმართვას ამჯერად ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე გეგმავს. იქ, სადაც ინვესტორი რესტორან „ბუდაპეშტის“ ნაცვლად, ამავე სახელწოდების სასტუმროს აშენებას გეგმავს.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ამ ორგანიზაციამ და მისმა ხელმძღვანელმა, ნატა ფერაძემ გეგმები შეცვალეს. თავის დროზე ისინი ასეთივე ძალისხმევით აპროტესტებდნენ რესტორან, „ოტიუმის“ მშენებლობას, თუმცა აქციები მოულოდნელად შეწყდა და რესტორანიც უპრობლემოდ გაიხსნა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, მაშინ ამ ორგანიზაციასა და ინვესტორს შორის ფინანსური გარიგება შედგა. თავად ნატა ფერაძე ამას კატეგორიულად უარყოფს და მის წინააღმდეგ აგორებულ კამპანიაზე საუბრობს.

„არანაირი შეთანხმება არ შედგარა, პატრულმა ნაგვათრია, ბოლო აქციაზე ხალხი არ მოვიდა და მხარდაჭერების რაოდენობა ვერ შეგროვდა“, – აცხადებს ფერაძე.

ახლა „პარტიზანი მებრძობის“ სამიზნე კვლავ სასტუმრო „ბუდაპეშტის“, რომლის მშენებლობა იმ რესტორნის ტერიტორიაზე იგეგმება, სადაც ის 1958 წლიდან არსებობდა. ადგილი ვაკის პარკს არ ეკუთვნის. ინვესტორი ამბობს, რომ ისინი ეკოლოგიის დაზიანებას არ გეგმავენ და მშენებლობისთვის ყველა ნებართვა აქვთ. თუმცა ფერაძე მაინც დაჟინებით საუბრობს იმაზე, როგორ გაიჩეხება კუსტების მხარეს მისასვლელი გზა, რომელიც წლების წინათ გაიჭრა. ინვესტორისთვის „პარტიზანი მებრძობის“ შენიშვნები გაუგებარია.

„ჩვენ გვაქვს ყველა ნებართვა, არაფერს არ ვჭრით, არ ვარღვევთ. მოვიდნენ კომპეტენტური ორგანოები და მიგვითითონ, თუ რამეს ვარღვევთ. სახელმწიფომ არჩევანი უნდა გააკეთოს, რა უფრო მნიშვნელოვანია, 22-მილიონიანი ინვესტიცია თუ გრანტზე მომუშავე რამდენიმე ადამიანის ინტერესი“, – აცხადებს ინვესტორი, რომელიც მშენებლობაში 22 მილიონი დოლარის დახარჯვას და 2000-ზე მეტი სამუშაო ადგილის შექმნას გეგმავს, მათ შორის 400-ს მუდმივ საშტატო ერთეულზე.

ვინ დგას ორგანიზაცია „პარტიზანი მებრძობის“ უკან? ორგანიზაციას ქალბატონი ნატა ფერაძე ხელმძღვანელობს, რომელმაც საზოგადოებას თავი სწორედ თბილისის საკრებულოსთან მომხდარი შეხლა-შემოხლითა და უცენზურო შესტიკულაციებით დაამახსოვრა. ალბათ, გახსოვთ, ვეტერანი ფეხბურთელის, საკრებულოს წევრის მანუ-



EXCLUSIVE

ჩარ მაჩაიძის უკან მოცეკვავე ნატა ფერაძე და მისი შესტები. ამასთან დაკავშირებით ნატა ფერაძე აღნიშნავს:

„დიახ, არ ვნანობ და არც არავის ვებოდიშები ჩემს ამ შესტზე. ჩვენს დღევანდელ საკრებულოში, სადაც სრულიად არაფრად აგდებენ ელემენტარულ ქალაქგებარებით ეთიკას, სადაც წინასწარ ალწოდ 2 დღით ადრე წყვეტენ ამხელა მშენებლობას, სადაც ბიუროზე, ფაქტობრივად, არც განხილულა პანორამის საკითხი და ასე, „მეფე დელომ“ გააძვირინეს, რის მერეც ალექს მწვანე ამინთო, – რაც გინდათ ის ქენით, ოღონდ გადავჩიოთ, სადაც საზოგადოება „ტრუპია“ და ტრ... არ წევს აქციაზე მოსასვლელად, სადაც მანუჩარ მაჩაიძე ცირა ელისაშვილს უხსნის, რომ ცირა, ვიძინე-ლი. ქვეყნის მტერია და „ქართველს“ მშენებლობაში ხელი არ უნდა შეეშალოს“, იქ, უბრალოდ სხვა გზა არ გვაქვს, გარდა ასეთი ეპატაჟური გამოხტომებისა, რომ მიძინებული ხალხის ყურადღება მივიქციოთ და საკრებულოს ასეთ წევრებს ჩვენი პოზიცია დაუფიქსიროთ“, – წერს ფერაძე სოციალურ ქსელში.

ინვესტორი ექვობს, რომ „ამ აგრესიული



კამპანიით, ნატა ფერაძე არა თუ საზოგადოების, არამედ დონორი ორგანიზაციების ყურადღების მიპყრობას ცდილობს, რათა ისინი გრანტის გამოყოფის აუცილებლობაში დაარწმუნოს.

„ბუდაპეშტის“ მშენებლობის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს არაერთი ცნობილი სახეც გამოეხმაურა, მათ შორის ისინიც, ვინც თავის დროზე რესტორან „ბუდაპეშტის“ ხშირი სტუმრები იყვნენ. ადამიანები, რო-

მელთაც საზოგადოება დედაქალაქის კოლორიტებად იცნობს, წუხან, რომ ბოლო პერიოდში ეს ტერიტორია ნაგავსაყრელად იყო ქცეული და მხარს უჭერენ ინვესტორის ნამოწყებას.

რესტორან „ბუდაპეშტის“ ისტორიას მისი ბოლო დირექტორი, ჯონი დოლიძეც იხსენებს. ის რვა წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ამ დაწესებულებას.

„ბუდაპეშტი“ – ეს იყო არაჩ-

ვეულებრივი რესტორანი, რომელსაც თბილისის კოლორიტები სტუმრობდნენ. მე 1986 წელს დავინიშნე მის დირექტორად და 1994 წლამდე ვმუშაობდი. ეს ადგილი ვაკის პარკს არასოდეს ეკუთვნოდა, ეს იყო ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორია. ეს გზა და რესტორნის ტერიტორია სატყეოს ეკუთვნოდა, გზის მეორე მხარეს კი ვაკის პარკის ტერიტორია იყო. რაც შეეხება ახალი



დავით ნარმანია: „მშენებლებს მუშაობის გაბრკელების ლეგალური უფლება აქვთ“

ესიულის კამპანია რის წინააღმდეგ



ინვესტორი ეჭვობს, რომ „ამ აბრეისული კამპანიით, ნატა ჟერაკე არათუ საზოგადოების, არამედ დონორი ორგანიზაციების ყურადღების მიპყრობას ცდილობს“

სასტუმროს მშენებლობას, იქ არაფერი მოსაჭრელი არ იყო, ეს მშენებლობა ადგილზე არაფერს გააფუჭებს. მე გუშინაც მოვისმინე ტელევიზიით, სადაც ინვესტორი ამბობს, რომ მინის ქვეშ – ორი, ზევით კი ხუთი სართული იქნება. არ ჯობია, იქ ყველაფერი ლამაზად და სუფთად იყოს, ვიდრე დანაგვიანებული?!” – ამბობს დოლოძი.

მხატვარი თაზო ხუციშვილი კი იმ დროს იხსენებს, როდესაც ამავე ტერიტორიაზე რესტორანი „ბუდაპეშტი“ ფუნქციონირებდა. ცნობილი მხატვარი აღნიშნავს, რომ ეს ტერიტორია მაშინაც გამოყოფილი იყო ვაკის პარკისგან და მას კუს ტბის მხრიდან დამოუკიდებელი სამანქანო გზა ემსახურებოდა.

თაზო ხუციშვილი ცნობილი მხატვარი:

„რესტორანი „ბუდაპეშტი“ ცნობილი ადგილი იყო თბილისში. ჩვენც ხშირად ვსტუმრობდით იქაურებს. იქ ოდითგანვე იყო კუს ტბის მხარეს სამანქანო გზა გაკეთებული. რესტორანს კიდევ რაღაც სათავსი ჰქონდა გვერდით. გასაკვირი არ არის, რომ ბევრს ალარ ახსოვს, რა იყო და როგორც იყო. ალბათ, აქაც ისეთივე ამბავია, როგორც ყველა მშენებლობაზე, რატომ აშენდა ამსიმაღლე და ა.შ. ყველა ხერხს მიმართავენ, რომ ხელი შეუშალონ რაღაც წამოწყებას. თბილისი იყო ულამაზესი ქალაქი, იქ რომ რესტორანი იყო, ეს ფაქტია. იქ შეიძლება რაღაც ახლის აშენება, პროექტი უნდა გამოიტანონ, რომ საზოგადოებამ ყველაფერი ნახოს და დაწყნარდეს. მე პირადად არავითარი პრეტენზია არ მაქვს, რომ იქ ახალი შენობა აშენდეს. თუ იქ არაფერი მოიჭრება, რატომ არ უნდა აშენდეს“.

სასტუმრო „ივერიის“ ყოფილი დირექტორი, თბილისის კოლორიტი ვახტანგ ცხადაძე ამ ადგილზე ახალი სასტუმროს მშენებლობაში პრობლემას ვერ ხედავს, რადგან იმ-

ედოვნებს, რომ ამით „ბუდაპეშტს“, გარკვეულწილად, „ძველი დიდება“ დაუბრუნდება.

ის ერთ-ერთია მათ შორის, ვინც თავის დროზე ამ ადგილის ხშირი სტუმარი იყო. მეტიც, რესტორან „ბუდაპეშტი“ 300-კაციანი ქორწილიც კი გადაიხადა.

„როდესაც იქ რესტორანი იყო, პარკს არასდროს არაფერი ემუქრებოდა და ხალხს არასდროს აღიზიანებდა. უკან ჰქონდა ფანტასტიკური ადგილი, სადაც სიგრილე იყო და ქალაქელები ქეიფობდნენ. შიგნით იყო დიდი დარბაზი. მართალია, მთავრობიდან შეზღუდვები იყო, მაგრამ მე და ჩემი მეუღლის ოჯახმა იქ 300-კაციანი ქორწილი გადავიხადეთ. თამადა იყო ზურა ქაფიანიძე. არაჩვეულებრივი მომღერლები იყვნენ შეკრებილი. პოპულარული იყო ძალიან. უბრალოდ, ცუდ დროს დამთხოვა ეს მშენებლობა და ეს ინვესტორი ვიღაცების გაღიზიანებას, თორემ ის, რომ იქ ინვესტორი არაფერს დააზიანებს, დამტკიცებულია. ყველა ნებართვა ხალხის წინააღმდეგ არ იქნება გაცემული. უბრალოდ წინა ფაქტორებია ხელის შემშლელი და ამიტომაც უნდა განიხილონ. ჩხუბზე რომ ვართ გადასული, ხომ შეიძლება დავსხდეთ და კონსენსუსს მივაღწიოთ. ჩვენ დავკარგეთ ერთმანეთთან ურთიერთობის კულტურა. ჯერ პარლამენტში რა ხდება, იმის მაგივრად, რომ იდებატონ, ცხვირ-პირს ულენავენ ერთმანეთს. ასე არ შეიძლება“.

ამ ადგილთან თავისი მოგონებები აკავშირებს ქორეოგრაფ ჯემალ ჭკუასელსაც. მისთვის უცნობია სასტუმროს პროექტი, თუმცა ამბობს, რომ ამ ადგილას რესტორანი საკმაოდ წარმატებით ფუნქციონირებდა და ის ყველასთვის საყვარელ ადგილს წარმოადგენდა.

ჯემალ ჭკუასელი, მოცეკვავე: „საკმაოდ ხშირი სტუმარი ვიყავი „ბუდაპეშტის“. ჩემი მეგობარი იყო გურული კაცი, კუკური კალანდაძე,



რომელიც ამ რესტორანს ხელმძღვანელობდა. ყურადღებიანი კაცი იყო. ჩვენც ხშირად ვსტუმრობდით იქაურებს. ის საყვარელი ადგილი იყო ჩემთვისაც. ერთი ხის ფასი ვიცით, მე პროექტს არ ვიცნობ, ერთი მახსოვს, რომ ეს იყო კარგი გასართობი ადგილი და ხელს არავის უშლიდა“.

ყველა უნდა იცოდეს, რომ „ბუდაპეშტის“ სახით ცნობილ რესტორანთან გვაქვს საქმე, – ამბობს თბილისში ცნობილი მედიკოსი ბონდო კალანდაძე. მისი თქმით, ეს ის რესტორანია, რომელსაც თბილისის კოლორიტული ადამიანები სტუმრობდნენ. მაგალითისთვის ნოდარ დუმბაძეც კმარა, რომელზეც საინტერესო ისტორიას იხსენებს ბონდო კალანდაძე. ის რესტორნის ერთ-ერთი დირექტორის, კუკური კალანდაძის ნათესავია.

ბონდო კალანდაძე:

„რესტორანი „ბუდაპეშტი“ „კუს ტბის“ ასახვევთან იყო და ის ყველასათვის საყვარელი თავმჯდომარის ადგილი გახლდათ. განსაკუთრებით ზაფხულში. მე და ჩემი მეგობარი შევედით ერთხელ „ბუდაპეშტში“. ხეივანში მივუსხედით მაგიდას და ახალგაზრდობა მოვიგონეთ. მოვიდა მიმტანი. კერძების ჩამოთვლა რომ დაიწყო, – ნინილა და ქათამიო, მე გურული აქცენტით ვკითხე, – შენ, ძამა, თუ ხედავ მზეს-თქვა (გურული ვარ)? ვთქვი თუ არა ეს ფრაზა, გვერდზე სუფრაზე ვილაცამ, – „ერთი წამით, თუ შეიძლება“ და გამაჩერა. გავიხედე და ნოდარ დუმბაძე და ზურა ბოლქვაძე სხედან. ქეიფობდნენ. ერთი გამომცემლობის დირექტორი იყო, მეორე – მოადგილე. მითხრეს, შენ რაც აქ ამბები და შენი ისტორიები მოუყვი შენს მეგობარს, ჩვენთან მოიტანე ორშაბათის რედაქციაში, დაგობეჭდავთო. გავოცდი, რას ლაპარაკობთ, მე იქ მიმსვლელი ვიყავი? ამხელა ადამიანთან! არ მივედი. მაგრამ ეს ფაქტი ფაქტად დარჩა და ჩემს საუკეთესო მოგონებებშია. „ბუდაპეშტი“ საუკეთესო ადგილი იყო გართობისა და დასვენებისთვის. თუ ეს რესტორანი იმავე ადგილზე სასტუმროსთან ერთად გაიხსნება, ძალიან კარგია. უფრო მეტი ხალხი მივა. და ისტორია გაცოცხლდება! იმ ხალხს, ვინც იქ სასტუმროსა თუ რესტორნის გახსნას გეგმავს, ძნელი რჩევა მივცე, რესტორანში მცხელი სახეები გააცოცხლოს, მოიგონოს დირექტორები, რომელთა მუშაობასთანაც არის დაკავშირებული ამ რესტორნის სახელი, ის ხალხი, ვინც იქ დადიოდა, თბილისის კოლორიტები. ყველა უნდა იცოდეს, რომ ძველ, სახელოვან რესტორანთან გვაქვს საქმე. კარგია, ალდგეს, ამას მხოლოდ მივესალმები“.

გასულ კვირას ამ საკითხს დედაქალაქის მერიც გამოეხმაურა. დავით ნარმანიას განმარტებით, სასტუმრო „ბუდაპეშტის“ მშენებლებს მუშაობის გაგრძელების ლეგალური უფლება აქვთ.

„აღნიშნული საკითხი იხილება. ჩვენთან ერთი განხილვა იყო კიდევ პრობლემური მშენებლობების შემსწავლელ კომისიაზე. ვინაიდან საკითხი სასამართლოშია გასაჩივრებული და მიმდინარეობს დავა, ჩვენც ველოდებით სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას. თუმცა, ჩვენი პოზიცია არის ის, რომ ასეთი მოცულობითი მშენებლობები იქ არ უნდა იყოს, რადგან ეს შესაძლოა, ხეების გაჩეხის საფუძველი გახდეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ის უკვე ნითელ ხაზებში ზის და მათ შეუძლიათ, ლეგალურად გააგრძელონ მუშაობა, ჩვენ მაინც ვთავაზობთ მათ მოცულობის გადახედვას, რათა მომავალში, უფრო, ასე ვთქვათ, ნაკლები პრეტენზიების მქონე იყოს ეს ობიექტი. ერთი დარღვევა, რაც ამ მშენებლობაზე იყო და რაც ნითელ ხაზებს გარეთ ხდებოდა, მცირედი დარღვევა იყო, ამასთან დაკავშირებით რეაგირება მოახდინა ჩვენი ზედამხედველობის სამსახურმა და ობიექტი დააჯარიმეს“, – აცხადებს თბილისის მერი.

საპარტნიორო ფონდისა და „ყაზმუნაიგაზის“ ერთობლივი პროექტი „რიქსოს ბორჯომი“ გაიხსნა

დაბა ბორჯომს ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო კომპლექსი შეემატა RIXOS-ის სახით, რომელიც საპარტნიორო ფონდმა და ყაზახურმა კომპანიამ „ყაზმუნაიგაზმა“ ერთობლივად დააფინანსეს. უმაღლესი კლასის სასტუმრო კომპლექსი ლიკანში, ე.წ. IV-ე სამმართველოს სახელით ცნობილ ტერიტორიაზე განთავსებული.

სასტუმროს გახსნას პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი, ვიცე-პრემიერები, მთავრობის და პარლამენტის წევრები, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები, ყაზახეთიდან სპეციალურად ცერემონიისთვის ჩამოსული „ყაზმუნაიგაზის“ დელეგაცია დაესწრო.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა განაცხადა, კომპლექსის გახსნა რეგიონში გამოაცოცხლებს ეკონომიკას, „რიქსოს ბორჯომის“ ამუშავებით ლიკანი კი ძალიან მალე დაიბრუნებს თავის გამორჩეულ ადგილს საქართველოს კურორტებს შორის.

სასტუმროში 151 ნომერია - სტანდარტული, ლუქსის და საპრემიუმის. კომპლექსი აერთიანებს რესტორანს, კაფე-ბარებს, საკონფერენციო დარბაზებს, ჩოგბურთისა და ფეხბურთის სათამაშო მოედნებს, სპა ცენტრს, საცურაო აუზს, ბავშვთა გასართობ ცენტრს „რიქსი ქლავს“ და დამხმარე ნაგებობებს. კომპლექსი თანამედროვე დიზაინით დააპროექტა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოაწყო ცნობილი თურქულმა კომპანიამ „დეკონმა“.

საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ირაკლი კოვზანაძის განცხადებით, ტურისტულ ბაზარზე დაბრუნდა კურორტი, რომელიც პოპულარული და



„რიქსოს ბორჯომი“ პირველი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, რომელიც საპარტნიორო ფონდისა და ყაზახური კომპანია „ყაზმუნაიგაზის“ ერთობლივი ინვესტიციით ლიკანში აუხსნა

ერთ-ერთი გამორჩეული და სასვენებელი ადგილი იყო. „სასტუმრო შექმნის ახალ სამუშაო ადგილებს და რეგიონის ეკონომიკურ და ტურისტულ ცხოვრებას გამოაცოცხლებს, 50 ადგილობრივი კოოპერატივი უკვე მიბმულია

სასტუმროს, რაც ადგილობრივებისთვის სერიოზული წამახალისებელი ფაქტორია“, - აღნიშნავს ირაკლი კოვზანაძე. კოვზანაძის თქმით, მშენებლობის პროცესის დროს ობიექტზე 300-600 კაცამდე მუშაობდა ყოველდღიურ რეჟიმში. ამჟამად, 200 ადგილობრივი უკვე დასაქმდა სასტუმროში და მენეჯმენტი გეგმავს მომავალში მათი რიცხვის კიდევ გაზრდას.

ყაზახური ნავთობკომპანია „ყაზტრანსოილის“ დირექტორი ბატონმა კაბილდინ კაიერგელდიმ, რომელიც სასტუმროს გახსნის ცერემონიაზე დასასწრებად სპეციალურად ჩამოვიდა ყაზახეთიდან, ხაზი გაუსვა საქართველო-ყაზახეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარტნიორობას.

პროექტის ფარგლებში კეთილმოეწყო სასტუმროს გარე ტერიტორია, კერძოდ - გზები, ახალი პარკინგი 50 მანქანაზე და რეაბილიტაცია გაუკეთდა კომპლექსის დამხმარე ნაგებობებს. კომპლექსში განთავსდა სპა და სამედიცინო ცენტრები. სპა ცენტრში შესაძლებელია უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით სახის და სხეულის გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარება. ხოლო სამედიცინო ცენტრში შესაძლებელია ბალნეოლოგიური სამკურნალო და სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო მომსახურების მიღება.

სასტუმროს ოპერირებას სასტუმროების ცნობილი ქს-



ელი „რიქსოსი“ ახორციელებს, რომელიც ამ პროექტით პირველად შემოვიდა საქართველოში.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, RIXOS-ის საქართველოში შემოსვლა უკვე ძალიან დიდი მნიშვნელობის ფაქტია. „RIXOS-ი შემოიტანს სერვისის საერთაშორისო

სტანდარტს ქვეყანაში, ხოლო ამ პროექტის განხორციელებით ყაზახი ინვესტორები დაბრუნდნენ საქართველოში“, - განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა გახსნის ცერემონიაზე. კვირიკაშვილის თქმით, სასტუმროს ფუნქციონირება ადგილობრივებს დაასაქმებს და მიმდებარე ინფრასტრუქტურის განვითარებას ხელს შეუწყობს.



ირაკლი ვაჭარაძე: „იდეტობის“ თანამშრომლად ვრჩები, არსად არ წავსულვარ“

ხათუნა მაგლობლიშვილი

„იდეტობის“ მიმართ სერიოზული ბრალდებები გაუღერდა. ორგანიზაციის უკვე ყოფილ აღმასრულებელ დირექტორს კუდის აგენტობაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ ირაკლი ვაჭარაძემ სწორედ გაუღერებული ბრალდებების გამო დატოვა თანამდებობა. გარდა ამისა, როგორც ამბობენ, მისი გეგმები უკვე არა „იდეტობას“, არამედ პოლიტიკას უკავშირდება. ორგანიზაციამ საკუთარი რეაქცია ბრალდებებთან დაკავშირებით სარჩელის შეტანით გამოხატა. საქმის გამოძიების დასრულებამდე კი გადაწყვეტილება მიიღეს, კომენტარებისგან თავი შეიკავონ. სარჩელის შესახებ კი დეტალურად თავადვე ავრცელებენ: „ბოლო დღეებში უშუალოდ ირაკლი ვაჭარაძისა და ორგანიზაცია „იდეტობის“ მიმართ განხორციელებული პერმანენტული მუქარების საპასუხოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით. გამოძიებას აწარმოებს ძველი თბილისის პოლიციის #7 განყოფილება. 151-ე მუხლით საქმის სისხლის სამართლებრივი კვალიფიკაცია საბოლოო არაა და შესაძლოა, გამოძიების მიმდინარეობის პროცესში დამძიმდეს“.



ანთ სარჩელს?

— როგორც კი მზად გვექნება. ჯერჯერობით მზად არ არის.
— ერთ-ერთი მთავარი კრიტიკა, რომელიც თქვენი ორგანიზაციის მიმართ გაუღერდა, პოლიტიკური აქტივობაა. როგორც ამბობენ, თქვენი წარმომადგენელი დეკემბერში თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ გამართულ აქციაზე იმყოფებოდნენ...

— ერთი მხრივ, ჩვენ, როგორც ორგანიზაცია, შეიძლება ვაფიქსირებდეთ იდეას, მეორე მხრივ, ჩვენ, ყველანი, დამოუკიდებელი აქტივისტები ვართ და შეიძლება, მონაწილეობა მივიღოთ რომელიმე აქციაში. მე არ ვყოფილვარ თქვენ მიერ ხსენებულ აქციაზე და გამიჭირდება ამაზე პასუხის გაცემა. ჩვენ დამოუკიდებლად ვაფიქსირებთ ჩვენს პოზიციებს. თუ რომელიმე ჩვენგანი რომელიმე აქციას ესწრება, არ არის აუცილებელი, თითოეული ჩვენგანის დამოკიდებულება აღქმულ იყოს, როგორც მთელი „იდეტობის“ პოზიცია.

„თავისუფალი თაობის“, წარმომადგენლის განცხადებით, ირაკლი ვაჭარაძემ პოსტი პოლიტიკური გეგმების განხორციელების მიზნით დატოვა. ლადო სადღობელ-

ამვილი ირწმუნება, რომ „იდეტობის“ ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი მალე პოლიტიკური მესიჯების გახმოვანებას დაიწყებს და არ არის გამორიცხული, ის ერთ-ერთი მთავარი ოპოზიციური პარტიის საარჩევნო სიამოც ვიხილოთ.

ლადო სადღობელაშვილი, „თავისუფალი თაობის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი:

— ეს პიროვნება უკვე დიდი ხანია, კუდის თანამშრომლების მიერაა „დავერობოვებული“. თავდაპირველად მას რიგითი ადამიანების გასაფუჭებლად იყენებდნენ, ვგულისხმობ თავისუფლებაზე მყოფი ადამიანების გასაფუჭებლად. ჩემი ინფორმაციით, მას, ასევე, აგზავნიდნენ ციხეებში. კონკრეტულად ვაჭარაძეს ახალაიები და ნაციონალების ლიდერები აკონტროლებენ. თანამდებობიდან მისი ნასვლა განპირობებულია მისივე შეფუების დაკვეთით. როგორც ჩემთვის ცნობილია, მალე ის პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას დაიწყებს.

— ამბობთ, რომ ვაჭარაძე პოლი-

ნიზებით ჩატარდა. ვაჭარაძეს ხელში ეჭირა პოლიტიკური დატვირთვის საპროტესტო ღიაკატი და თავდაცვის მინისტრის გადაყენებას ითხოვდა. რა კავშირია „ლგბტ“ უფლებათა დამცველსა და თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ გამართულ აქციას შორის? ჩემი ინფორმაციით, ის გეგმავს, გააქტიურდეს, როგორც პოლიტიკური ფიგურა. მას გამოიყენებენ, როგორც პოლიტიკური მესიჯების გახმოვანებელს. ვაჭარაძე ტიპური ნაციონალია, შეიძლება მან ეს გააპროტესტოს, მაგრამ მის განცხადებებს რომ გადახედოთ, მიხვდებით, რომ სიმართლეს ვამბობ.

— თქვენ საუბრობთ პიროვნულად ირაკლი ვაჭარაძეზე თუ „იდეტობაზე“, ანუ ორგანიზაციაზე ნაციონალების მხარდაჭერა?

— როდესაც ვაჭარაძე 100%-ითაა გაიგივებული „იდეტობასთან“, ხოლო ის ნაციონალების მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებს, ბუნებრივია, ეს იმას ნიშნავს, რომ „იდეტობაც“ იზიარებს ვაჭარაძის პოზიციებს ნაციონალებთან დაკავშირებით.

თავად ირაკლი ვაჭარაძე უარყოფს ინფორმაციას პოლიტიკურად გააქტიურების შესახებ, ხოლო პოსტის დატოვებას „იდეტობის“ წესდებით ხსნის...

ირაკლი ვაჭარაძე, „იდეტობის“ თანამშრომელი:
— „იდეტობაში“ თანამდებობა დავტოვე, შინაარ-

სობრივი საქმიანობის გაგრძელება რომ შევძლო. „იდეტობის“ თანამშრომლად ვრჩები, არსად არ წავსულვარ.

— ცვლილებას წესდება მოითხოვდა, თუ იმ ბრალდებების გამო გადაწყვეტილი წასვლა, რაც თქვენს წინააღმდეგ ისმის ბოლო პერიოდში?

— წესდების თანახმად, ორგანიზაციის აღმასრულებელ დირექტორს ყოველ წელს უგრძელდება ვადა ერთი წლით. შეგიძლია, დემოკრატიულად იმუშაო რამდენიმე წელი და შემდეგ სხვა ადამიანს მისცე მანძი, რითაც უფრო დემოკრატიული გადადება ორგანიზაცია, ან შეიძლება არადემოკრატიულად მოიქცე და მთელი ცხოვრება გააგრძელო ხელმძღვანელობა. მე დემოკრატიული გზა ავირჩიე.

— რაც შეეხება პოლიტიკაში ჩართვას, როგორც ამბობენ, პოლიტიკური გეგმებიც გაქვთ...

— არ ვაპირებ პოლიტიკაში ჩართვას, „იდეტობაში“ ვაგრძელებ საქმიანობას.

— შემოთავაზება ხომ არ ყოფილა პოლიტიკური პარტიიდან?

— არასოდეს არ ვყოფილვარ არც ერთ პარტიაში და არც მწოდებია... შესაბამისად, არ არის ეს სიმართლე.

— საარჩევნო სივრცეში ხომ არ შეიძლება გიხილოთ?

— ვინმემ გაავრცელა ეს ინფორმაცია? არა, ნამდვილად არ ვაპირებ პოლიტიკაში ჩართვას.

რაც შეეხება 151-ე მუხლს, ის სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ან ქონების განადგურების მუქარას გულისხმობს და ისჯება ან ჯარიმით, ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, ან თავისუფლების ერთწლიანი აღკვეთით.

„იდეტობის“ წევრები იმედს გამოთქვამენ, რომ ჩამოთვლილი სასჯელებიდან ერთ-ერთის მოხდა აუცილებლად მოუწევს „თავისუფალი თაობის“ ხელმძღვანელს, ლადო სადღობელაშვილს.

წინო ბოლქვაძე, „იდეტობის“ იურისტი:

— ჩვენ უკვე შევიტანეთ სარჩელი, საქმე აღძრულია და ამ ეტაპზე, სანამ გამოძიება არ დასრულდება, ამ თემასთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ გვინდა. რა ინფორმაციაც მივიჩნიეთ საჭიროდ, ის გავასაჯაროებთ.

— ყველა ბრალდებაზე აპირებთ სარჩელის შეტანას?

— დიახ, ეს გვაქვს კიდევ გეგმაში და ვმუშაობთ.

— როდისთვის შეიტ-



ლადო სადღობელაშვილი:
„ჩემი ინფორმაციით, ირაკლი ვაჭარაძე გეგმავს, გააქტიურდეს, როგორც პოლიტიკური ფიგურა. მას გამოიყენებენ, როგორც პოლიტიკური მესიჯების გახმოვანებელს“

ტიკურად გააქტიურებას გეგმავს?

— დიახ, ასეა. ამის დამტკიცება მარტივად შეიძლება, თუ გავიხსენებთ მის აქტიურობას 2014 წლის ბოლოს, როდესაც თავდაცვის სამინისტროსთან გამართულ აქციაზე გამოჩნდა. აქციაზე, სადაც მინისტრის გადაყენებას ითხოვდნენ. საინტერესოა, რა უნდოდა „ლგბტ“ უფლებების დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენელს აქციაზე, რომელიც თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ იყო მიმართული? თანაც აღნიშნული აქცია „ნაციონალური მოძრაობის“ ორგა-



წინო ბოლქვაძე: „არ არის აუცილებელი, თითოეული ჩვენგანის დამოკიდებულება აღქმული იყოს, როგორც მთელი „იდეტობის“ პოზიცია“

სოფრეხების გზა

EXCLUSIVE

„მე და ანა ერთ ნელსა და რიცხვში ვართ დაბადებული. უმძიმესი პერიოდები გვქონია, მაგრამ ასე მოვღივართ. სიყვარული ურთიერთდათმანა და ურთიერთდათმობაა. კარგი ცოლქმრობა აწყვეტილი ნათესაობა“

„ერთხელ პატრიარქმა მითხრა, გიორგი, სასულიერო ცხოვრებაზე იფიქრეთ. გავში, ამაზე არ მიფიქრია. სახლში მიმავალი საღებავებით დასვრილ შარვალს ვუყურებდი და ვფიქრობდი, საღებავიანი თითები მირჩევნია თუ ანაფორით სიარული. მივხვდი, რომ საღებავით მერჩივნა მემსახურა. ჩემი გადანყვეტილება მისთვის აღარ მითქვამს. ვფიქრობ, სწორი გადანყვეტილება მივიღე. ამ გზაზე ძალით ვერ წავიდოდი“

„მიჰყავი მშობლია და დასთან და ის მიუბნება, როგორ მიხდა შენ საქმე აკეთო შენი ქვეყნისთვის, მიხდა სატვა გააბრაქლოო. მე, სხვათა შორის ჩავილაპარაკე, მხატვარიც გავხდები და რეპორტიჟ-მეთი“




მეოთხე გამოფენა. ჩემ გარშემო შეკრება დანიყო საინტერესო ახალგაზრდულმა ჯგუფმა - კარლო კაჭარავამ, მამუკა ცეცხლაძემ, მამუკა ჯაფარიძემ, გოგა მალაქელიძემ. ელისო ვირსალაძის სამუსიკო ფესტივალზე თელავში გვეკონცერტო. ქარვასლა რომ საგამოფენო დარბაზია, ეს ჩემი დანაშაულია. თემო ბერიძე იყო ქარვასლის დირექტორი და დავაფერე, რომ იქ უნდა ყოფილიყო გამოფენა. 1984 წელს პირველი ჯგუფური გამოფენა გაკეთდა ქარვასლაში. ოლეგ ტიმჩენკო და ნიკო ცეცხლაძე შემოვიტყვევებოდა. ზაფხულის განმავლობაში სამი-ოთხი გამოფენა მივამატე. ელგუჯა ამაშუკელის და თემო გოცაძის მხარდაჭერით მხატვრის სახლში მე და ლევან ქოლოძემ დაგვკეთებ გამოფენა - „ისტორიდან“. „ქართლის ცხოვრება“ შევასრულე. რომ არა ვაგნერიანული იდეალიზმი 40-მდე დიდ სურათს ვიბეგავებოდა ახალგაზრდა ბიჭი რატომ დავხატავდი? დავხატე საქართველოს ისტორია ფარნავაზიდან - „მოქცევა ქართლისა“ ჩათვლით. ეს არ იყო ილუსტრაცია.

სერიოზული რეზონანსი მოჰყვა. ლევანს მეფეების არაჩვეულებრივი პორტრეტები ჰქონდა დახატული, გრემის მუხურებიდან შეკვეთა ჰქონდა. ხალხზე ნამუშევრებმა ისე იმოქმედა, რომ გამოფენაზე მოსულები სახლიდან ანთებდნენ ნახატების წინ. ასეთი რეაქცია მე გამოფენებზე არ მიხსახვს. გამოფენაზე სახლიდან მოდიოდა დამთვალიერებელი. მხატვრის სახლში რიგი იდგა. 1985 წლის მაისის ბოლო იყო.

- და გახდით გია ბულაძე.
- რა ვიცი, ანა? რომ გაიგებდნენ 27 წლის ვიყავი, გოცაძელები რჩებოდნენ. მე ჩემთვის ვიყავი. მახსოვს, დავით გარეჯში წავიდა ანასთან ერთად. ჯინსებიანი პატარა მცველი ბიჭი უდაბნოს მხარეს გადმოგვიყვანა. იქ უდიდესი ფერწერაა, რომლის მსგავსი მსოფლიოში არ არის. უყურებ გენიალური დავით გარეჯის ფრესკებს და ამ დროს ეს ბიჭი მეკითხება, გია ბულაძე შენ ხარო? რადიოში მოუსმენია და იცოდა ჩემ შესახებ. სახით ცნობილი არ ვიყავი. ამას რომ იმ დროს გარეჯში გეტყვიან, მენიშნა და ამაღლევა, არ ველოდი. ეს ბიჭი მერე ეპისკოპოსი გახდა... „ქართლის ცხოვრებას“ მოჰყვა „აცამეთი ასურელი მამა“ - შიომღვიმეში გატარებული იმ ღამის დიდი ინსპირაციის შედეგი! 80-ზე მეტი დიდი სურათი დავხატე. ეს ნამუშევრები ჩვენს საზოგადოებას არ სჭირდება და ჩემს სარდაფში ლპება. რაღაც ნაწილი გაიყავი, ლაშასაც აქვს, ამერიკაშიც წაიღეს. ამ სერიის ხატვისას მე ტექსტზე ვმუშაობდი. ვიზუალიზაციას, ვულარ-მაგებობით და ტექსტით ამოდიოდა ხატვაზე. ასე გადმოქმნიდა. „ბჭვი ქვაბისაი განიხებნა ცაღმდე და იხილვე-ბოდა მწყობრი ანგელოზთაი“ - შიომღვიმის ცხოვრებიდან მისი მისტიკური გახსნა. ნახატს ვანერდი ბოლოში ამ ტექსტებს. ასე ვვითარდებოდი.

სოციალურის შეცვლა მიხდოდა. ქუჩაში გასვლის და მხატვრის ინიციატორი გახლდით. მხატვრის სახლის კიბე-



ები მოვხატე. ლაშამ უნივერსიტეტში რომ ჩააბარა, სხვების ფულს ვერ ვიხდით და პარმენ მარგველაშვილთან - პრორექტორთან მივედი. შევჩივლე, ფულს ვერ ვიხდი და სანაცვლოდ რაღაცაში გამომიყენეთ-მეთუ. როინ მეტრეველს შემახვედრა. პარმენმა გუმბათზე შემახვედრა, მოხატავო? რატომაც არა-მეთუ და ასე გამომიქეთეს ლაშას განათლების ფული. მე რე სხვა უნივერსიტეტი მოვხატე და ჩემი ნიშა აღმოჩინეს, რომ დიდ კედელზე ხატვა შემიძლია. ხარაზოზე სიარული მიჭირდა, თავბრუს მეხვეოდა, მაგრამ ვეჩვენოდი. ყველაზე მასშტაბურ ფორმატზე მომუშავე მხატვარი ვარ. ტექნიკურ უნივერსიტეტში დიდ და-ცარიანი ვიყავი დიდი ხნით და ახლა უფროსი თაობის დელეგაცია მომადგა და მიხვედრა, რომ ჩემს თავზე ანელო აკადემიის რექტორობა. რადგან დედას დავიწვინე ბევრიც არ მიფიქრია და დავთანხმდი. 2003 წელს გავხდი კიდევ რექტორი. იმ პერიოდში შვილ-ცარიანი ვიყავი დიდი ხნით და ახლა ზოგჯერ მეუღლე მეუბნება, იქნებ არ უნდა ჩამოსულიყავი და რექტორობას არ უნდა დასთანხმებოდიო. მე პატრიოტული იდეები მანუზება, საქართველო უზომოდ მიყვარს. ჩემი გზა ეს იყო. და არ ვნანობ.

რექტრობა
„ეს არავეისთვის მომიყოლია. 17 წლის ვიქნებოდი, დედა ცუდად იყო, მე აღარ ვხატავდი, მხოლოდ ვკითხულობდი და ვამბობდი, მხატვრობაში თავს ვერ ვპოულობ-მეთუ. მივედი მწლიარე დედასთან და ის მეუბნება, როგორ მინდა შენ საქმე აკეთო შენი ქვეყნისთვის, მინდა ხატვა გააგრძელო. და მე, სხვათა შორის ჩავილაპარაკე, მხატვარიც ვაყავი და აკადემიის რექტორიც-მეთუ. ასე გავისროლე. სიმართლე გითხრათ, ეს ეპიზოდი კარგა ხანს არც მახსოვდა.“

კანონმდებლობასთან დაკავშირებით მძიმე რეფორმა ჩავატარე. უმაღლესი სასწავლებლის ბოლონის პროცესთან (ფინანსების პროგრამული მართვა) ინტეგრაცია საკმაოდ რთულია. კანონმდებლობა ყოველკვირად იცვლებოდა. ომი და ბრძოლა იყო. აკადემიაში დღესაც ის სისტემაა, რაც სამი წლის წინ დავტოვე. არაფერი შეცვლილა მიუხედავად იმისა, რომ ჩემ შემდეგ დიდი ომები იყო. საკმაოდ რბილი ვიყავი, მაგრამ რამდენიმე ადამიანის მიმართ კიდევ უფრო რბილი უნდა ყოფილიყო. სხვა არაფერი შეცვლია არ მქონია, მე რომ შეცდომა მქონ-


და, ვინ მათკებდა? რაც ყველაზე მთავარია, საქართველოს ისტორიაში მე ვარ პირველი რექტორი, რომელმაც ორი არჩევით დანიხი და დაასრულა მოღვაწეობა. სხვებს ან ხსნიდნენ ან აძევენდნენ. არც ერთი გადახვევა არ მქონია. ჩემ შემდგომებს მეტი თავისუფლება რომ ჰქონოდათ მე პროფესორობაზე შევწყვიტე აკადემიაში. ჩავთვალე, რომ სადაც ხარ პირველი იქ რიგითი არ შეიძლება იყო. აკადემია მიყვარს, ვფიქრობ, გულსწყვეტაც მაქვს, მაგრამ ასეთი ვარ. სასწორი ვარ, სულ ბალანსი მაქვს. ერთდროულად ბებურიც ვეკარ და ჩვილ ბავშვსაც, თან რომ ტირის და თან იცინის. ამ ტიპის ნატურა ვარ, გულიც მწყდება და ამავდროულად მიხარავ. მხატვრობაში ამ შედარებას ხშირად ვაკეთებ“.

პრინციპი
„არც ერთი მთავრობისგან ჩინი და წოდება არ მიმიღია. ელგუჯა ამაშუკელმა - მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ - თავის მდივად დამასახლება. ორი უპარტიო ვიყავი მხატვართა კავშირის სათავეში. ეს აბსოლუტურ ლიბერალიზმს ნიშნავდა.“



EXCLUSIVE

გია ანდლულაძე: „ბედნიერები ვართ, რომ ამ საღამოს „არტპალასი“ აკეთებს. დიდი ხანია ვცდილობთ ჰაატა ბურჭულაძის დაყოლიებას. პომპეუს იუბილეს აპროტესტებდა და იმედს ვიტოვებდით, რომ სტუმრის რანგში მაინც დაგვთანხმდებოდა“



„მინდოდა ტრადიცია ვენიდან საქართველოში გადმომეტანა და მისთვის „საშობაო შეხვედრები სიმფონიურ ორკესტრთან ერთად“ დამერქმია. ასეთი ყოვლისმნახველი ადამიანები ამ საღამოს თუ ასეთ შეფასებას აძლევენ, ბუნებრივია, ძალიან მიხარია“

ეყანა, რომელიც ამდენი საოპერო ხმით ამარაგებდეს სხვა ქვეყნებს. ლოკაცია იყო ფანტასტიკური, ამ მხრივ დიდი არჩევანიც არ იყო, არასაკონცერტო სივრცეში ისეთი დიდი სცენა არ გვაქვს, სადაც სიმფონიური ორკესტრი მოთავსდება. ვინც იქ იყო ყველამ აღნიშნა, რომ მსგავსი კონცერტი საქართველოში არ ჩატარებულა. პიანისტი დათუნა ალადაშვილი სპეციალურად ჩამოვიდა ამერიკიდან, იტალიელი დირიჟორიც სპეციალურად ამ კონცერტისთვის ეწვია საქართველოს. გაგვიმართლა, აქ იყო ანბიტი რაჭველიძე, თამარ ივერი. თუონა დვალს ნიანვარს კონცერტი ჰქონდა მილანში და პირდაპირ გადმოვიტანა ჩვენს საღამოზე. მაყურებლებმა მოისმინეს ჩვენი ტენორები – ოთარ ჯორჯიკია და ირაკლი კახიძე – შესანიშნავი და საამაყო ტენორები. თამარ ივერიმ თქვა, ამ კონცერტმა ვენის საღამო დაჩრდილოა. პაატა ბურჭულაძე ამბობს, ეს ისეთი კონცერტი იყო, რომელიც თამამად შეგიძლია მთელ მსოფლიოს აჩვენო. ნანი ბრეგვაძე აღფრთოვანებული იყო. ასეთი ყოვლისმნახველი ადამიანები ამ საღამოს თუ ასეთ შეფასებას აძლევენ, ბუნებრივია, ძალიან მიხარია. ტრადიციულ ვენურ საშობაო საღამოს ჩვენ საესტრადო ნაწილი დავამატეთ. ახალგაზრდა შემსრულებლებს სიმფონიურ ორკესტრთან ერთად სიმღერის საშუალება მივცეთ.

ამ კონცერტით დიდი გამოცდილება მივიღე.
გია ანდლულაძე: პატარაა, მაგრამ რალაც გამოცდილებები დაგროვდა. რომა რეზიდენციის საიუბილეო საღამოზე გამოვიდა და იმდენი. მე არ მინახავს სადმე გამოსვლის წინ თიკოს ასე ენერჯიულოს. იმას უსაყვედურობდი, ზედმეტად მშვიდად იყო კონცერტების წინ. მე ვენერჯიულობდი და ეს მშვიდად იყო. „არტპალასი რეკორდსში“ ვინც პირველად ჩანერა სიმღერა, თიკოს პირველი ჩანერა გახსნის დღეს კრის ბოტის თანდასწრებით მოხდა. და თიკომ chaka khan-ის „my funny valentine“ შეასრულა.
თიკო ანდლულაძე: მსოფლიო ვარსკვლავის წინ ჩანერე სიმღერა. მისი დონის მუსიკოსი რომ ასეთი კომპლიმენტს გეტყვის, ძალზედ სასიხარულოა.
გია ანდლულაძე: ჩემთვის საამაყო ის მომენტი კრის ბოტი ბისზე რომ გამოვიდა და ეს სიმღერა „my funny valentine“ ექსპრომტად შეასრულა, მერე კი კულისებში მითხრა, ეს სიმღერა თიკოს მივუძღვენიო.
თიკო: ხომ მიხვდი ეს სიმღერა შენ რომ მოგიძღვენიო, მკითხა. ძალიან დიდი სიურპრიზი იყო. მე ეს სიმღერა ფუნქციონირებდა შევასრულე.
– თიკო, რა საშობაო გეგმები გაქვს?
თიკო: მე თეატრალურში მინდა ჩაბარება, მაგრამ მამა ვერ დავიყოლიე.
გია: მინდა ორი წელი სხვა რამ სცადოს და ამასობაში ზუსტად მიიღოს გადაწყვეტილება – რა პროფესიის არჩევა სურს. ვერ პატარაა, 17 წლისა და ამის დრო აქვს. საზღვარგარეთ ნასვლის თემაც არის. მაგრამ ქართველი მამა ვარ. ბიჭი ლონდონში სასწავლებლად ადვილად გაუშვებ. თიკოს მშასთან არ უნდა, თავისუფლად უნდა, მარტო. მისი თავისუფლების სურვილი მე მთრგუნავს და ასე... ამერიკიდან არის შემოთავაზება, იქით საერთოდ არ მინდა გაუშვა. დაბნეულები ვართ.

მანის დაკარგვაც ძნელია.
– ალბათ, სერიოზულ პოტენციალს ხედავთ ქალიშვილში.
– მამა ვარ და სუბიექტურიც ვიქნები. მასში პოტენციალს რომ არ ვხედავდე, კრის ბოტის წინ მის ამდენებას და ამით „არტპალასის“ გახსნას ვერ გაგებდავდი. ამ დონეზე თავს ვერ შევირცხვინდი. ვერც მსოფლიო დონის მომღერლების გვერდით ვამღერებდი კაჭრეთში. თიკოს იმედი მართლა მაქვს. მაგრამ დიდი შრომის გარეშე მისი მონაცემი შეიძლება გაქრეს. მუდმივი მუშაობა საჭირო. მოდუნების უფლებას თავს ახლა ვერ მისცემს. თვითკმაყოფილება მთავრდება იმით, რომ ხალხი ასეთ ხელოვანს იცნებებს.
– როგორი მამაა?
თიკო: საამაყო და სამაგალითოა ჩემთვის. ჩემი ნარმატება მამას უკავშირდება. დიდი იმედი მაქვს, იმდენის გაკეთებას შევძლებ, როგორც მე ვამაყობ მისით, ისევე იმაცებს ჩემით.

ლიებას. თვითონ ამ საიუბილეო კონცერტის წინააღმდეგი იყო, პომპეუს იუბილეს აპროტესტებდა და იმედს ვიტოვებდით, რომ სტუმრის რანგში მაინც დაგვთანხმდებოდა. დიდი ძალისხმევის შემდეგ დავიყოლიეთ. ისეთი დონის მომღერლები მოვიწვიეთ, ვისაც ერთი წლით ადრე უთანხმებენ კონცერტში ჩასმას, მაგრამ ჩვენ დარჩენილ მცირე დროში მოვახერხეთ, რომ ისინი ორი საათით მაინც ჩამოვრეხეთ. გრანდიოზულ კონცერტზე.

ზოგადად დიდი ვარსკვლავების ჩამოყვანა დიდ ფინანსებთან არის დაკავშირებული და ამ ფინანსების მოძიებაზე ვმუშაობთ. გვინდა წელიწადში ერთხელ მაინც მოვახერხოთ სერიოზული ვარსკვლავის ჩამოყვანა. აქ ის სიტუაცია არ არის მაყოფებელმა ბილეთში ის თანხა გადაიხადოს, რაც რეალურად ჯდება ამ დონის კონცერტები. მთავარია, ჩვენი კომპანიის შენობაში არის ის პოტენციალი და ძალა (ადამიანების რესურსი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა), რომ ძალიან დიდი ამოცანების გადაწყვეტა შევძლოთ. ვერ მხოლოდ სამი თვე გავიდა.

„თიკოში პოტენციალს რომ არ ვხედავდე, კრის ბოტის წინ ამდენებას და ამით „არტპალასის“ გახსნას ვერ გაგებდავდი. ამ დონეზე თავს ვერ შევირცხვინდი. ვერც მსოფლიო დონის მომღერლების გვერდით ვამღერებდი კაჭრეთში.“



თიკო
ამ ზღაპრულ საღამოზე ბატონი გიას ქალიშვილმაც იმღერა. თიკომ Beth Hart-ის „bang bang boom boom“ შეასრულა. ხუთი წელია ვოკალში ლალიკო ბერაძესთან ვმუშაობ. როგორც მომღერალი, ვერ ისევ ძიების პროცესშია.



„მთავარია, ჩვენი კომპანიის შენობაში არის ის პოტენციალი და ძალა, რომ ძალიან დიდი ამოცანების გადაწყვეტა შევძლოთ. ვერ მხოლოდ სამი თვე გავიდა“

ქართულ ბაზარზე სიცოცხლისთვის საშიში ქათმები იყიდება



„ქათმის მწარმოებელი თითქმის ყველა ქვეყნის კომპანიაა წარმოდგენილი ქართულ ბაზარზე, ესენია – ბრაზილია, უკრაინა, ამერიკა, თურქეთი, საფრანგეთი და ა.შ.“



„იმპორტიორს სულ არ აინტერესებს, ერთ კვირაში გაზრდილი ქათმით მონაშლავს თუ არა მომხმარებელს, მაგრამ სახელმწიფო ხომ მაინც უნდა იზრუნოს საკუთარ მოქალაქეებზე?!“

მირიან ბოქოლიშვილი

ქართულ ბაზარზე ჯანმრთელობისთვის საშიში ქათმი იყიდება. ამის შესახებ „პრაიმტიმთან“ ინტერვიუში ორგანიზაცია „ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე გია ბურჯანაძე საუბრობს. იმპორტირებული ქათმის გარკვეული სახეობა განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს მამაკაცებზე, რადგან გაყინული ქათმები ჰორმონებზეა გაზრდილი. ქათამი გაჯერებულია 6 ქაღალური ჰორმონით, მათ შორის, პროგესტერონით. ამიტომაც, თუ მამაკაცი ასე გაჯერებულ ქათამს მიირთმევს, მას ბუნებრივად დაეცემა ტესტოსტერონი იმ ზღვრამდე, რომლიდანაც აღდგენა შემდეგ შეუძლებელია.

გია ბურჯანაძე, „ანტიკორუფციული კავშირის თავმჯდომარე“:

– პროდუქტი, რომელიც საქართველოში შემოდის, ეს არის ევროპის ქვეყნების მიერ დაბლოკილი პროდუქტი. როცა ქათამი 10 დღეში 2 კილომდე იზრდება, გარნმუნებთ, ეს არ არის ბუნებრივი პროცესი. ცხადია, ასეთი ქათმის გასუქება ხდება ხელოვნურად, სპეციალური ჰორმონების საშუალებით, რომელიც მავნედ მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. ეს არის იმის მიზეზი, რომ ასეთი პროდუქტები ევროკავშირის ბაზარზე ვერ ხვდება. სამწუხაროდ, იმას, რაც სხვა ქვეყნებში აკრძალულია უხარისხობის გამო, ჩვენთან ძალიან დიდი გასაღება აქვს. საქართველოს გარდა, ასეთი პროდუქცია შედის ინდოეთსა და აფრიკის გარკვეულ ქვეყნებში. არანაირი საკანონმდებლო რეგულაცია ამ კუთხით არ არსებობს. პრობლემაა მომხმარებლების თვითშეგნების დონეც. საზოგადოება თვითონ ვერ აცნობიერებს ამ

პრობლემას. ქათმებს, რომელიც აქ 8 და 10 ლარად იყიდება, რეალურად მწარმოებელ ქვეყანაში, სულ რაღაც, 50 ცენტად ყიდულობენ. საქართველოში შემოტანილი იყო ქათმის ვადაგასული პროდუქტები, რომელიც საქართველოში იცვლიდა შეფუთვას და რეალიზდებოდა, როგორც ხანგრძლივადიანი გადავსებული ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტებში საავადმყოფოები.

– ანუ ასეთ პროდუქტებს ისეთი დაავადების გამოწვევაც შეუძლია, როგორც სიმსივნე?

– რა თქმა უნდა, შეუძლია. ეს ქიმიური ნივთიერებები იმდენად საშიშია, რომ ასეთ მძიმე დაავადებებსაც კი იწვევს. იმპორტიორს სულ არ აინტერესებს, ერთ კვირაში გაზრდილი ქათმით მონაშლავს თუ არა მომხმარებელს, მაგრამ სახელმწიფომ ხომ მაინც უნდა იზრუნოს საკუთარ მოქალაქეებზე?! არც ერთი მაღალჩინოსანი თავის ოჯახში არ შეიტანს იმას, რასაც რიგით მოქალაქეებს გვაჭმევენ.

მკითხველისთვის, ალბათ,

საინტერესოა, რომ ფრინველის ხორცის ქართულ ბაზარზე გაყინულ ქათამს 23,9% უკავია, რაც შეეხება ნედლ წილს, მის წილად მხოლოდ 2,5% მოდის. აღნიშნულის შესახებ მარკეტინგული კვლევების სააგენტო GAMMA-ს კვლევაშია ნათქვამი. რაც შეეხება ქათმის პროდუქტებს, მათი მოცულობა მთლიან რეალიზაციაში 70,9%-ით განისაზღვრა. კატეგორიების მიხედვით – 58,8% (ბაზრის ნახევარზე მეტი) ქათმის ბარკალს უჭირავს, ქათმის ღვიძლის წილი 6,3%-ით შემოიფარგლა, კუჭის – 3%-ით, ხოლო ფილესი – 2,8%-ით. ფრინველისგან დამზადებულ

ნახევარფაბრიკატებს მთლიან რეალიზაციაში მხოლოდ 2,8% ერგო, აქედან კოტლეტსა და სტეიკზე 1% მოდის, ქათმის სოსისზე – 0,7%, ხოლო ჩხირებზე – 0,6%.

ზურაბ უჩუშბეგაშვილი, საქართველოს მეფრინველეობის განვითარების ასოციაციის ხელმძღვანელი:

„ქათმის პროდუქცია მნიშვნელოვანი სეგმენტია ქართულ ბაზარზე. ჩვენი პროდუქციის ყველაზე

მთავარი უპირატესობაა წარმოების პროცესში გამოყენებული ეკოლოგიურად სუფთა ნედლეული. ჩვენი ქათმები ყოველთვის ახალი და ჯანსაღია მომხარებლებისთვის. სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობით, ქართველი მწარმოებელი დაუცველ მდგომარეობაში არიან, მათ არ ექცევათ სათანადო ყურადღება. მთავრობას „სძინავს“. საჭიროა უახლოეს მომავალში მივიღოთ კანონი „საზღვრის დაცვის ღონისძიების შესახებ“, რომელიც ჯეროვნად მოახდენს ადგილობრივი მწარმოებლების წახალისებასა და მხარდაჭერას. ამასთანავე, ამ პირობებში ექსპორტზე ფიქრიც კი სასაცილოა, რაც შეეხება იმპორტს – ქათმის მწარმოებელი თითქმის ყველა ქვეყნის კომპანიაა წარმოდგენილი ქართულ ბაზარზე, ესენია – ბრაზილია, უკრაინა, ამერიკა, თურქეთი, საფრანგეთი და ა.შ.“



გაყინული ქათმები ჰორმონებზეა გაზრდილი. ქათამი გაჯერებულია 6 ქაღალური ჰორმონით, მათ შორის, პროგესტერონით

„საქართველოს ბანკის“ ყოფილი დირექტორის ოჯახის პროკურატურაში ჩივილის



მირიან ბოქოლიშვილი

პროკურატურაში სპეციალური დეპარტამენტი იქმნება, რომელიც უკანონოდ ჩამორთმეული ქონების საქმეებს შეისწავლის. პრემიერ-მინისტრმა ეს ინიციატივა 2014 წლის შემაჯამებულ პრესკონფერენციაზე გაახმოვანა, რის შემდეგაც პროკურატურას დამატებითი არაერთმა პირმა მიმართა.

ბადაშვილის უწყებამი უკვე დევს საქართველოს ბანკის ყოფილი გენერალური დირექტორის, ელგუჯა სილაგაძის ოჯახის განცხადება, რის საფუძველზეც ისინი ბიზნესმენის გაკოტრების საქმის გამოძიებას ითხოვენ. განცხადებაში მითითებულია ყოფილი ხელისუფლების არაერთი მაღალჩინოსანი, დანებებული როლანდ ახალაიათი და დამთავრებული ზურაბ ადეიშვილით.

სანამ განცხადების შინაარსს გააცნობთ, რომელსაც ხელს გარდაცვლილი ბიზნესმენის და, დარეჯან სილაგაძე აწერს, გეტყვით იმას, რომ ელგუჯა სილაგაძე „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე 2002-04 წლებში მუშაობდა. ამასთანავე, ის გახლდათ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი და ბანკის აქციების 10%-ის მფლობელი. ახლა კი ვინაობით, რას წერს დარეჯან სილა-

გაძე პროკურატურაში შეტანილ განცხადებაში.

„წინა ხელისუფლების პირველმა პირებმა განიზრახეს რა ბანკის ხელში ჩაგდება, დავალება მისცეს სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილ პროკურორს, როლანდ ახალაიას, რომელმაც ათასგვარი სახის ზენოლით, ან გარდაცვლილი გ. პატიშვილი და ელგუჯა სილაგაძე აიძულა, 2004 წლის 20 ივლისს, გენერალური პროკურორის, ზურაბ ადეიშვილის მიერ მითითებულ ანგარიშებზე, ბანკიდან გადაერიცხათ 5 მილიონი ლარი. მოგვიანებით ეს თანხა „ჩაუთვალეს“ ბანკისთვის ზიანის მიყენებად. ამ გზით აიძულეს, დაეთმოთ კუთვნილი აქციები და მათი ღირებულებით (რისი რაოდენობაც თვითნებურად დაადგინეს) „აენაზღაურებინათ ბანკის ზარალი“. 2004 წლის 20 ივლისს პროკურატურისა და შსს-ს ანგარიშებზე გადარიცხული 5 მილიონი კი დარჩა იგივე ანგარიშებზე, რაც, როდის და რამდენად კანონიერადაა გახარჯული, სამსუხაროდ, არაინ ინტერესდება. ამ სქემის ამოქმედებითა და განხორციელებით წინა ხელისუფლების პირველმა პირებმა ხელში ჩაიგდეს ჩემი ძმისა და პატიშვილის აქციები, საბოლოოდ კი – მთლიანად ბანკი.

როგორ არ ვიბრძოლეთ, მაგრამ ვერაფერი შევძელით, ან როგორ მივალწევდით სამართალს, როდესაც პროკურორმა როლანდ ახალაიამ დაუფარავად გვითხრა: არავის არ აინტერესებდა ბანკის უდანაშაულობა, ეს არის მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ადეიშვილისა და ვანო მერა-



დარეჯან სილაგაძე: „როლანდ ახალაიამ დაუფარავად გვითხრა, – არავის არ აინტერესებდა ბანკის უდანაშაულობა, ეს არის მიხეილ სააკაშვილის, ზურაბ ადეიშვილისა და ვანო მერაბიშვილის დავალება, და თუ მათ მიერ მითითებულ ანგარიშზე არ ჩაერიცხებოდათ 5 მილიონი ლარი, ბანკს გააკოტრებდა. ნეტავ, შემემლოს, დაგანახოთ უსამართლობით, ზენოლითა და ძალადობით გატანჯული ჩემი ძმის სახე და მდგომარეობა. ის ხაფანგში მომწყვდელი ლომივით აწყვდებოდა ყველა კუთხე-კუთხულს, მაგრამ ვერ შეძლო სიმართლის დადგენა. ხელისუფლება დაუფარავად აგრძობინებდა, რომ მართალი იყო, მაგრამ, რასაც ითხოვდნენ, უნდა შესრულებულიყო“, – წერს პროკურატურაში შეტანილ განცხადებაში დარეჯან სილაგაძე.

„შუალამისას ბანკში მიიყვანეს ნოტარიუსი და ხელი მოაწერინეს წინასწარ გამზადებულ დოკუმენტებზე, რის შესაბამისადაც, კუთვნილი აქციები, შემდგომი განკარგვისთვის, თითქმის ნებაყოფლობით მიჰყიდა ბანკს“

ჩემი ძმის სახე და მდგომარეობა. ის ხაფანგში მომწყვდელი ლომივით აწყვდებოდა ყველა კუთხე-კუთხულს, მაგრამ ვერ შეძლო სიმართლის დადგენა. ხელისუფლება დაუფარავად აგრძობინებდა, რომ მართალი იყო, მაგრამ, რასაც ითხოვდნენ, უნდა შესრულებულიყო“, – წერს პროკურატურაში შეტანილ განცხადებაში დარეჯან სილაგაძე.

მისივე თქმით, როდესაც კანონით ვერ მიაღწიეს სამართალს, ელგუჯა სილაგაძე შეხვდა ადეიშვილისა და მერაბიშვილის მეგობრებს, რათა, როგორც მინიმუმ, მოთხოვნილი თანხა შეემცირებინათ, თუმცა შუამ-

ავლების ჩარევის მიუხედავად, შეთანხმება ვერ შედგა. დარეჯან სილაგაძის მონათხრობით ირკვევა, რომ ნერვიულობის ნიადაგზე მისი ძმის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, კერძოდ, დაემართა დიაბეტი და ინფარქტის შეტევა. „წინააღმდეგობის განხრის გამო დიაბეტით დაავადებული კაცი ჩაკეტეს ბანკის ერთ ოთახში, არ აძლევდნენ გადაადგილების საშუალებას. ჩაკეტილი ჰყავდათ დღის 10 საათიდან შუალამემდე, რის შემდეგაც ჩემი ძმა იძულებული გახდა, მათ დამორჩილებოდა. შუალამისას ბანკში მიიყვანეს ნოტარიუსი და ხელი მოაწერინეს წინასწარ გამზადებულ დოკუმენტებზე, რის შესაბამისადაც, კუთვნილი აქციები, შეემდ-

გომი განკარგვისთვის, თითქმის ნებაყოფლობით მიჰყიდა ბანკს, სინამდვილეში კი ძალადობის გზით წაართვეს“, – ამბობს დარეჯან სილაგაძე.

ის საკუთარ განცხადებაში დღევანდელი პროკურატურის უმოქმედობაზეც საუბრობს და ამბობს, რომ შეგნებულად, თუ შეუგნებლად პროკურატურაში საქმის გამოძიება ჭიანურდება, მისი ძმის სიცოცხლე კი ამ საქმეს შეეწირა.

„დღევანდელი პროკურატურა, შეგნებულად თუ უმოქმედობით მხარს უჭერს როლანდ ახალაიას მიერ ჩადენილ სიყალბებს. ამ საქმის სრულყოფილად და დოკუმენტურად შემოწმების მიზნით დღემდე არ ჩატარებულა ბანკში რევიზია, რაც ობიექტური გამოძიებისთვის აუცილებელია. დღემდე მოწმის სახით არ დაუკითხავთ დანაშაულები მონაწილე არც ერთი პირი, მაშინ როდესაც ჩემი უდანაშაულო ძმა 10-ჯერ მაინც დაკითხეს, რაც დარწმუნებულად ვარ, დაუსრულებლად გაგრძელდებოდა, მაგრამ ამასობაში ჩემი ძმა გარდაიცვალა. ელგუჯა სილაგაძე 2012 წლამდე სამართლიანობის აღდგენის იმედით ცოცხლობდა, მაგრამ პროკურატურის უმოქმედობითა და დამნაშავეთა მფარველობით იმედდაკარგულს გული გაუსკდა და გარდაიცვალა. სამართლიანობის აღდგენისთვის ბოლომდე ვიბრძოლებ. ჩემი ძმა თქვენთვის ერთ-ერთი რიგითი იყო, ჩემთვის კი – ცხოვრების აზრი“, – წერს დარეჯან სილაგაძე.



„სპეციალურად ჩავჯექი ტიხეში, რომ მენახა, დაელოდებოდა თუ არა“



„მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ გაცხრილი გამოემეტყველება აქვს, ბუნებით რადიკალურად განსხვავებულია. თბილი და მოსიყვარულე ქმარია“

ნინო მჭედლიშვილი

14 იანვარს, მომღერალმა ლევან მგალობლიშვილმა, იგივე პანჩომ და ხეივა ხოჯავამ ერთობლივი კონცერტი გამართეს. ხეივა საზოგადოებას გადაცემა „პროფილიდან“ ახსოვს. გადაცემის წამყვანმა, მაია ასათიანმა ნიჭიერად აღმანიშნა მისცა შანსი, გამოეგზავნათ ვიდეო, რომელიც გადაცემის ინტერნეტსაიტზე განთავსდებოდა და რომელიც მეტ მოწონებას დააგროვებდა, სწორედ ამ ვიდეოს ავტორს მოიწვევდა გადაცემაში სტუმრად. ის ერთი სწორედ ხეივა აღმოჩნდა. მის ვიდეოებს ინტერნეტმომხმარებელი თინეიჯერი გოგონები კარგად იცნობენ.



შარდენზე, „ასა ჰოლში“ მიწვეულ სტუმრებს ახალგაზრდა მომღერალმა პანჩოსთან ერთად ახალი დუეტი შესთავაზა. საახალწლო განწყობა პირველივე სიმღერიდან ვიგრძენით. ნვეულებას ტელენამყვანი, მარგო ლუჩკოს ქმარიც ესწრებოდა. მეუღლე ახლდა პანჩოსაც. ეს მისი რიგითი მესამე ცოლი გახლავთ. ამ შანსს ხელიდან ვერ გაფუჭებდით. სანამ სცენაზე ხეივა ხოჯავა მღეროდა, პანჩოს და მის მეუღლეს დიქტოფონით მივეჭერი.

- ლევან, მიხარია, რომ მოგიხელთეთ, იშვიათი რესპონდენტი ხართ.

- ჰო, ბევრი ლაპარაკი არ მიყვარს.

- ცოტა ვისაუბროთ და ხარისხიანად... ვინ არის ეს ახალგაზრდა მომღერალი, რატომ გადაწყვიტეთ მასთან თანამშრომლობა?

- ეს არის ჩემი პატარა მეგობარი, ხეივა ხოჯავა. თავისი ნამღერი გამოიმუშავა „ფეისბუქზე“, მოვისმინე და მივხვდი, რომ ნიჭიერი ბიჭია.



ირაკლი ჩიქობავა - მარგო ლუჩკოს მეუღლე

„წვეულებას ტელენამყვანი, მარგო ლუჩკოს ქმარიც ესწრებოდა“



ნინო მჭედლიშვილი

ჩვენი ასტროლოგიური დახასიათების შემდეგი ობიექტი კესარია აბრამიძეა. ამ რუბრიკის განხორციელებაში კვლავ ასტროლოგი, დავით ბუტიკაშვილი გვეხმარება. ჩვენ ბატონ დავითს რესპონდენტის დაბადების წელი, რიცხვი, თვე და ადგილი ვუთხარით. როგორც წინა შემთხვევაში, ახლაც ასტროლოგმა მისი ვინაობა არ იცოდა.



პერიკო ტურაშვილი: „ასეთი აწვეტურიც არ ვყოფილვარ, ვინმეს ვინმეს დანა რომ ბავუყარო“

რაც შეეხება წინა რესპონდენტს, მომღერალ, ვერიკო ტურაშვილს მის შთაბეჭდილებებს აქვე გაგაცნობთ.

ვერიკო ტურაშვილი: ასტროლოგიით ბოლო პერიოდში განსაკუთრებით დაინტერესდით. ასტროლოგიური ნიშნების კითხვის შემდეგ უკეთ გავიცანი საკუთარი თავი. ბატონი დავითის დახასიათებით კმაყოფილი დავარჩი. ძალიან საინტერესო დეტალებს ამბობს. ვერ ვიტყვი, რომ რამე არ ვეთანხმები. მართალია, რომ ყურადღების ცენტრში ყოფნა მიყვარს, მაგრამ საკუთარი უპირატესობის აფიშება - არა. მიჩვენია სხვამ ილაპარაკოს ჩემზე. მართალია, რომ ხელოვნებასთან ვარ ახლოს. მართალია, რომ ჯანმრთელობის პრობლემები, დედის მხრიდან მოდის... ასტროლოგი მშვილდოსან მამაკაცთან ურთიერთობას მიჩვენებს. მშვილდოსანი იყო ჩემი მეუღლე. დაემთხვა ისიც, რომ 2011-2012 წლები ცუდი იყო ჩემთვის. ამაში ნამდვილად ვერ შევედავები. 30 წლის მერე ჯობია დაქორწინდესო და აჰა (იცინის), აქ ვარ.

- შენი მეორე შვილის მამა, ლაშა მორიელი ხომ არ არის?

- არა, ლაშა ვერძია. ვერ მოვატყუებ რეჟები და რა ვქნა (იცინის)?

- ფეთქებადიაო, ამბობს ასტროლოგი, მსოფლიოში ცნობილ მკვლელებსაც კი შეგადარა.

- ბოლო დროს დავაფიქსირე, რომ რაღაც სიტუაციაში ბოლმავარ. ბევრი შემთხვევა მოვითმინე, მაგრამ, როცა მოთმინების ფაილა ივსება, შეიძლება ისე ცუდად ვუკბინო ადამიანს... სავალალო შედეგით ურთიერთობა არავისთან დამიმთავრებია, მაგრამ ვგრძნობ, რომ არის ჩემში ამის პოტენციალი.

- გამოტყდი, ვინმეს მოკვლის სურვილი გქონია?

- არა, ასეთი აფექტურიც არ ვყოფილვარ, ვინმეს დანა რომ გაუყარო (იცინის). ვილაცის გამწარებაზე მიფიქრია, მაგრამ სისრულეში არასდროს მომიყვანია ჩემი ფიქრები.



დავით ბუტიკაშვილი კესარია აბრამიძეზე:

- ამ ადამიანის დაბადების მომენტში ამომავალი ზოდიაქო იყო ქალწული, ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ მზის მიხედვით ის დაბადებულია ლომის ზოდიაქოს ნიშნით, მისთვის დამახასიათებელია ქალწულის ზოდიაქოს თვისებებიც. კარგი იქნება როდესაც რაიმე ასტროლოგიურ პროგნოზებს გადახედავს, ლომის ზოდიაქოს პროგნოზების გარდა ყურადღება გაამახვილოს ქალწულის ზოდიაქოს პროგნოზებზეც.

- მისი სქესი შეგნებულად არ გითხარით, როგორ ფიქრობთ, ქალი თუ მამაკაცი?

- თუ ეს პროგნოზი კაცია, მის გონებაში არის ბევრი ქალური. ამაზე მისი პიროვნული მიუთითებს; მთავარ ტყუპების ზოდიაქოში და მერკურისა და ვენერას შეერთება. ორივე ეს პლანეტა დამწვარია მზის მიერ ანუ ზუსტი შეერთება აქვს მზესთან. ეს ფაქტიც მიუთითებს იმაზე, რომ არის ამ ადამიანის აზროვნებაში ბევრი ქალური. რაც ცხოვრების გარკვეულ პერიოდში პრობლემებს უქმნის საკუთარი თავის სრულყოფილად გამოვლენაში, აგრეთვე, ადამიანებთან ურთიერთობების სწორად წარმოქმნის პერსონალურად ნარმარტოვად, პირად ურთიერთობებში. ასეთი ადამიანის პირადი ურთიერთობები ნარმოშობს ბევრს ჭორს და საზოგადოების მხრიდან არაადეკვატურ რეაგირებას. ხშირად ეს რეაგირება

მს კესარია აბრაამიძეს ბრიჯიტ ბარდოსთან



კესარია აბრაამიძეს პოლიტიკაში წასვლას არ ურჩევენ

EXCLUSIVE

მის სიამაყეს და ამბიციებს შეურაცხყოფს... თუ ეს პიროვნება ქალია, იმდენად კარგად იცნობს ქალის ბუნებას, რომ მას აქვს უნარი ეს ქალურობა მომხიბვლელად წარმოაჩინოს. ის ფლობს მსახიობის ნიჭს. მთვარის ანალოგიური პოზიცია პირად ჰოროსკოპში ჰქონდა ბრიჯიტ ბარდოს. ეს ადამიანი ფლობს ლამაზ მანერებს, შეუძლია ისე იმოძრაოს, რომ მიიზიდოს ყურადღება და სიმპათიები. როდესაც საუბარში ემოციებსაც რთავს, მისი საუბარი უფრო მომხიბვლელი ხდება გარემომცველებისთვის.

შავი მთვარე მის ჰოროსკოპში იმყოფება კორჩიბის ზოდიაქოში. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ასეთ ადამიანს სამშობლოში უჭირს სტაბილურობის მიღწევა, რადგან წინააღმდეგობაში მოდის ტრადიციებთან, შესაძლოა, არსებობდეს მის ცხოვრებაში დაძაბულობა მშობლებთან ურთიერთობებში, ერთ-ერთ მშობელთან მაინც. იმ ადგილის ენერგეტიკა, სადაც ის დაიბადა, მისთვის უარყოფითია, ამიტომ ასტროლოგები ასეთ ადამიანებს ურჩევენ, შორს იყოს ამ ადგილიდან. შავი მთვარის ამ გავლენამ მოსალოდნელია ის აიძულოს, ბედნიერება უცხოეთში ეძებოს. ბევრი ადამიანი ვისაც შავი მთვარე აქვს კორჩიბში უცხოეთში უკეთესად გრძობს თავს, ვიდრე სამშობლოში... შავი მთვარის ასეთი პოზიცია პირად ჰოროსკოპში მიუთითებს, რომ მასზე წინაპრების მხრიდან გადმოსული ნეგატიური საგვარეულო კარმა, ამიტომ კარგი იქნება თუ ის ხშირად შეუკვეთავს ეკლესიაში წინაპრების სულების მოსახსენიებელ ლოცვებს.

- რას საქმიანობს?
- ეს ადამიანი შესაძლოა დაკავშირებული იყოს მოდასთან, შოუბიზნესთან, მარსი ლოში მიუთითებს, რომ როდესაც ასეთი ადამიანი საკუთარ ინდივიდუალობას ავლენს, ხვდება საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ამაზე მის ჰოროსკოპში მიუთითებს აგრეთვე ალმავალი კარმული კვანძი ვერძის ზოდიაქოში. რაც ნიშნავს იმას, რომ ასეთი ადამიანის კარმა ისე არის მოწყობილი, რომ გარემოებები მას სხვა გზას არ უტოვებს და აიძულებს გამოავლინოს საკუთარი ინდივიდუალობა.



ამით ის საზოგადოებისთვის საინტერესო ხდება. კარგი იქნება, თუ ეს ადამიანი საკუთარ შესაძლებლობებს მწერლობაში ცდის, იმიტომ, რომ ცხოვრება მას ამისთვის საჭირო მასალას უხვად აწვდის. ამაზე მიუთითებს მთვარე ტყუუბებში. ასეთი პოზიცია პირად ჰოროსკოპში ჰქონდათ ისეთ ცნობილ მწერლებს, როგორცაა, ჯეკ ლონდონი და ბერნარდ შოუ.

- რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებთან ურჩევთ ურთიერთობას?

- მის ცხოვრებაში დადებით როლს ხშირად ითამაშებენ ადამიანები, რომლებიც დაბადებული არიან: ვერძის, ლომის და მშვილდოსნის ზოდიაქოს ნიშნით. ხოლო პრობლემები მის ცხოვრებაში მოსალოდნელია გამოიწვიოს ადამიანებმა, რომლებიც დაბადებული არიან: სასწორის, თხის რქის და კორჩიბის ზოდიაქოს ნიშნით. აუცილებელი არ არის, ეს ადამიანები მისი მტრები ან არაკეთილმოსურენი იყვნენ, შესაძლოა, გულით კარგიც სურდეთ მისთვის, მაგრამ მათი ლოკა ხშირად შეწინააღმდეგება მისი წარმატებების გზას.

მის ცხოვრებაში იყო პერიოდები როდესაც ხშირად უწევდა საცხოვრებელი ადგილის ცვლა ან ერთდროულად ორ სახლში უწევდა ცხოვრება. სამომავლოდ მუდმივ საცხოვრებელ ადგილად მოსალოდნელია უცხოეთი აირჩიოს.

მარსი ლომის ზოდიაქოში მიუთითებს, რომ ასეთი ადამიანი შესაძლოა ყურადღების ცენტრში მოხვდეს თავისი პოლიტიკური აქტიურობითაც, მაგრამ სამშობლოში მას ყოველთვის ბევრი კრიტიკულად განწყობილი ადამიანი და ოპონენტი დაუპირისპირდება.

- ე.ი. პოლიტიკაში წასვლას არ ურჩევთ?

- უმჯობესი იქნება, თუ არ წავა ამ განხრით. წარმატებული მისთვის მოსალოდნელია აღმოჩნდეს ნებისმიერი ბიზნესი, რომელიც დაუკავშირდება სასაცენო ხელოვნებას, პარფიუმერიას ადამიანის ტანსაცმელს.

- რას მეტყვით მისი ხასიათის თვისებებზე?

- რაც შეეხება პიროვნულ თვისებებს მთვარე ტყუუბებში მიუთითებს გარკვეულ ემოციურ მოუსვენრობაზე. მის ცხოვრებაში არის პერიოდები, როდესაც ის ერთდროულად დაკმაყოფილებულიცაა და დაუკმაყოფილებელიც, ამის ახსნა ზოგჯერ უჭირს. ძალზედ მტკივნეულად აღიქვამს სხვა ადამიანების მხრიდან მოსულ კრიტიკას ან ირონიას, მაგრამ ამას არ იმჩნევს, თუმცა, რაღაც ზღვრამდე რომ მიდის, შეუძლია ძლიერი აგრესია გამოავლინოს სიტყვების დონეზე. ამაზე მის ჰოროსკოპში მიუთითებს ძლიერი პლუტონი მორიელში და მისი ჰოროსკოპში მესამე სახლში... მის ცხოვრებაში შესაძლოა ყოველივე მარტოობის ან იზოლაციის პერიოდები, რომლებიც მისგან ფსიქოლოგიურ ტრანსფორმაციას მოითხოვდა... იუპიტერი ვერძის ზოდიაქოში მიუთითებს, რომ ხშირად ყველაზე სწორი და უტყუარი არის მისი პირველივე შთაბეჭდილებები და მათ საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებები. როდესაც ასეთი ადამიანი ბევრს ფიქრობს, ან მერყეობს სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებდეს, უფრო მეტად სცილდება ქვეშაობისა.

ვად გარემოებებზე შესთავაზოს და ეს ნამოწყებები დადებით გავლენას მოახდენს მისი ბედის შემდგომ განვითარებაზე... სელენა თევზების ზოდიაქოში მის ჰოროსკოპში მიუთითებს, რომ ასეთი ადამიანი დაცულია უკიდურესი ჩიხური სიტუაციებისაგან, რაიმე მაგიური ან უარყოფითი ფსიქოლოგიური ზემოქმედებისაგან, ფარული მტრების მიერ მიყენებული ზიანისაგან. ამ მხრივ კრიტიკულ მომენტებში მასთან დროულად მოდის დახმარება, რომელც ამ სიტუაციებიდან გამოსვლაში უწყობს ხელს.

ვად გარემოებებზე შესთავაზოს და ეს ნამოწყებები დადებით გავლენას მოახდენს მისი ბედის შემდგომ განვითარებაზე... სელენა თევზების ზოდიაქოში მის ჰოროსკოპში მიუთითებს, რომ ასეთი ადამიანი დაცულია უკიდურესი ჩიხური სიტუაციებისაგან, რაიმე მაგიური ან უარყოფითი ფსიქოლოგიური ზემოქმედებისაგან, ფარული მტრების მიერ მიყენებული ზიანისაგან. ამ მხრივ კრიტიკულ მომენტებში მასთან დროულად მოდის დახმარება, რომელც ამ სიტუაციებიდან გამოსვლაში უწყობს ხელს.

„თუ ეს პიროვნება კაცია, მის გონებაში არის ბევრი ქალური“



„დედამსვილაც უცხო ქალი დახვდა და უთხრა, შენმა გოგომ თავი დაანებოს ამ ბიჭს, მალე ქორნილი აქვსო“ EXCLUSIVE



„მამამსვილაც უცხო ქალი დახვდა და უთხრა, შენმა გოგომ თავი დაანებოს ამ ბიჭს, მალე ქორნილი აქვსო“

ურიდან მოწყენილი მოვედი. გოგონებმა ვიმუშავეთ და ფული არ გადაგვინადეს. გვიან იყო, კიბეებზე ვიჯექი. მოვიდა და მკითხა, რა დაგემართაო. არაფერი-მეთქი ვუპასუხე. დახმარება შემომთავაზა, უარი ვუთხარი. ასე გავიცანით ერთმანეთი. მეორე დღეს კიდევ რომ გამომელაპარაკა, აღარ ვუღრმობდი. ვიფიქრე, მომწონს და რატომ უნდა ვუღრმობდე-მეთქი. მალე კაფეში დამპატიყდა.

- შენ გამოიწვიე?
- ორივე ერთმანეთს „ვეკრავდით“. 25 წლით უფროსია ჩემზე. 47 წლის არის. ჩემი ასაკის ბიჭები არასდროს მომწონდა. ყოველთვის ასაკით ჩემზე ბევრად დიდი კაცები მიზღავდა.

- ცოლი ჰყავს?
- კი, შვილებიც. პირველად სიყვარული რომ ამისინა ნასვამი იყო. ეს მის სახლში მოხდა. დამირეკა, ამოდით. მისი ოჯახის წევრებიც სახლში იყვნენ. საძინებელში სინათლე ენთო. იმდენად უცნაური ადამიანია, როდესაც საძინებლის კარს მოხურავს, ოჯახის წევრებმა იციან, რომ არ უნდა შენუხონ. არ ვიცი როგორ მეყო გამბედაობა, მის საძინებელში შევსულიყავი. ჩვენ იტალიური ტიპის ეზოში ვცხოვრობდით და მის ოთახს ცალკე შესასვლელი ჰქონდა. მოვხერხე და ისე შევედი, არავის დაუწვინებია. იმ პერიოდში ვილაღ აბეზარი თავყვანისმცემელი ჩამომამორა. სწორედ ამ თემზე ვსაუბრობდით. მადლობა გადავუხადე და დავემშვიდობე. არ უნდა მაკოცოო, მკითხა. გადავიხარე და ლოყაზე ვაკოცე. ასე არაო, შემისწორა და გენიანად მაკოცა ტუჩებში. იმ წამიდან მივხვდი, რომ ეს კაცი მიყვარდა. დღეს დარჩი ჩემთანო, მთხოვა, ცოლ-შვილი აგარაკზე არიან, ჩემი მშობლები და დედამამშვილები არიან მარტო სახლშიო.

აქ ვერ დავრჩები-მეთქი, ვუთხარი. არაფერს დაგიმავებ, უბრალოდ მინდა ვილაპარაკოთო, არ მომეშვა. დავრჩი. მთელი ღამე იატაკზე ვისხედით და ვლაპარაკობდით. მეორე დღეს ისევე დამირეკა, ჩემთან ამოდით და ეს უკვე ჩვეულებად იქცა. მაშინ მივხვდი, როგორი უნდა იყოს ნამდვილი მამაკაცი. ასე გრძელდება დღემდე. მეფარველობს, მპატრონობს, თუ ვინმე მანუხებს, უმაღ აგვარებს პრობლემას. ზოგჯერ არც ვუბნები, რამე რომ მიჭირს, იმდენად ხელგამოვლილია.

- რას უშალავ?
- მაგალითად იმას, რისთვის დავდივარ ინდოეთში.

- რისთვის დადიხარ?
- დონორი ვარ, კვერცხუჯრედებს ვაბარებ, იმისთვის, რომ სწავლის ფული გადავიხადო. ეს რომ მეთქვა, ამ ფულსაც თვითონ გადამიხდიდა. ვუთხარი, დასასვენებლად მივდივარ-მეთქი. თვითონ განაცხადა. მალაზიაში რაიმეზე რომ გავმეცეს თვალი, მაშინვე მივიდის. ამიტომ ვცდილობ, რამე რომ მომეწონება, არ შევიმჩნიო, ვუფრთხილდები, მიყვარს. მის ოჯახზე ვფიქრობ, უფრო სწორად შვილებზე. ცოლი რომ არ უყვარს ეს ვიცი, მაგრამ შვილების გამო არასდროს მითქვამს მისთვის ოჯახი მიატოვე და ჩემთან იცხოვრე-მეთქი. სხვისი უბედურების ხარჯზე ბედნიერება არ შემერგება. მარტო ცოლი რომ ჰყავდეს, უკან არაფერზე დავიხვედდი. ნანახი მაქვს, როგორ ელოდებიან ბავშვები ფანჯარასთან საღამოობით, როდის მოვა სამსახურიდან. ერთხელაც რომ აღარ მივიდეს მამა, ძალიან ეტკინებათ გული. დღეს მამასთან არ მაქვს კარგი ურთიერთობა. ამ ადამიანში ორი მამაკაცი ვიპოვე, მამა და საყვარელი.

- რაიონში აღარ ჩადიხარ ხოლმე?
- კი, ბავშვებთან, ჩემს პატარა დებთან, მათაც მე ვპატრონობ.

- რას საქმიანობს შენი საყვარელი, ორი ოჯახის რჩენა რომ არ უჭირს?

- ორ ოჯახს არ არჩენს. ერთ ოჯახს არჩენს და ერთი ქალის კაპრიზებს აკმაყოფილებს (იღიმება). იცის, რომ გავიგო, ცოლს რამე უყვია, მეწყინება და გავიბუტები.

- იქნებ ჩუმად ყიდულობს?
- გამორიცხებულია. იმ ქალს დედამისი გამონაცვალის ტანისამოსი აცვია.

- რას საქმიანობს მაინც არ მიპასუხე.
- ბიზნესმენია, მეტად ვერ დავკონკრეტადები. მეზუთე წელია ერთად ვართ.

- ამ ხნის განმავლობაში ცოლს ერთხელ მაინც არ გასჩენია ეჭვი?

- ეჭვი აქვს, რომ მისი ქმარი ვილაცასთან დადის, მაგრამ ეს ვილაღ რომ მე ვარ, არ იცის. ჩვენ ძალიან ახლო ურთიერთობა გვაქვს. სმირად გადაუშლია ჩემთვის გული, უთქვამს, რომ მისი ქმარი გაცივდა, რომ ზედ აღარ უყურებს, რომ ურთიერთობა აღარ აქვთ, რომ არაფრის მაქნისია მისი ქმარი საწოლში. მე კი ზუსტად ვიცი, რომ ეს ტყუილი იყო. მეუბნებოდა, არ მე-სმის რატომ უყვართ ქალებს სექსი, ეს არასასიამოვნო პროცესიაო.

- რას გრძნობ ხოლმე ამ დროს, დანაშაულის გრძნობა არ განუხებს?

- დანაშაულის გრძნობა მხოლოდ მისი შვილების მიმართ მანუხებს, ცოლთან - არა.

- არაფერში გამოუჭერხარ ცოლს?
- არა, იმდენად ჭკვიანი არ არის, რომ გამომიჭიროს.

- მის ადგილზე წარმოგიდგენია საკუთარი თავი?
- არა, მე ასე სულელი არ ვიქნებოდი.

- რას იზამდი მის ადგილას?
- მაგრამ მოვუხაზავდი საყვარელს. ჩემს მომორებას რა უნდა. ჩემს ოჯახთან არ მაქვს ურთიერთობა, მამასთან ნაჩხუბარი ვარ. ჩემზე ხომ სტყვივა მაინც გული, მისი შვილი ვარ. უბრალოდ, გამომიჭიროს და უთხრას ჩემს ოჯახს ან დამემუქროს, რომ ეტყვის.

- ეს გაგაჩერებს.

- რალაც პერიოდით გამაჩერებს.

- გათხოვება, შვილები არ გინდა?
- არა, ეს მამაკაცი მინდა მხოლოდ გვერდით და მას ცოლად ვერ გავყვები. შვილები მაკავებს. იცით რას ვერ შევეგუები, ჩემთან რომ იყოს და შვილებს სანახავად წავიდეს. ვიფიქრებ, რომ იმ ქალთან არის. ეს გამაგიჟებს.

- ახლა არ ნერვიულობ, როცა ცოლის გვერდით წევს?
- არა, ვიცი რაც ხდება იმ ოთახში, მშვიდად ვარ.

- როგორ? კამერები გაქვს დაყენებული?
- არა, ცოლ-ქმრის პირადი მიმოწერები მაქვს ნაკითხული. ეჭვიანი ვარ. იმდენი თავყვანისმცემელი ჰყავს, ყოველ საღამოს ეჭვიანობის სცენები მაქვს. მე ვინც კონფლიქტს, ის ითმენს. ერთხელ, ჩემი მეგობარი მივუგზავნე, ძალიან ღამაზი გოგოა,

სკაიპში ელაპარაკა, მაგრამ ვერ „დაკერა“. მაშინ დავმშვიდდი. მაინც სულ ვაკონტროლებ. მისი ყველა სოციალური ქსელის პაროლი მაქვს. თვითონ არ იცის. რომ ვხედავ შემოსულია, მაშინ შევდივარ, რომ არ მიხვდეს.

- 47 წლის მამაკაცთან რომ ხარ, მომავალზე ფიქრობ? ათი წლის მერე როგორი იქნება თქვენი ურთიერთობა, წარმოგიდგენია?

- იგივენაირი. ის ცოტა მობერებული იქნება, მე ცოტა დატყვიანებული. რომ დაბერდება, მოვუვლი.

P. S. თუ თქვენც გაგიჩნდებათ სურვილი თქვენი საინტერესო ისტორია გვიამბოთ, გადვიკავშირდით ნომერზე 2 29 58 10

„ღღეს მამასთან კარგი ურთიერთობა არ მაქვს. ამ ადამიანში ორი მამაკაცი ვიპოვე, მამა და საყვარელი“

ზვიად სიჭინავა ახალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს

EXCLUSIVE

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი თემურ ქეცბაიას მუშაობას დადებითად აფასებს

„თემურ ქეცბაიას, რომ რამე პრეტენზია ჰქონოდა, ის პირდაპირი კაცია და ასეთივე ლაპარაკი იცოდა. პირდაპირი მოთხოვნები ჰქონდა და ფედერაციიდან მუდამ იყო ადეკვატური პასუხი და მოქმედება“

კენჭისყრას ახალ საპრეზიდენტო არჩევნებში. შეიცვალა აზრი თუ გაქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია, რას იზამთ?

- მაშინ რაც ვთქვი და რა კონტექსტშიც, ახლაც ვაფიქროვებ. თუ არ მორჩებიან ლანძღვას და იმის ლაპარაკს, რომ მეშინია და იმედი არ მაქვს, იმ შემთხვევაში ვთქვი მე. მზად ვარ, დავტოვო ეს პოსტი, ნავიდე. იმიტომ, რომ ჩემთვის სამუშაო ადგილი ბევრ ადგილას მოიძებნება. არ ვარ 30 წლის უსაქმური, რომელიც 30 წელი სახლში იჯდა და დღეს დასაქმება სურს. 50 წლის ვარ, სულ ვმუშაობდი და ანტიკრიზისული დირექტორი ვიყავი მთელი ჩემი ცხოვრება. მუშაობა შემოიღო ფეხბურთის ფედერაციაშიც, ხვალ შეიძლება ჰოკეიში ვიყო, ან ჯიხურის უფროსი, ან სადღაც სადგურზე რიგითი თანამშრომელი. ჩემთვის მუშაობის პრობლემა არ არის. მე ვრჩები ჩემს პოზიციაზე, დანებდები თავი, ჩამამთავრებინონ ეს პერიოდი, რამდენიმე დღე დარჩა. დანებდები ლანძღვას თავი, რომ ჩემი თანამშრომლებიც არიან არაპროფესიონალები და თუ ვინმეს სადმე ნაუგება, ყველაფერს ჩვენ ნუ დაგვაბრალებენ.

- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა, ლევან ყიფიანმა ფეხბურთის ფედერაციას „ნაცმოძრაობის“ შტაბ-ბინა უწოდა...

- მერე რა? ბატონი ლევანი არის მინისტრი, მაგრამ არის ადამიანი, რომელსაც აქვს თავისი აზრი. მივესალმები მის აზრს, მაგრამ არ ვიზიარებ. ეს კაცი ასე ხედავს, რომ „ნაციონალების“ შტაბ-ბინაა, რატომ არის, არ ვიცი და არც ვაპირებ კომენტარის გაკეთებას ამაზე. ყველას აქვს იმის უფლება, ისე იფიქროს, როგორც ფიქრის საშუალებასაც აძლევს თავი.

- უკვე ცნობილია, რომ სფფს-ს ამჟამინდელი გენ-მდივანი, რევაზ არ-

ველაძე მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში ერთ-ერთი კანდიდატია. თუკი თქვენც იყრით კენჭს, როგორ წარმოგიდგენიათ ორი კონკურენტი კანდიდატის მუშაობა არჩევნებამდე ერთად?

- არ ვაპირებ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. ადამიანს უნდა ჰქონდეს გრძნობა, რომ ამოწურე შენი მაქსიმუმი. დამრჩა ორი საქმე, რომელიც მართლა მინდა, რომ ბოლომდე მივიყვანო. ერთია ბაზის მშენებლობა, რომელიც რამდენიმე თვეში დასრულდება და მეორე, მინდა 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალი წამოვიღო საქართველოში. ამას გააკეთებ და თავისუფალი ვიქნები. ფინალის წამოღება საქართველოში 4 ქალაქის ამუშავებას ნიშნავს, გორის, მცხეთის, რუსთავის და თბილისის. ეს არის მნიშვნელოვანი. სხვანაირად ვუყურებ. არ შემოიღო, რადგან რამდენიმე თვე დამრჩა, ხელები ჩამოვყარო. უფრო მეტად უნდა ვიაქტიურო, მეტი გააკეთო, რადგან, ვინც ჩემს შემდეგ მოვა, მან უფრო მეტს მიაღწიოს.

- საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის“ გარშემო ხმაურია. ამბობენ, რომ გუნდს ფინანსური კრიზისი აქვს და შესაძლოა ვერ გააგრძელოს ასპარეზობა ჩემპიონატში. კლუბის ხელმძღვანელობა ფედერაციას უყურადღებობაში ადანაშაულებს, არ გქონდათ კონტაქტი კლუბის მფლობელთან?

- „ზესტაფონთან“ დავკავშირებით რა ინფორმაციაც გავიგეთ, ყველაფერი პრესიდან. ჩემთვის ბატონი ილია კოკაიას, როგორც სფფს-ს პრეზიდენტისთვის, არ მოუმართავს. რაც შეეხება „ზესტაფონს“, ჩემთვის არსებობს მხოლოდ ერთი პიროვნება, „ზესტაფონი“ ჩემთვის არის ილია კოკაია. მას არანაირი განცხადება არ გაუკეთებია. ის, რაც პრესაში იწერებოდა, რომ

„ზესტაფონში“ ფინანსური კრიზისი არ არის

„არ ვარ 30 წლის უსაქმური, რომელიც 30 წელი სახლში იჯდა და დღეს დასაქმება სურს. 50 წლის ვარ, სულ ვმუშაობდი და ანტიკრიზისული დირექტორი ვიყავი მთელი ჩემი ცხოვრება. მუშაობა შემოიღო ფეხბურთის ფედერაციაშიც, ხვალ შეიძლება ჰოკეიში ვიყო, ან ჯიხურის უფროსი, ან სადღაც სადგურზე რიგითი თანამშრომელი“

ფინანსური კრიზისია, ზუსტად ვიცი, რომ „ზესტაფონში“ ფინანსური კრიზისი არ არის. გვაქვს ჩვენ ფინანსური ურთიერთობები ამ კლუბთან, იმიტომ, როცა მესმის, რომ კლუბში ფინანსური კრიზისია, ამას არ ვეთანხმები. პრესასთან არ ვაპირებ ფინანსურ ურთიერთობებზე საუბარს. სანამ ილია კოკაია არ გააკეთებს განცხადებას, ფედერაცია რატომ უნდა ჩაერიოს?

- ფეხბურთის განვითარების სამთავრობო კომისიამ და მისმა მუშაობამ რა მოუტანა ფეხბურთს?

- დიდი ხანია არ შევკრებილვართ. მთავრობა ჩართულია ახლა სუპერთ-

„არ ვაპირებ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. ადამიანს უნდა ჰქონდეს გრძნობა, რომ ამოწურე შენი მაქსიმუმი“

რა მოხდა „კომედი შოუს“ კულისებში

ნინო მჭედლიძე

„კომედი შოუდან“ გიგა ტაბიძის ნასვლა ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. მისი გმირი, ნოდარი, მაყურებელმა მალე შეიყვარა. გაჩნდა კითხვები, რომელიც მაყურებელი პასუხს ითხოვს. პოპულარობის ზენიტში ასული მსახიობის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ გარკვეული ეჭვებიც გააჩინა. შიდა სამზარეულოდან გამოვიდა ინფორმაციებიც. ამბობენ, რომ „კომედი შოუს“ რეიტინგი საგრძნობლად დაეცა. ამის მიზეზად „კომედი ჯგუფის“ გასართობ ცენტრებს ასახელებენ, სადაც ჯგუფის მსახიობები არიან დაკავებული. გასართობ ცენტრებს ვანო ჯავახიშვილი და მიშა ანდლულაძე ხელმძღვანელობენ, გადაცემებს - ალექო მალხაზიშვილი. როგორც ამბობენ, მალხაზიშვილი გადაცემის რეიტინგის დაცემის გამო მსახიობებს პრეტენზიას უცხადებდა. ამბობენ იმასაც, რომ მას კონფლიქტი ვანო ჯავახიშვილთან და მიშა ანდლულაძესთანაც ჰქონდა. მსახიობები ხელფასის გაზრდას ითხოვდნენ, რის შემდეგაც გასართობ ცენტრებში მუშაობა აღარ მოუწევდათ. სწორედ ამ კონფლიქტს შეენირა გიგა ტაბიძეც. გარკვეული პერიოდით ჯგუფიდან ნასვლი იყო თემუკა პატარიძეც. ჩვენ ამ ინფორმაციების გადასამოწმებლად გიგა ტაბიძეს, თემუკა პატარიძეს და ალექო მალხაზიშვილს გავსაუბრეთ.

გიგა ტაბიძე ამ გადაწყვეტილებიდან რამდენიმე დღეში ბარსელონაში გაფრინდა. ჩვენ მას ინტერნეტით დაუკავშირდით.

- გიგა, პირველ რიგში მინდა „კომედი შოუდან“ წამოსვლის მიზეზი გითხრო...

- მინდა საკუთარ პროფესიას მივხედო. მე არ ვარ მსახიობი, ფარმაცევტი გახლავართ და მინდა ამ კუთხით ვიმუშაო.

- ბარსელონაშიც ამ მისიით ხართ ისვენებ?

- არა, ახლა დასასვენებლად ვარ.

- ასე როგორ გადაგძლია ფარმაცევტის დიპლომა, რომ ასეთი პუპულარობა, ხალხის სიყვარული, წყალში ჩაყარე?

- რატომ ჩაყარე? ფარმაცევტებიც უყვართ ხალხს. აქ დაწერეთ, რომ ვიცინი.

- გიგა, ყველა ინტერვიუში ამბობ, რომ „კომედი შოუ“ თავად დატოვე. მე მაქვს ინფორმაცია, რომ გამოგიშვეს...

- მაგ ამბის მომტან ჩიტს უთხარი, რომ ცდება.

- ამბობენ, უთანხმოება ჯამაგირის გამო მოხდა...

- ტყუილია.

- შენი „რუსთავი 2“-დან წამოსვლა სახალწლო კონცერტების მერე მოხდა. რატომ? მანამდე ფარმაცევტობა არ გიტაცებდა?

- სახალწლო კონცერტებზე მინდოდა ყოფნა. გადაწყვეტილება მანამდე მქონდა მიღებული.

- ბიჭებმა არ გთხოვეს დარჩენა ვიფრობ, დააკლდებო შენი გმირი.

- იყო კითხვები, იყო პასუხებიც. ალბათ, დააკლდებო, მაგრამ ნიჭიერი ხალხია, რაღაცას ისევ მოიფიქრებენ.

- „კომედი ჯგუფის“ გასართობ



EXCLUSIVE

„ჭაბე ნოდარი“ სამსახურიდან დაითხოვეს?

„შევეშვი ხალხის ბართობას“

ცენტრებში შენც მუშაობდი?

- კი, ცოტა ხნით.

- ახლა არც იქ აღარ იქნები?

- არა, შევეშვი ხალხის ბართობას. აქაც დაწერეთ, რომ ვიცინი.

- შენ ვინ გართობს ხოლმე?

- მეგობრები.

- ბარსელონაში ვისთან ერთად ხარ? მართო გაფრინდი?

- სრულიად მართო. აქ მხოლოდ მე და ბარსელონა ვართ.

- გავიგე, ბებიის დაურიგების გარეშე გაემგზავრები ნინო, რა გითხრა?

- ხალხმრავალ ადგილებს ერიდე. ტერაქტები იცის მაქეთო.

- როდის დაბრუნდები და რომელ აფთიაქში მოგაკითხვით?

- რა მნიშვნელობა აქვს სად ვიქნები, მთავარია რეცეპტი გქონდეთ.

თემუკა პატარიძემაც უპასუხა ჩვენს კითხვებს.

- თემუკა, „პრაიმტიმის“ განუხებ?

- გისმენთ.

- ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ გარკვეული პერიოდი ნასული იყავი „კომედი შოუდან“, რა იყო ამის მიზეზი?

- ცოტა ხანში რომ დამირეკოთ, შეგიძლიათ?

- ერთი კითხვა მაქვს სულ, დიდ დროს არ წაგართმევ.

- აბიტურიენტი ვიყავი და დრო აღარ მრჩებოდა.

- ანუ ეს არ ყოფილა სამსახურიდან გაშვება, შენი სურვილით ნახვედი?

- კი, ჩემი სურვილით.

- რამდენი ხნით დატოვე „კომედი ჯგუფი“?

- არ მახსოვს ზუსტად, ალბათ, ერთი კვირით.

- ერთ კვირაში მოემზადე ეროვნული გამოცდებისთვის?

- მერე გადავიფიქრე აბიტურიენტობა და ისევ დაბრუნდი სამსახურში. ერთი კითხვა მაქვს და უკვე ოთხი დამისვით.

- კარგი, მაგლობა.

ალექო მალხაზიშვილსაც შევეხმინეთ.

- ალექო, „პრაიმტიმიდან“ განუხებ, გიგა ტაბიძის სამსახურიდან ნასვლაზე მინდა გკითხო. ნასვლის რა მიზეზი დაასახელა?

- ჩვეულებრივად, რა მიზეზითაც ტოვებენ ხოლმე სამსახურებს, იმ მიზეზით დატოვა და ევროპაში გაფრინდა.

- მისი ნასვლის შესახებ თქვენ როდის გაიგეთ?

- ამ თემაზე ადრეც გვქონდა საუბარი. დეკემბრის ბოლოს საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება და გაგაყენა საქმის კურსში.

- მაყურებელმა მალე შეიყვარა მისი გმირი, ალბათ, დაგაკლდებოდა...

- ჩვენთან „კომედი შოუში“, ასე ხდება. ვილაც გვაკლდება და მერე ახლით ვცვლით, ახალ გმირებს ვქმნით.

- საუბრობენ იმაზე, რომ გიგა თქვენ გაუშვეთ სამსახურიდან, რომ უთანხმოება მოხდა ანაზღაურების ნივთზე.

- არა, ეს ტყუილია. ჩვენ გიგასთან ვმეგობრობთ. უბრალოდ, იყო საუბრები გარკვეულ თემებზე და ბოლოს მიიღო გადაწყვეტილება.

„მამ აბის მომტან ჩიტს უთხარი, რომ ცდება“

ლება, სხვა საქმეს მივხედავო, თავად გადაწყვიტა. ხელს ვერ შევეშვილი, თუ სხვაგან უფრო კარგად ხედავს საკუთარ თავს, ვერ დავაკავებ.

- ანაზღაურების გამო უთანხმოება თქვენს შორის არ მოხდებოდა?

- არა.

- გიგა თქვენს გასართობ ცენტრებშიც მუშაობდა. ხომ არ ვცდებით?

- გასართობი ცენტრის ხელმძღვანელი მე არ ვარ. ის ვანო ჯავახიშვილის და მიშა ანდლულაძისაა. ამიტომ ამ თემასთან დაკავშირებით კომპეტენტური არ ვარ. რაღაც პერიოდით იყო მგონი.

- ამბობენ, რომ მსახიობებს გასართობი საბავშვო ცენტრების გამო, ნაკლები დრო რჩებოდათ გადაცემისთვის. ამას კონფლიქტი მოჰყვა...


- „კომედი ცენტრში“ მსახიობებს ვუშვებთ თავისუფალ დროს. შაბათ-კვირას ან სამუშაო საათების შემდეგ. ეს მათი კომერციული ინტერესიცაა, მხოლოდ ჩვენი - არა. ორივე საქმე ერთი ჯგუფის არის, გადაცემებიც და გასართობი ცენტრებიც. როგორ ფიქრობთ, ერთმანეთს ხელს რატომ შეეშვლიდა?

„ჩვენთან, „კომედი შოუში“, ასე ხდება. ვილაც გვაკლდება და მერე ახლით ვცვლით, ახალ გმირებს ვქმნით“

- კიდევ ერთ მსახიობზე მინდა გკითხოთ. თემუკა პატარიძე გარკვეული პერიოდით ნასული იყო სამსახურიდან. რა გახდა ამის მიზეზი?

- ჩვენ სწავლაში ადამიანებს ხელს ვუწყობთ ხოლმე. გამოცდები ჰქონ-

„გასართობი ცენტრის ხელმძღვანელი მე არ ვარ. ცენტრები ვანო ჯავახიშვილის და მიშა ანდლულაძისაა“



„ივასაც ამბობენ, რომ მას კონფლიქტი ვანო ჯავახიშვილთან და მიშა ანდლულაძესთანაც ჰქონდა“

და თუ რაღაც მსგავსი პრობლემა და მთხოვა, ცოტა ხნით გამეთავისუფლებინა. ერთი-ორი თვით გაუშვით. მსგავსი პრეცედენტები ადრეც გვქონია. მაგალითად, გიორგი აფციაური, რომელიც ოთხი თვით გაუშვით თავის საქმეებზე, „ჯიპში“ მოსაგვარებელი ჰქონდა რაღაც პრობლემები. კვირაში ერთი დღე მოდიოდა მხოლოდ. ჩვენ სწავლაში ხელს ვუწყობთ ადამიანებს.

- აფციაურმა კომედი ჯგუფი რომ დატოვა, მამინ არაფერი უთქვამს, მერე პრესკონფერენცია მოინვი და მთელ რიგ ფინანსურ პრობლემებზე ისაუბრა. იგივე ხომ არ მოხდება გიგას შემთხვევაშიც?

- აფციაური ჩემთვის სხვა მოვლენაა, ის უკვე აღარ მუშაობდა ჩვენთან პრესკონფერენცია რომ მოინვი. რაღაცები ელანდებოდა. გიგა სხვა შემთხვევაა, სხვა ადამიანია.

Fly With us!
იფრინეთ ჩვენთან ერთად!



Georgian Airways
ტირქიან ეარვაისი

თავაზი თევზაძე: „ლევან ყიფიანი ინერციით მიდის და ეს მას ჩინური პოლიტიკაა“

მაგდა კლდიაშვილი

„ეს ყველაფერი 2013 წლის მაისიდან დაიწყო. შვიდი თვის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ჩვენ სამინისტროს მართვაში მოვედით. არაერთი ზეპირი საუბრის შემდეგ, ჩვენ კონცეფცია ჩავაბარეთ, სადაც ასახული იყო, საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ სპორტის თემატურაზე ვგუფი და მიღებული იყო მათ მიერ. ჩაითვალა, რომ კარგი სამოქმედო გეგმა დაიდო, რომელიც მომავლის საწყისი გახდებოდა. ამ კონცეფციის მე-14 თავი ითვალისწინებდა განხორციელების მექანიზმს, რომელიც გულისხმობდა იმას, რომ მინისტრს, მის მოადგილეს, სტრატეგიული საკითხები უნდა გადაეწყვიტა. ვხედავდი, რომ ვაგვიანებდით. საჭირო იყო მთელი რიგი ფედერაციების წესდების სრულყოფა, მათ მარგალიტებიც კი დავარქვი. ეს დაპირისპირებებსა და კონფლიქტებს შეამცირებდა. უნდა მომხდარიყო ეროვნულ სახელმწიფო პროგრამებზე გადასვლა. ფედერაციებს უნდა წარმოედგინათ დარგების განვითარების მიზნობრივი პროგრამები. წერილებიც გადავუგზავნე მათ და სავარაუდოდ პროგრამებიც, თუ როგორ შეიძლება მომხდარიყო ეს. ამის განხილვაში ერთობლივად უნდა მიეღო მონაწილეობა სამინისტროს, ოლიმპიურ კომიტეტს, სპორტის დეპარტამენტს და ა.შ. ეს დოკუმენტი, ასევე ითვალისწინებდა სპორტის საბჭოს ან რამე ამდგომარ საბჭოს შექმნას, რომელიც იქნებოდა შუალედური რგოლი სამინისტროსთან, ეს ყველაფერი უნდა ყოფილიყო ევროპული ღირებულებებიდან გამომდინარე. ეს ხედვები და ქმედებები კი იგვიანებდა.“

EXCLUSIVE

- ვიცი, მესმის, ამაზეც ლაპარაკობენ. ალბათ, უნდა დაგროვილიყო კრიტიკული მასა, რომელმაც აპოგეას 2014 წლის შემოდგომიდან მიაღწია. მე ბიუჯეტის დაგეგმვაში არ ვმონაწილეობდი, რაც პირდაპირ შეცდომად მიმაჩნია. რადგანაც, მიზნობრივი ბიუჯეტი ეს არ არის ციფრი, რომლითაც შეგიძლია იამაყო, თუ როგორ გაზარდა. „ჩვეულება რეჯულზე უმტიცხისაო“, რაც დაგვხდა, ისე გაგრძელდა. რა იდგა ფინანსების უკან, ამას არავინ კითხულობდა. მიზნობრივი პროგრამები უნდა ყოფილიყო ამისთვის.
- როგორ განიხილეს შედეგად, ლევან ყიფიანმა მასობრივი

სპორტის სამმართველო და ანალიტიკური დეპარტამენტი გააუქმა. რა არის სამინისტროს პრიორიტეტი, თუ არა მასობრივი სპორტი?
- ეს არის ნოსენის და შესაფასებელი ანალიტიკურად. როდესაც ლევან ყიფიანმა პრემიერ-მინისტრთან ორწლიანი ანგარიში წარადგინა, რომ სპორტი იყო წარმატებული, აღმოჩნდა, რომ მინისტრის მოადგილე, რომელიც სპორტზე იყო პასუხისმგებელი, წარდგენილი იყო როგორ განიხილა. ეს მან გადააბრალა პირველ მოადგილეს, ზურაბ აზმაიფარაშვილს. ზურაბ აზმაიფარაშვილი რომ ხელმოწერდა იყო ამ პროცესში, ეროვნული საქადრაკო პროგრამიდანაც ჩანს, რომელსაც მე პირადად, მივესალმები, ის შინაარსობრივად უმნიშვნელოვანესია. თუმცა მისი ფინანსური განხილვა უნდა მომხდარიყო. გამოდის, რომ პირველი მოადგილე ადამიანი, ვისთან ერთადაც მან როგორ განიხილა მთავარი მოახდინა. მე ამასი მონაწილეობა არ მიმიღია, თუმცა კოლეგიალობიდან გამომდინარე, როგორც მოადგილე, ამაში ჩართული უნდა ვყოფილიყავი.

- როდესაც სპორტის მინისტრი, საკუთარი გადაწყვეტილებით, აუქმებს სპორტული მიმართულებით მოადგილის შტატს, ცოტა ღიმილის მომგვრელი ხომ არ არის?
- გეტანხმებით. ჩემი არგუმენტებიც სწორედ ეს არის. მეტსაც გეტყვით, სამინისტროს ბიუჯეტის 85% სპორტია, 9% - საზოგადოებრივი სპორტი, 6% - ადმინისტრაცია. ვსაუბრობ პროცენტებზე და არა ლარზე. ამიტომ, ეს არის მიზანმიმართულად გაკეთებული. არ დასმულა კითხვები, რატომ და როგორ. ორი ადამიანის ნაზრევი როგორ განიხილა მიმართული იყო იქეთ, რომ ნაცვლიყავით რამდენიმე ადამიანი. მე, ვლადიმერ ნუცუბიძე და მისი მოადგილე და რამდენიმე კაცი. მან თქვა, რომ თურმე მე განვითარებამჭირდებო.

„უნდა დაგროვილიყო კრიტიკული მასა, რომელმაც აპოგეას 2014 წლის შემოდგომიდან მიაღწია. მე ბიუჯეტის დაგეგმვაში არ ვმონაწილეობდი, რაც პირდაპირ შეცდომად მიმაჩნია. რადგანაც, მიზნობრივი ბიუჯეტი ეს არ არის ციფრი, რომლითაც შეგიძლია იამაყო“

სტევის დროსაც ასე იყო, ამიტომ უნდა მომხდარიყო წესდების სრულყოფა. ამაზე უარი თავად სპორტის სამყარომაც უნდა თქვას.
- როდესაც ლევან ყიფიანი ბიძინა ივანიშვილმა მინისტრის პო-

„ორი ადამიანის ნაზრევი რამდენიმე ადამიანი იყო იქით, რომ წავსულიყავით რამდენიმე ადამიანი“



„მას არ სურდა, რომ ის გაგვეკეთებინა, რაც დასახული იყო. გამომდინარე აქედან, რეფორმა არ გატარდა. მივედიოდით კუს ნაბიჯებით. რაც დახვდა, გაგრძელდა ინერციით“

სტე წარადგინა, განაცხადა, რომ მას იმ დროისთვის მხოლოდ ერთი ღირსება ჰქონდა და ეს დავით ყიფიანის შვილობა იყო. დაამტკიცა ლევან ყიფიანმა, რომ მას სხვა ღირსებებიც აქვს?
- ჩვენი კონცეფცია იყო ერთ-ერთი, რამაც მისი მინისტრობა, განაპირობა მამამისის შვილობასთან ერთად. მას არ ეყო გამოცდილება. არ დამიჯერა. თუმცა, არ ვამბობ, რომ ყველაფერი უნდა დავეგრეზინა, ღმერთმა დამიფაროს. მას ორჯერ მივწერე ელექტრონული ფოსტით. ერთი მათ შორის, 2013 წლის 10 მაისს. ვთხოვდი, რომ შეეკრებილიყავით და დაგვესახა სტრატეგია, ერთ მნიშვნეულზე დავსულიყავით, რომ არ იყო კინკლაობის დრო. ვწერდი, თუ ამ რეფორმებს განვახორციელებდით, მეც ვიამაყებდი და მისი მინისტრობის დროს დარჩებოდა. მაგრამ, მას არ ეყო გამოცდილება ბიორგაფიიდან გამომდინარე. საჯარო სამსახურში არასდროს უმუშავია, მხოლოდ ორი წელი ფეხბურთის ფედერაციაში და სხვადასხვა დაწესებულებებში. სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს პრიორიტეტები, სამინისტრომ კი უნდა შეუქვეთოს ფედერაციებს, რა არის სახელმწიფოს ხედვა.

„ჩვენი კონცეფცია იყო ერთ-ერთი, რამაც მისი მინისტრობა, განაპირობა მამამისის შვილობასთან ერთად. მას არ ეყო გამოცდილება. არ დამიჯერა“

ნონა გაფრინდაშვილი: „ოლიმპიადა ბრძოლაში მოვიპოვეთ, რატომ დაიჩაბრნენ სხვები?!“

მაგდა კლდიაშვილი

საქართველოს მთავრობის 30 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია 4 წლის განმავლობაში 38 მილიონზე მეტს მიიღებს. საჭადრაკო სფეროს სახელმწიფო პრიორიტეტად გამოცხადებამ სპორტის სფეროში უთანხმოება გამოიწვია, მაშინ როდესაც სხვა დანარჩენ სახეობებზე ერთად 70 მილიონი დაიხარჯება, ჭადრაკისთვის 38 მილიონის დამტკიცება სხვა სპორტული ფედერაციებისთვის გაუგებარი გახდა.

როგორც ხელისუფლების მხრიდან განიმარტა, ჭადრაკისთვის დაფინანსების რეკორდულად ზრდის მიზეზი, 2018 წელს დაგეგმილი ოლიმპიადაა. ამ პროექტის ინიციატორი მთავრობაში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, ლევან ყიფიანი, რომელიც ამბობს, რომ ჭადრაკის პრიორიტეტად გამოცხადება, სხვა სფეროებს არაფერს არ აკლებს. მინისტრის განმარტებით, ძირითადი ხარჯები, ოთხნობიანი პროექტის, 2017-2018 წლებზე და დაგეგმილი ოლიმპიადაზე მოდის, რომელიც 2018 წელს, ბათუმში გაიმართება. სპორტულ ღონისძიებაში კი მონაწილეობას 180 ქვეყნის წარმომადგენლები მიიღებენ.

ლევან ყიფიანი:
„ეს არის ოთხნობიანი გეგმა, რომელიც პირველ რიგში, საქართველოში 2018 წელს ოლიმპიადის ჩატარებისთვისაა გათვალისწინებული და ძირითადი ხარჯებიც ამ წელზე მოდის. თანხა სამ სუბიექტზეა გადანაწილებული, სახელმწიფო, თანხის განმკარგავი სპორტის სამინისტრო, თბილისის მერია და აჭარის მთავრობა. ამ თანხების ეფექტური დახარჯვა ნიშნავს 20 საერთაშორისო დონის ტურნირის მოწყობას საქართველოში, ჭადრაკის პოპულარიზაციას და იმ დონეზე აწევას, რასაც ჩვენი ჭადრაკის ისტორია ითხოვს. მათგან კითხვები, რომელიც სხვა სახეობების დაფინანსებას ეხება. მათ არაფერი დაჰკლებიათ და პირიქით, სამჯერ და ოთხჯერაც აღემატება დაფინანსება იმ მოთხოვნებს, რაც მათ აქვთ. ეს ხარჯები იმისთვის არის, რომ მოხდეს ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაცია, 180 ქვეყანა ჩამოვა. უახლოეს ხანებში ასეთი მასშტაბის არაფერი გაკეთებულა საქართველოსთვის. რომ არ დაფინანსებულიყო, შემდეგ გაჩნდებოდა კითხვები, რატომ არ მოხდა ეს. ამ სპორტის სახეობის აღორძინება, რომელიც ნაკლებ ეკონომიკურ დანახარჯს ითხოვს, მოუტანს საქართველოს მაქსიმალურ მსოფლიო ცნობადობას.“



„მაოცხვს კითხვები, რომელიც სხვა სახეობების დაფინანსებას ეხება. მათ არაფერი დაჰკლებიათ და პირიქით, სამჯერ და ოთხჯერაც აღემატება დაფინანსება იმ მოთხოვნებს, რაც აქვთ“

„ამ თანხით ჭადრაკის ფედერაციის ბიუჯეტი კი არ გაზრდილა, ეს არის იმ ოთხნობიანი პროგრამისთვის, რომელიც 2018 წლის ოლიმპიური შეჯიბრების ორგანიზებას უნდა მოხმარდეს“



დავით ქვეციშვილი:
„არაერთხელ მივსალმებივარ და მადლობა გადამიხდია იმ პოლიტიკოსისთვის, რაც ტარდება უკანასკნელ ხანს, მაგრამ ეს ფაქტი ყოველად მიუღებელია. ამ ფორმით გაგრძელება შეუძლებელია, თუ ბოლომდე ასე დაფიქსირდა. საწყენია, რომ პარლამენტი ძიუდოსისთვის საკმაოდ არის წარმოდგენილი, მით უმეტეს სპორტის კომიტეტი და ბოლო ორი წლის განმავლობაში არც ერთი განცხადება არ გაკეთებულა, რომ უკეთეს პირობებში ვყოფილიყავით.“
ლევან ყიფიანი ქართველი მოჭადრაკე, ნონა გაფრინდაშვილი „პრაიმტიმთან“ საუბარში აცხადებს, რომ მიუხედავად სახელმწიფოს მიერ 38 მილიონის გამოყოფისა, თავად ჭადრაკის ფედერაციის ბიუჯეტი არ გაზრდილა და არ თვლის, რომ ამ გადაწყვეტილებით სპორტის სხვა სახეობები დაიჩაბრნენ.

ჭადრაკის ფედერაციის ბიუჯეტი ასე ნაწილდება:
2015 წელს, ბიუჯეტიდან სულ 2 მილიონ 98 ათასი ლარი დაიხარჯება. 2016 წელს ეს თანხა ორი მილიონ 625 ათას 400 ლარს შეადგენს.
2017 წლის ბიუჯეტი 6 მილიონ 637 ათას 799 ლარით არის განსაზღვრული:
● საერთაშორისო საშეჯიბრო კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიებები - 522 034 ლარი
● ეროვნული საშეჯიბრო კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიებები - 219 950 ლარი
● თბილისის საერთაშორისო საჭადრაკო აკადემიის ხარჯები - 578 815 ლარი
● მსოფლიო თასის გათამაშება - 3 000 000 ლარი
● 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საჭადრაკო კომიტეტის ხარჯები - 162 000 ლარი
● ქ. ბათუმში, 2018 წელს გასამართი მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადის ჩატარების ხარჯები - 647 500 ლარი
● მსოფლიო თასის გათამაშება - 1 507 500 ლარი.
ჭადრაკის ეროვნული პროგრამისთვის გამოყოფილი 38 მილიონიდან, 27 მილიონ 108 ათას 950 ლარი 2018 წელს დაიხარჯება.


2018 წლის ბიუჯეტი ასე გამოიყურება:
● საერთაშორისო საშეჯიბრო კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიებები - 548 150 ლარი
● ეროვნული საშეჯიბრო კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიებები - 231 000 ლარი
● თბილისის საერთაშორისო საჭადრაკო აკადემიის ხარჯები - 607 800 ლარი
● ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი (ქალები და ვაჟები) 360 000 ლარი
● ქ. ბათუმში გასამართი მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადის ჩატარების ხარჯები 23 250 000 ლარი
● 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის ხარჯები - 282 000 ლარი
● ქ. ბათუმში 2018 წელს გასამართი მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადის ჩატარების ხარჯები 1 500 000 ლარი
● ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი (ქალები და ვაჟები) - 230 000 ლარი
● ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი (ქალები და ვაჟები) - 100 000 ლარი.
კმაყოფილია თუ არა ჭადრაკის პრიორიტეტად გამოცხადებით, რაგბის კავშირის პრეზიდენტი, გია ნიჟარაძეს დავუკავშირდით. ამ საკითხზე მან კომენტარის გაკეთება არ ისურვა. თუმცა მის მიერ ტელევიზიებისთვის მიცემულ ინტერვიუში კარგად ჩანს, რომ ის ამით მაინცდამაინც მოხიბლული არ არის.

გია ნიჟარაძე:
„რაც გვაქვს, იმით ვკმაყოფილებით. ვმუშაობთ და ვეცდებით, მაქსიმალური შედეგი დავდოთ, გავახაროთ გულშემატკივარი. ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება შემდეგ ოთხნობიანი პროგრამას, რადგან სრულიად სხვა ამოცანები იდ-“



გება ქართული რაგბის წინაშე, სრულიად სხვა და კიდევ ვიმორჩილებ, თუ არ იქნება ადეკვატური ბიუჯეტი, შესაბამისად დიდ ამოცანებს ვერ შევწვდებით.“
ბოლო ორი წლის განმავლობაში, საქართველოს საუკეთესო სპორტსმენი ძიუდოსისტი. სწორედ ამიტომ, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი, დავით ქვეციშვილი უკმაყოფილებას ვერ მალავს ჭადრაკისთვის 38 მილიონის გამოყოფის გამო.

ნონა გაფრინდაშვილი:
„რატომ თვლიან სხვები, რომ დაჩაბრეს? ოლიმპიადა ბრძოლაში მოვიპოვეთ და სახელმწიფო თანხა იყო ამაზე. მის გარეშე არ ხდება ეს. სახელმწიფოს საგარანტიო წერილი არსებობდა. ამ თანხით ჭადრაკის ფედერაციის ბიუჯეტი კი არ გაზრდილა, ეს არის იმ ოთხნობიანი პროგრამისთვის, რომელიც 2018 წლის ოლიმპიური შეჯიბრების ორგანიზებას უნდა მოხმარდეს. 180 ქვეყანა მიიღებს მონაწილეობას და ფეხბურთის შემდეგ ამდენი გუნდი არც ერთ შეჯიბრებაში არ მონაწილეობს. თქვენ წარმოიდგინეთ, რა თანხა შევა ბიუჯეტში, როცა ეს ქვეყნები საქართველოში ჩამოვლენ. რატომ გამოიწვია ამ ფაქტმა გაღიზიანება, არ ვიცი. ეს არის ტრადიციების პროპაგანდა, ამისთვის ბრძოლა სერიოზულად მიდიოდა და ქვეყნის დადებით მხარედ მიმანჩნია. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. თუ სპორტის სხვა სახეობებიც მოიპოვენ ასეთი მნიშვნელობის სერიოზული ღონისძიების ჩატარების უფლებას, სხვა ამბავია, მაგრამ ოლიმპიადა, რომელიც ასეთი მასშტაბისაა, დიდი ოლიმპიადის გარდა, აქვს ჭადრაკს.“



WWW.MSY.GOV.GE



„ნიჭიერი“ ეტლში და სტერეოტიპის მსხვერპლის სურვილი

თეიმო არაბიძე:
„ცეკვა ბარდაცვლილ დედას, გამარჯვება კი სანდრა რულოვსს მივუძღვინი“

თეიმო არაბიძე: „იმედია, ჩემ შემდეგ საზოგადოებას ეტლში მჯდომი კი არ შეეცოდება, არამედ დაემსხვრევა სტერეოტიპი, რომ ცხოვრება ეტლში არ სრულდება. ეს არის არა შეზღუდული შესაძლებლობა, არამედ განსხვავებული შესაძლებლობა“

რა მოხდა „კოვადი შოუს“ კულინაჟში

„ჭამე ნოდარი“ სამსახურიდან დაითხოვეს? exclusive

რა იზიივას ერთად მარიამ კუბლაშვილმა და ლევან ხურციამ



„ცხოვრება ნინ არის, როგორ გაგრძელდება ჩვენი ურთიერთობა არაპინ იცის“

exclusive

ISSN 1987-7404



ზაზა ურუშაძე – „გავიმარჯვო და „ოსკარზე“ სიტყვას ქართულადც წარმოვთქვამ და გურული აცენტიტაც“



„მანდარინები“ კინოაკადემიის ორმა უმაღლესმა დაჯილდოების ცერემონიაზე წლის საუკეთესო ფილმთა ხუთეული დაასახელა

exclusive

exclusive

ბია გულაძე: „ერთხელ პატრიაჩმა მითხრა, გიორგი, სასულიერო ცხოვრებაზე იფიქრო. გავშრი, ამბავი არ მიფიქრია. სასლში მიმავალი საღებავებით დასვრილ შარვალს ვუყურებდი და ვფიქროვდი, საღებავიანი თითები მირჩვენა თუ ანაფორით სიარული. მივხვდი, რომ საღებავით მირჩვენა მემსახურა. ჩემი გადაწყვეტილება მისთვის აღარ მითქვამს. ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ამ გზაზე ქალით ვერ წავიდვარ“

„არტპალასი“ გაატა გურჭულაძის 60 წლის იუბილეს სმორტის სასახლეში წყობს

exclusive